

ISSN 1512-3936

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
მშენებლობის პროექტირების და  
ექსპერტიზის ცენტრი

მშენებლობა

№3(38) 2015

სამეცნიერო-ტექნიკური  
ქრონიკა



თბილისი 2015

## შ ე ნ ე პ ლ ო ბ ა

*მთავარი რედაქტორი – მალხაზ წიქარიშვილი*

*მთავარი რედაქტორის*

*მოადგილეები – გელა ყიფიანი  
როინ იმედაძე*

*დამფუძნებელი  
გიორგი ლაღუნდარიძე*

*სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგიის წევრები:*

ბაციკაძე თამაზი, გურგენიძე დავითი, დანელია დემური, დრაშკოვიჩი ფერდინანდი (სლოვაკეთი), კვიციანი ტარიელი, კოდუა ნოდარი, კლიმიაშვილი ლევანი, კუბლაშვილი მურმანი, კუბესკოვა დარია (ჩეხეთი), მახვილაძე რევაზი, მეძმარიაშვილი ელგუჯა, მიაჩენკოვი ვლადიმერი (რუსეთი), მშვენიერაძე ინგუშა, ნადირაძე ანზორი, რაიჩიკი იაროსლავი (პოლონეთი), რეკვავა პაატა, რიპი იანი (პოლანდია), სოხაძე აგული, ფრანგიშვილი არჩილი, ჩერნოგოლოვი იგორი (რუსეთი), ჩიხლაძე ვლადიმერი, ჩიქოვანი არჩილი, ციხელაშვილი ზაური, ცხვედაძე რევაზი, ჭოხონელიძე გუგა, ხაზარაძე ომარი, ხმელიძე თამაზი, ჯავახიშვილი მარინა.

*პასუხისმგებელი მდივანი: თინათინ მაღრაძე*

*საკონტაქტო ტელ. 65-93; 599-478422*

*E-mail: [tinmag@mail.ru](mailto:tinmag@mail.ru)*

*ვებ-გვერდი: [www.sheneba.ge](http://www.sheneba.ge)*

*კომპიუტერული და გრაფიკული უზრუნველყოფა*

*ლიკა ლაღუნდარიძე*

: . .  
 .  
 : . . ; :  
 : . .  
 - : . .  
 . . , . . ; . . ; . . ( . . ); . .  
 ; . . ; . . ; . . ; . . ; . .  
 . . Кубескова Д. (Чешская республика); ; . . ; . .  
 ; . . ( . . ); . . ; . . ; . .  
 ( . . ); ( . . ); . . ; . . ; . .  
 ( . . ); . . ; . . ; . . ; . .  
 ; . . ; . . , . . .  
 : . .  
 : 65-93; 599 478422  
*E-mail:* [tinmag@mail.ru](mailto:tinmag@mail.ru)  
 - : [www.sheneba.ge](http://www.sheneba.ge)  
 :  
 . .

# BUILDING

**EDITOR-IN-CHIEF:** M. Tsikarishvili

**DEPUTY EDITORS**

**IN-CHIEF:** G. Kipiani;

R. Imedadze

**CONSTITUTIVE:**

G. Lagundaridze

**MEMBERS OF SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD:**

T. Batsikadze; Chernogolov (Russia); V. Chikladze; A. Chikovani; G. Chokhanelidze;  
 D. Gurgenidze; D. Danelia; F. Drashkovich; M. Javakhishvili; T. Kvitsiani; O.  
 Khazaradze, T. Khmelidze; N. Kodua; L. Klimiashvili; M. Kublashvili; D. Kubeskova  
 (Czech Republic); R. Makhviladze; E. Medzmariashvili; V. Miachenkov (Russia); I.  
 Mshvenieradze; A. Nadiradze; A. Prangishvili; Y. Raichik (Poland); A. Sokhadze; J.  
 Rip (Nederland); P. Rekvava; Z. Tsikhelashvili; R. Tskhvedadze.

Responsible secretary T. Magradze

Tel: 65-93; 599 478422

*E-mail:* [tinmag@mail.ru](mailto:tinmag@mail.ru)

*Web-site:* [www.sheneba.ge](http://www.sheneba.ge)

*Computer and Program providing:*

L. Lagundaridze

# შინაარსი

.....	6
<b>ტ. კვიციანი, გ. ხუციშვილი, გ. ფაჩულია.</b> ცვლადი ხარჯის მქონე ბრუნვის წყლების მოძრაობის ზოგიერთი ამოცანა .....	13
<b>ნ. ინჟირველი.</b> ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლმუზეუმში წინანდალში და მისი არქიტექტურულ, არქეოლოგიურ, ლაბორატორიულ კვლევათა უახლესი შედეგები .....	18
<b>ზ. ციხელაშვილი, დ. ბურბენიძე, ხ. სოსელია, ხ. ბურბენიძე.</b> წყალმომარაგების სისტემებში წყლით უზრუნველყოფის ტექნოლოგიური პროცესის მოდელირება კიეზომეტრული დაწვევების განაწილების საფუძველზე.....	23
<b>რ. სხვიტარიძე, ე. შაშაძიძე, ი. ბიორბაძე, შ. ვერულავა.</b> თიხაშიქალშემცველი ნატანიო-ფვარლის ვალეკის ეკორისკის, ხოლო მაღალეშვებური საშენი მასალების წარმოებით სიღარიბის-შემცირების ხელშესაწყობად, კალაკოტიდან ნატანის ამოწმენდა-ბატანა-შტილიზაციის ინოვაცია.....	26
.....	32
<b>ი. ძვარაკაძე, თ. დვალისხვილიძე, შ. ყანჭაშვილი.</b> დიდი დიამეტრის რკინაბეტონის ბუმბათის, ასაწყობი საქალიბე სისტემის აგება და მონტაჟი .....	37
<b>თ. ამბროლაძე, მ. კუბლაშვილი.</b> მაქსიმალური ხარჯებისა და ღონეების გაანგარიშება დაკვირვებათა არასაკმარისი ჰიდროლოგიური მწკრივის არსებობის შემთხვევაში .....	40
<b>მ. წიქარიშვილი, ნ. ტაბატაძე, მ. ვარდიასხვილი, ი. ღარიბაშვილი.</b> საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების კონსტრუქციული გადაწყვეტების ანალიზი .....	44
.....	54
<b>გ. არეშიძე, ძ. თბილისის მუხათბვერდის მუყურის მღბრადობის შესახებ.....</b>	60
<b>ლ. ქურდაძე, მ. ფოჩხუა.</b> კონტინენტული დეკორაციების მნიშვნელობა თბილისის ლანდშაფტური სივრცეების ფლორისტულ-მხატვრულ გაფორმებაში .....	63
<b>გ. ტყეშელაშვილი, ხ. კუპატაძე.</b> მრეწველობის მენეჯმენტი განვითარების მიკროეკონომიკური პრობლემები .....	67
<b>თ. გაბადაძე, ი. სულაძე.</b> ანჰიდრიტული ცემენტების გამოყენების პერსპექტივები საქართველოში .....	72
<b>ჭ. ტოგონიძე.</b> არაერთგვაროვან დრეკად ფუძეზე მდებარე ცვლადისხისტიანი საშუალო სისქის ფილების ანგარიში დინამიკურ დატვირთვებზე, ფილის დაზუსტებული თეორიის საფუძველზე .....	78
<b>ტ. ზაკუტაშვილი, ზ. კაპანაძე, თ. მაცაბერიძე, ი. ბოჭორიშვილი.</b> სემისმური ზემოქმედებისას სიმინჯოვანი სამირკვლების ტალღური მეთოდით გაანგარიშების ალგორითმი .....	82
.....	87
<b>ი. ძვარაკაძე.</b> არმატურის ნაშენების არასწორად მოწყობის ფაქტების გამოვლენა და მათი კორექტირება.....	91
<b>თ. ტაბატაძე.</b> შემოქმედებითი და მეცნიერული ხედვის პარალელები	

ანთონიო ბაუდისა და ბენუა მანდელბროტის მოღვაწეობაში .....	93
. . . . . C	
.....	97
<i>ა. საყვარელიძე.</i> მაღალი სიმტკიცის ბეტონის ტანბამბარობის პარამეტრების დადგენა .....	101
<i>ბ. შიშინაშვილი.</i> ურეზირებული მასალის გამოყენებით დამზადებული კომბინირებული ასფალტობეტონის ნარევის გამოყენების პერსპექტივები საქართველოში.....	105
<i>ტ. ზაკუტაშვილი, ზ. კაკანაძე, თ. მაცაბერიძე, ი. გოჭოყიშვილი.</i> ხიმინჯოვანი საძირკვლები სეისმურ რაიონებში .....	108
<i>ბ. ჭანტურია, მ. მამარდაშვილი.</i> სისტემის “შენობა - კიდულხიმინჯოვანი საძირკველი” არა წრფივი დიაგრამების აბეზის მეთოდითა .....	113
<i>მ. წიქარიშვილი, შ. კოძუაშვილი, ნ. ტაბატაძე, მ. გარდიაშვილი.</i> შენობა-ნაგებობების მონიტორინგის სისტემების ანალიზი .....	117
<i>O. Giorgishvili. A. Qatamidze. N. Kvirikadze, G. Tabagari.</i> On Definition of Modulus of Deformation of ground by Laboratory Method .....	129
<i>ა. გოგბერაშვილი, ლ. ჯოგელიძე.</i> მშენებლობის მენეჯმენტის ზოგიერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი .....	133
<i>ა. მამარდაშვილი, მ. ჭანტურია.</i> ხარისხის ინფრასტრუქტურა და სამშენებლო ბიზნესი .....	137
<i>ზ. ციხელაშვილი, დ. გურბენიძე, ხ. სოსელია, ს. გურბენიძე.</i> წყალმომარაგების მოქმედი სისტემის ელემენტ-ნაგებობების სამსკალურსატაციო მდგომარეობის ექსპერტული შეფასების შესახებ .....	140
<i>შ. ბაქანიძე, დ. ტაბატაძე, კ. იაშვილი, ლ. ქრისტესიაშვილი.</i> ახალი ტიპის ორ და სამ სამაბრიანი საყალიბე ფარის კონსტრუქციული გაანგარიშება .....	143
.B, . . . . .	
.....	152
ახალი ტექნოლოგიები. ა. ჩიქოვანი. წებოცემენტი .....	158
<i>მილოცვა</i> .....	160
<i>გახსებნება</i> .....	162
SUMMARIES.....	163

ООО «ПРОГРЕСИ». г. Тбилиси, Грузия

*Страна, которая не заботится о развитии науки, рано или поздно превратится в колонию. Только ценой развития науки народ может стать сильным и жить счастливо.*

*Жолио Кюри*

*Нет, этот трюк не работает . . . Ну как вы собираетесь объяснить в терминах химии и физики такое важное биологическое явление, как первая любовь?*

*Альберт Эйнштейн*

:

,

.

,

,

,

,

.

,

(

)

.

:

,

( ),

-

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

**1.**

,

,

,

[1],

( )

,

[2-10].

,

,

,

,

,

,

,

,

,

.

( 3-3.5 );

,

;

(

12.0-15.0 );

(

70000-75000

[2-4]


11.2 , 1.0 .  
 -20, 22.5.  
 2.

( . . 1),

с применением непрерывного базальтового волокна,

пр

[3-5].



.1.

( ) ,

:

$$\sigma_0 F_0 = \sigma_0^a F_a . \quad (1)$$

1

$$M_0 = N_0 / (h/2 - a) , \quad (1)$$

1-

- « » -

$$N_0 = \frac{M_0}{(h/2 - a)} = \frac{M_T^{on} - M}{(h/2 - a)} \quad (2)$$

( . . 2).

, 4

( . . 3).

$$\frac{1}{z} = \frac{d}{dz}, \quad (3)$$

$\Delta a$ ,

$$a = \frac{ac \ell}{r}, \quad (4)$$

$$b = \frac{bcp \ell}{r}, \quad (5)$$

: ac -

bcp -

, r -

4-5

[13,14 15],

$$: \quad ac = \frac{2 a (h_0 - X_{cp})}{\ell} \quad (6)$$

$$\frac{1}{\dots} = \frac{2_{..}}{\ell} = \frac{V_{ac}}{h_0 - X_{cp}} = \frac{V_{bc}}{X_{cp}} = \frac{V_{ac} + V_{bc}}{h_0} = \frac{V_{ac} + V_{bc}}{r} \quad (7)$$

[13,14 15],

$$\left(\frac{1}{\dots}\right)_{cp}^{\ell_n} = \frac{\Psi_{a b}^{\ell_n} + \Psi_{b b}^{\ell_n}}{h_0} \quad (8)$$

$\ell$

a,

$$a = \frac{\int_0^{\ell} ax dx}{\ell \ell_{a, \max}} = \frac{\ell_{ac}}{\ell_{a, \max}} \quad (9)$$



-

«

»

$$\sigma_a = \frac{4Y_{\max}}{\ell} \quad (10)$$

:  $Y_{\max}$  -

$$I_{am} = \frac{M \ell^2}{8E_a Y_{\max}}; \quad (11)$$

$$I_{am} = F_{am} Z_{am}^2 \cong F_{am} (0.9h_0)^2, \quad (12)$$

$$F_{am} = \frac{I_{am}}{0.81h_c^2} \quad (13)$$

$$I_{am} = 0.81h_0^2 E_{am},$$

$$Z_{am}^2 \times 0.81 \times h_0^2 \times E_{am},$$

$F_{am}$

$Y_{\max} \rightarrow$

$F_a$ .

$$\sigma_a = \frac{M}{Z_{am} F_{am} E_0}, \quad (14)$$

$$\sigma_{ac} = \sigma_a; \quad z_{am} = 0.9h_0;$$

$$M = F_a \sigma_a 0.9h_0 = E_0 F_a 0.9h_0 = F_a \frac{\sigma_{ac}}{E_a} 0.9h_0 E_a \quad (15)$$

$$\sigma_{ac} = \frac{M}{E_a F_{ac} 0.9h_0}. \quad (16)$$

$$r_{cre} = u \left\{ \sigma_y \frac{\tau_s}{E_s} 20 (3,5 - 100 \sim) \sqrt[3]{d} \right. \quad (17)$$

S

M

Q

$$\tau_s = \tau_{sm} + \tau_{sq} \quad (18)$$

:  $\tau_{sq}$  -

As



Q,

$$\tau_{sq} = \frac{Q - 1.5 R_{bt} h}{0.7 A_s} l \quad (19)$$

$$\tau_{sq} \geq 0.$$

»,

. 4.



.4.

1. - ; ,  
,  
.
2. ; ,  
;
3. ;  
11-21-85 ,  
15-
4. 20%;  
; . . .
5. ; - ; ,
6. - ;  
, ,

\*\*\*

1. . . , . . . . - . . .  
, 2002. -416 .

-

«

»

2. J. Gigineishvili and others. Not welded connections. Invention USSR, N 1830404. Moscow, 1990;
3. J. Gigineishvili and others. Multi-storey suspended structures for complex relief conditions. SAKPATENTI, N 584, Tbilisi, 1995;
4. J. Gigineishvili. Connection of reinforcement shanks, pipes and other elements. SAKPATENTI, N P1755, Tbilisi, 1997;
5. J. Gigineishvili, I. Mgaloblishvili. Technological line of production of composite nonmetal construction reinforcement bars and pipes. SAKPATENTI, N P 2000, Tbilisi, 1997;
6. J. Gigineishvili, G. Chikvaizde. Pipes and pipe-like structures. (6 various Pipes and pipe-like structures in composite basalt fibers) SAKPATENTI, N P2930. Tbilisi, 2000;
7. J. Gigineishvili, L. Gogichaishvil, G.Huhia, G. Tikurishvili, O. Tsisilashvili. Strengthening of slopes by using basalt fibers. SAKPATENTI, Tbilisi, 2004
8. J. Gigineishvili (I. Veriujski, A. Snitko). Modeling of processes of destruction of compound bodies by a numerical - analytical method of potential. The mechanics Composite Materials. Riga. - 1989. 6, pages 1024-1031;
9. J. Gigineishvili (I. Veriujski).  
. IDEEA ONE. First Internasional Design for Extreme Environment Assembl. Houston. Oktober 1991. USA.
10. J. Gigineishvili. Numerical - analytical method POTENTIAL calculation of designs Composite Materials in view of destructions. Teoretical mechanics also is false. To six national congress on the theoretical and applied mechanics. Varna - 1989. Sofia: BAN, 1990. Book. 2, pages 35-38;
11. J. Gigineishvili, (I. Veriujski, A. Snitko). Numerical modeling, dissain and technology of structures for extreme environments. Methods of potential and final elements in the automated researches of engineering designs. The theses of the reports International of conferences. Academi of Siense Russian Federation the House of the scientists. St. Petersburg. 1996. Pages 26-27;
12. J. Gigineishvili. Results numerical and experimental researches without welding of connections of elements of ferro-concrete designs. Materials of All-Union scientific and technical conferences « Modern problems of development of ground base of civil aircraft », Moscow 1989, pages 28-34;
13. J. Gigineishvili (I. Veriujski, G. Sudakov). Application of a numerically analytical method of potential to the decision of contact tasks of account of coupling of the fixture with concrete. New experimental researches and methods of account of ferro-concrete designs. The collection of the proceedings /under. Red. Ampere-second. Zalesov and Ilin/ . NIJB Gosstroia USSR. 1989, pages 61-72;
14. 2.03.01-84\* ; . 1986;
15. / . . , . . . -  
.: , 2007.-394 ;
16. . . / . - .: , 2014.-301 .

ცვლადი ხარჯის მქონე ბრუნტის წყლების  
მოძრაობის ზოგიერთი ამოცანა

ტ. კვიციანი, გ. ხუციშვილი, ვ. ფაჩულია

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 0175 მ. კოსტავას 77,  
საქართველო, თბილისი)

**რეზიუმე:** გამოყვანილია ცვლადი ხარჯის მქონე ფილტრაციული ნაკადის მოძრაობის ზოგადი განტოლება. გრუნტის წყალშეუღწევ ფსკერის ქანობის ( $i \geq 0$ ) მუდმივი მნიშვნელობისათვის შესრულებულია მიღებული განტოლების ინტეგრირება. ამონახსნი ამოწერილია და მიღებულია ამონახსნები კერძო შემთხვევებისათვის, რომლებიც საშუალებას იძლევა დავადგინოთ ბუნებრივ ფერდობში ფილტრაციული ნაკადების მოძრაობის პარამეტრები და კანონზომიერებები.

**საკვანძო სიტყვები:** გრუნტის წყლები, ფილტრაციული ნაკადები, ცვლადი ხარჯი, ლამინარული მოძრაობა.

1. შესავალი

გრუნტებში მუდმივი სითხის ხარჯის მქონე ფილტრაციული ნაკადების მოძრაობის ამოცანების შესწავლაზე მიძღვნილია მრავალი გამოკვლევა. დამუშავებულია ამოცანის ამოხსნის ორი ზოგადი მეთოდი: ჰიდრაულიკური და ჰიდრომექანიკური. ჰიდრომექანიკური მეთოდი ემყარება უფრო მცირე რაოდენობის დაშვებებისა და მკაცრ მათემატიკურ აპარატს. რთული სქემების შემთხვევაში მისი გამოყენება მათემატიკური ხასიათის დიდ სიძნელეებს აწყდება. ამიტომ პრაქტიკული ხასიათის ამოცანის ამოხსნისას სარგებლობენ ჰიდრაულიკური მეთოდებით.

წვრილ მარცვლოვან გრუნტებში (თიხა, თიხნარი, ქვიშა, ქვიშნარი და ა.შ.) ფილტრაციული ნაკადების მოძრაობა, მცირე სიჩქარეების გამო ლამინარულია. ხოლო მსხვილ მარცვლოვან გრუნტებში ნაკადის მოძრაობისას შეიძლება წარმოიშვას ტურბულენტური რეჟიმიც.


ჰიდრაულიკური მეთოდით ამოცანის ამოხსნისას ნაკადის ყველა ელემენტს მის განიკვეთში ასაშვალებენ. ყოველ კვეთში წნევას თვლიან მუდმივად, ხოლო წნევათა განაწილებას – ჰიდროსტატიკურად (ნახ. 1). ამასთან ფილტრაციის ნაკადის სიჩქარე ყოველ კვეთში ასევე უცვლელია [5].

ყოველ გრუნტს აქვს შემთხვევითი მიკროსტრუქტურა, ამიტომ გრუნტის ფორებში ჭეშმარიტი სიჩქარეების განაწილების დადგენა შეუძლებელია და იძულებული ვართ შემოვიფარგლოთ მათი გასაშვალებით [2].

გრუნტის წყლების მოძრაობის გამოსაკვლევად ძირითადად მიღებულია უწყვეტობის განტოლება და დარსის კანონი. უწყვეტობის განტოლება შეიძლება ჩავწეროთ ჩვეულებრივი ფორმით [2, 5]:

$$Q = S \cdot u, \tag{1}$$

სადაც  $u$  არის ფილტრაციული ნაკადის სიჩქარე;  $Q$  – მოცულობითი ხარჯი, რომელიც გაედინება არცთუ მცირე  $S$  კვეთში.



ნახ 1

$\tilde{S}$  კვეთის ფართობში სითხის ნაწილაკის გასაშვალებული სიჩქარე  $u^* = \frac{Q}{m\tilde{S}}$ , სადაც  $m\tilde{S}$  – გრუნტის ფოროვანი სივრცის ნაკადის ცოცხალი კვეთის ფართობია;  $m = \frac{V_{\text{ფ}}}{V}$  – გრუნტის მოცულობითი ფორიანობა;  $V_{\text{ფ}}$  – ფოროვანი სივრცის მოცულობა;  $V$  – გრუნტის ნიმუშის მოცულობა. რეალურ გრუნტებში  $m = 0,3 \div 0,5$  [1; 4].

დარსის კანონი ამყარებს ფილტრაციული ნაკადის სიჩქარესა და ნაკადის გრადიენტს შორის დამოკიდებულებას (ნახ. 1):

$$u = -k \frac{dH}{dx}, \quad (2)$$

სადაც  $H$  დეპრესიის მრუდის ამადლებაა  $OO$  საფარდ სიბრტყიდან მოცემული კვეთის წერტილში;  $-\frac{dH}{dx}$  – დეპრესიის მრუდის ქანობი იმავე წერტილში;  $k$  – ფილტრაციის კოეფიციენტი, რომელსაც სიჩქარის განზომილება აქვს. ის მოცემული გრუნტისა და ფილტრირებული სითხისათვის მუდმივია [5].

ბუნებრივ და ხელოვნურ ფერდობებში ცვლადი ხარჯის მქონე გრუნტის წყლის ნაკადების მოძრაობის ამოცანები ნაკლებადაა შესწავლილი და არ არის გადაწყვეტილი.

ქვემოთ მოვიყვანთ ერთგვაროვან გრუნტებში ცვლადი ხარჯის მქონე ფილტრაციული ნაკადების მოძრაობის ზოგიერთ ამოცანის ამოხსნას ჰიდრაულიკური მეთოდით.

## 2. ძირითადი ნაწილი

1. ცვლადი ხარჯის მქონე ფილტრაციული ნაკადის არათანაბარი მოძრაობის ზოგადი განტოლება. ჩვენს მიერ მიღებულია არაპრიზმატულ კალაპოტებში სითხის ცვლადი ხარჯით მოძრაობის ზოგადი განტოლება, როცა ერთდროულად მიმდინარეობს გზის გასწვრივ, სითხის ხარჯის არათანაბარი მიერთება და გამოყოფა, რომელსაც აქვს შემდეგი სახე [3]:

$$\frac{r_0(1-r_2)Q}{g\tilde{S}^2} \cdot \frac{dQ_1}{dx} - \frac{r_0(1-r_2)Q}{g\tilde{S}^2} \cdot \frac{dQ_2}{dx} + \frac{r_0Q}{g\tilde{S}} \cdot \frac{d}{dx} \left( \frac{Q}{\tilde{S}} \right) + \frac{d}{dx} \left( \frac{p}{\alpha} + z \right) + \frac{d}{dx} (h_f) = 0, \quad (3)$$

სადაც  $r_1 = \frac{V_1}{V}$ ,  $r_2 = \frac{V_2}{V}$  არის შესაბამისად სითხის მასის მიერთებისა და გამოყოფის კოეფიციენტები;  $V_1, V_2$  – ნაკადის მიერთებისა და გამოყოფის სიჩქარეების გეგმილები ნაკადის მოძრაობის ღერძზე;  $g$  – თავისუფალი ვარდნის აჩქარება;  $V$  – ნაკადის საშუალო სიჩქარე;  $\tilde{S}$  – ცოცხალი კვეთის ფართობი;  $z$  – განსახილველ კვეთში ხვედრითი პოტენციალური ენერგია;  $\alpha$  – სითხის მოცულობითი წონა;  $h_f$  – ნაკადის ხვედრითი ენერგიის დანაკარგები სახუნზე განსახილველ კვეთებს შორის;  $Q_1, Q_2$  –  $x$  ღერძის გასწვრივ მიერთების და გამოყოფის ხარჯი.

ცვლადი სითხის მქონე ნაკადის  $Q$  ხარჯს ნებისმიერ კვეთში აქვს შემდეგი სახე [3]:

$$Q = Q_0 + \int_0^x dQ_1 - \int_0^x dQ_2, \quad (4)$$

სადაც  $Q_0$  – საწყის კვეთში შემოსული მუდმივი ხარჯი.

ვინაიდან გრუნტის წყლებს მოძრაობისას აქვს მცირე სიჩქარეები, ამიტომ (3) განტოლებაში ის წევრები, რომლებიც ასახავენ ცოცხალი ძალისა და

ნაკადების „შერევაზე“ დანაკარგებს შეგვიძლია უგულებელვყოთ. მაშინ (3) განტოლებიდან გარკვეული გარდაქმნებით მიიღება შემდეგი დამოკიდებულება:

$$\frac{p}{x} + z + h_f = z_1 + h_f = const \quad (5)$$

ანუ დიფერენციალური ფორმით გვექნება:

$$dz_1 + dh_f = 0. \quad (6)$$

რადგან ვიხილავთ გრუნტის წყლების ლამინარულ მოძრაობას, ამიტომ დანაკარგები სიჩქარის პირველი ხარისხის პროპორციულია. აქედან გამომდინარე დარსის მიხედვით ჰიდრაულიკური ქანობი ტოლი იქნება:

$$I = \frac{dh_f}{dx} = \frac{u}{k}.$$

ამ ტოლობიდან  $dh_f$ -ის მნიშვნელობა ჩავსვათ (6)-ში და მივიღებთ დარსის (2) კანონს, გვექნება:

$$u = -k \frac{dz_1}{dx}, \quad (7)$$

სადაც პირდაპირი ქანობის ( $i > 0$ ) შემთხვევისათვის  $\frac{dz_1}{dx} = \frac{dh}{dx} - i$  (ნახ. 2).

ამ შემთხვევაში ფილტრაციული ნაკადის სიძის  $Q_x$  ხარჯი შეიძლება ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$$Q_x = k\zeta \left( i - \frac{dh}{dx} \right). \quad (8)$$

(8) განტოლება არის ცვლადი  $Q_x$  ხარჯის მქონე ფილტრაციული ნაკადის კვლევის ამოსავალი განტოლება (კერძო შემთხვევისთვისაც, როცა  $Q_x = Q = const$ ).

2. გზის გასწვრივ ცვლადი ხარჯის მქონე ბრტყელი ფილტრაციული ნაკადის არათანაბარი მოძრაობის განტოლების ინტეგრირება. იმ შემთხვევაში, როცა გზის გასწვრივ ხდება ხარჯის თანაბარი ცვლილება, მაშინ  $\frac{dQ_x}{dx} = q_x$  - სიდიდე მუდმივია, ამიტომ (8) განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$Q_0 + q_x \cdot x = k\zeta \left( i - \frac{dh}{dx} \right), \quad (9)$$


ბრტყელი ნაკადისათვის  $\zeta = bh$ ;  $Q_x = bQ_0$  და  $q_x = bq_0$ , ამიტომ (9) განტოლება მიიღებს ასეთ სახეს:

$$q_b + q_0 \cdot x = kh \left( i - \frac{dh}{dx} \right), \quad (10)$$

სადაც  $q_b$  არის ერთეული სიგანის ნაკადის საწყისი ხარჯი (ხვედრითი ხარჯი);  $q_0$  - ერთეულგანის სიგრძისა და ერთეულგანის სიგანის ნაკადის ხარჯი.

(4) განტოლებიდან გამომდინარე ნებისმიერ კვეთში ხვედრითი ხარჯი ტოლია:

$$q = q_b + q_0 \cdot x, \quad (11)$$



ნახ. 2

-

«

»

რაც დიფერენცირების შედეგად გვაძლევს  $dq = q_0 dx$ , საიდანაც  $dx = \frac{1}{q_0} dq$ .

$(q_b + q_0 x)$ -ისა და  $dx$ -ის მნიშვნელობები ჩავსვით (10)-ში, მივიღებთ:

$$q = kh \left( i - q_0 \frac{dh}{dq} \right)$$

ანუ ზოგიერთი გარდაქმნების შემდეგ მივიღებთ:

$$\frac{dq}{dh} = \frac{khq_0}{ikh - q} \quad (12)$$

(12) განტოლების ამოსახსნელად შევასრულოთ შემდეგი ჩასმა:

$$q = hu,$$

მაშინ

$$\frac{dq}{dh} = u + h \frac{du}{dh}.$$

$\frac{dq}{dh}$ -ის ეს მნიშვნელობა ჩავსვით (12) ფორმულაში, გვექნება:

$$u + h \frac{du}{dh} = \frac{kq_0}{ik - u} \quad (13)$$

ამ განტოლებიდან ცვლადთა განცალკეება გვაძლევს:

$$\frac{(i_0 k - u) du}{u^2 - i_0 k u + k q_0} = \frac{dh}{h} \quad (14)$$

დავუშვათ, რომ  $i = i_0 = const$  და ვაინტეგრირებთ (14) განტოლებას  $u_1$  და  $u_2$  და  $h_1$  და  $h_2$  საზღვრებში, მივიღებთ:

$$\frac{1}{2} \int_{u_2}^{u_1} \frac{2(u - i_0 k) du}{u^2 - i_0 k u + k q_0} - \frac{i_0 k}{2} \int_{u_2}^{u_1} \frac{du}{u^2 - i_0 k u + k q_0} = \ln \frac{h_2}{h_1}.$$

ამ განტოლების მარცხედა მხარის ინტეგრირება როცა  $q_0 > \frac{1}{4} i_0 h$  მოგვცემს:

$$\frac{1}{2} \ln \frac{u_1^2 - i_0 k u_1 + q_0 k}{u_2^2 - i_0 k u_2 + q_0 k} + \frac{i_0 k}{\sqrt{4kq_0 - k^2 i_0^2}} \left[ \operatorname{arctg} \frac{2u_2 - i_0 k}{\sqrt{4kq_0 - k^2 i_0^2}} - \operatorname{arctg} \frac{2u_1 - i_0 k}{\sqrt{4kq_0 - k^2 i_0^2}} \right] = \ln \frac{h_2}{h_1}.$$

თუ ჩავსვამთ მიღებულ გამოსახულებაში  $u = \frac{q}{h}$  და  $q = q_b + q_0 x$  მნიშვნელობებს, მაშინ მიღებული განტოლება ასე გადაიწერება:

$$\begin{aligned} & \frac{1}{2} \ln \frac{[(q_0 x_1 + q_b)^2 - i_0 k (q_0 x_1 + q_b) h_1 + q_0 k h_1^2] h_2^2}{[(q_0 x_2 + q_b)^2 - i_0 k (q_0 x_2 + q_b) h_2 + q_0 k h_2^2] h_1^2} + \\ & + \frac{0,5 k i_0}{\sqrt{kq_0 - \left(\frac{i_0 k}{2}\right)^2}} \left[ \operatorname{arctg} \frac{2q_0 x_2 - i_0 k h_2}{2h_2 \sqrt{kq_0 - \left(\frac{i_0 k}{2}\right)^2}} - \operatorname{arctg} \frac{2q_0 x_1 - i_0 k h_1}{2h_1 \sqrt{kq_0 - \left(\frac{i_0 k}{2}\right)^2}} \right] = \ln \frac{h_2}{h_1}. \quad (15) \end{aligned}$$

ახლა განვიხილოთ ზოგიერთი კერძო შემთხვევა: 1. როცა  $i_0 = 0$ , მაშინ (15) განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\frac{1}{2} \ln \frac{[(q_0 x_1 + q_b)^2 + q_0 k h_1^2] h_2^2}{[(q_0 x_2 + q_b)^2 + q_0 k h_2^2] h_1^2} = \ln \frac{h_2}{h_1}$$

ანუ გარდაქმნების შედეგად გვექნება:

$$(q_0 x_2 + q_b)^2 - (q_0 x_1 + q_b)^2 = q_0 k (h_1^2 - h_2^2). \quad (16)$$



2. როცა საწყისი ხარჯი ნულის ტოლია ( $q_b = 0$ ), მაშინ (15) განტოლებიდან მივიღებთ:

$$\frac{1}{2} \ln \frac{(q_0^2 x_1^2 - i_0 k x_1 h_1 + q_0 k h_1^2) h_2^2}{(q_0^2 x_2^2 - i_0 k q_0 x_2 h_2 + q_0 k h_2^2) h_1^2} + \frac{0,5 k i_0}{\sqrt{k q_0 - \left(\frac{i_0 k}{2}\right)^2}} \left[ \operatorname{arctg} \frac{2 q_0 x_2 - i_0 k h_2}{2 h_2 \sqrt{k q_0 - \left(\frac{i_0 k}{2}\right)^2}} - \operatorname{arctg} \frac{2 q_0 x_1 - i_0 k h_1}{2 h_1 \sqrt{k q_0 - \left(\frac{i_0 k}{2}\right)^2}} \right] = \ln \frac{h_2}{h_1}. \quad (17)$$

3.  $q_b = 0$  მნიშვნელობისათვის (16) განტოლებიდან მივიღებთ:

$$q_0 (x_2^2 - x_1^2) = k (h_1^2 - h_2^2). \quad (18)$$

მიღებული ამონახსნები მართებულია, პირდაპირი და უკუ (მუდმივი) ქანობებისათვის. ამასთან უკუ ქანობის შემთხვევაში საჭიროა  $i_0$ -ის ადგილას ჩავსვათ  $-i_0$  სიდიდე.

4. მიღებული ამონახსნების ანალიზი გვიჩვენებს, რომ იმ შემთხვევაში როცა  $i_0$  და  $k$  მცირე სიდიდეებია (15) განტოლების ტოლობის მარცხენა მხარის მეორე შესაკრები შეიძლება უგულვებლყოთ მისი სიმცირის გამო, ამის შემდეგ აღნიშნული განტოლება მიიღებს უფრო მარტივ სახეს:

$$(q_0 x_2 + q_b)^2 - k i_0 (q x_1 + q_b) h_1 + q_0 k h_1^2 = (q_0 x_2 + q_b)^2 - i_0 k (q_0 x_2 + q_b) h_2 + q_0 k h_2^2. \quad (19)$$

5. როცა  $q_b = 0$ , მაშინ (19) განტოლება მიიღებს სახეს:

$$\frac{q_0}{k} (x_2^2 - x_1^2) = h_2 (i_0 x_2 - h_2) - h_1 (i_0 x_1 - h_1). \quad (20)$$

### 3. დასკვნა

ნაშრომში მიღებული განტოლებები საშუალებას იძლევა ამოვხსნათ ამოცანები გრუნტებში (ბუნებრივ ფერდობებში) ცველადი ხარჯის მქონე ფელტრაციული ნაკადების მოძრაობის შესახებ. მათ დიდი გამოყენება აქვს პრაქტიკაში ბუნებრივი ფერდობების მასივების მეწყერ-ჩამონაქცევების პროგნოზირებისა და სტატიკური მდგრადობის შეფასებისათვის.

### ლიტერატურა

1. . . . ., 1965. – 228 .
2. . . . . « . . . » . . . .: 1978. – 648 .
3. . . . . 2(2). . . . ., 2007, . 17-22.
4. . . . . ( . . . . ) « . . . . » . . . ., 1965. – 310 .
5. . . . . « . . . . » . . . ., 1981. – 550 .

**ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლმუზეუმში წინანდალში და მისი არქიტექტურულ, არქეოლოგიურ, ლაბორატორიულ კვლევათა უახლესი შედეგები**

არქიტექტორ-რესტავრატორი ნ. ინჰიკიძე

“ყოველ საქმეში საჭიროა მისი განვითარების ისტორიის ცოდნა”  
მაქსიმ გორკი

"აღღებნა ისტორიისა - ერის გამოცოცხლებაა, გამხმვებაა, აწმოს  
ბაგება და წარმართვაა. მერმისის გამოკვლევას სიბნელისაბან"  
ილია ჭავჭავაძე

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია სოფელ წინანდალში არსებული ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლმუზეუმის არქიტექტურულ, არქეოლოგიურ, ლაბორატორიულ კვლევათა უახლესი შედეგები. წარმოდგენილია მუზეუმის რესტავრაციაზე მუშაობის პროცესში გამოვლენილი სხვადასხვა პერიოდის სარეაბილიტაციო სამუშაოების არქიტექტურული გადაწყვეტები და დეტალები. ასევე ალექსანდრე ჭავჭავაძის სასახლის, ალექსანდრე ოზეროვისეული სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში შენობის არქიტექტურულ და კონსტრუქციულ გადაწყვეტებში განხორციელებული ცვლილებები და ძველი და ახალი მოცულობების გამთლიანების გზები.

**მიზანი:** 2008 წლის სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარებულ იქნა ისე, რომ ხილვადი ყოფილიყო საუკუნეების მანძილზე განხორციელებული არაერთი რეკონსტრუქციის შედეგად სახეშეცვლილი არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტების კომბინაცია, ხაზგასმული ყოფილიყო როგორც ალ. ოზეროვისეული არქიტექტურა და გადაწყვეტები ისე, ალ. ჭავჭავაძის პერიოდის კახური არქიტექტურის დეტალები, წყობა და ხასიათი.

**საკვანძო სიტყვები:** არქიტექტურა, ევროპული სტილი, ქართული მოტივები, ისტორიული წყაროები, ზონდაჟი, ადაპტაცია.

**1. შესავალი**

ქართულ არქიტექტურაში მე-19 საუკუნის დასაწყისი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობებში, ვინაიდან იგი მოიცავს ქართული ტრადიციული არქიტექტურისა და ევროპიდან შემოსული თანამედროვე სტილების სინთეზს. ასევე არქიტექტურული დეტალების მასიურად გავრცელების პერიოდია რაც ხშირ შემთხვევაში ჰარმონიულად ვითარდებოდა.

ცნობილია, რომ ალ. ჭავჭავაძემ სასახლე 1830 წელს ააშენა, მაგრამ მას შემდეგ შენობამ რამდენჯერმე განიცადა სახეცვლილება: ჭავჭავაძისეული სასახლე მოიცავდა 28 საძინებელსა და რამდენიმე სალონს, სასახლე ფართე აივნებით ყოფილა გარშემორტყმული, ხოლო ინტერიერი ევროპულ სტილზე იყო მოწყობილი.

1854 წელს, შამილის შემოტევის დროს, შენობა გაქურდეს და გადაწვეს, რის გამოც 1886 წელს დაიკვამა სასახლის რეაბილიტაცია და პროექტირება არქიტექტორ ალექსანდრე ოზეროვს მიანდეს და მალევე სარეაბილიტაციო სამუშაოებიც განხორციელდა.

შენობის მთავარი ფასადის ორიენტაცია მიმართულია კავკასიონის მთაგრეხილისაკენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი იყო ეკლექტიკური სტილი (რომელიც დომინირებდა იმ პერიოდის ევროპასა და რუსეთში და ფაქტობრივად შეაფერხა ნაციონალური არქიტექტურული სტილის განვითარება საქართველოში), არქიტექტორი ოზეროვი იაზრებს გარემოს და ევროპული სტილების პარალელურად ქართულ ისტორიულ მოტივებს მიმართავს. რაც მან ამ კონკრეტულ მაგალითზე ჰარმონიულად განახორციელა.

## 2. ძირითადი ნაწილი

პირველადი შთაბეჭდილებით სასახლე მხოლოდ ორი - ოზეროვისა და საბჭოთა პერიოდების დისპარმონიულ მონაცვლეობას წარმოადგენდა, ამდენად კვლევითი სამუშაოები ოზეროვის არქიტექტურის მოცულობის მთლიანობის დასადგენად მიემართეთ, თუმცა კვლევამ სრულიად განსხვავებული სურათი მოგვცა, რადგან მოცულობის დასავლეთ ფასადის ძიების პროცესში აღ. ჭავჭავაძისეული სასახლის პირვანდელ კონტურს მივაგენით (იხ. სურ. №1; №2; №3) და კვლევების დროს კიდევ რამდენიმე სამშენებლო პერიოდი გამოიკვეთა.

ნაშრომში მთავარი აქცენტი გადატანილია ისტორიულ წყაროებში მითითებული სამშენებლო პერიოდების თანმიმდევრობის დაზუსტებასა და მშენებლობის განვითარების პროცესზე.

ჩვენი აზრით, XIX საუკუნის მიწურულს, სარეაბილიტაციო პროექტზე მუშაობის პროცესში გადაწყდა რეკონსტრუქციის აუცილებლობა, რაც ახალი მოცულობის მორგებას გულისხმობდა ძველ, ისტორიულ (სენსიტიურ) გარემოში.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა სამუშაოებმა გამოკვეთა სამი ძირითადი, მეოთხე – დამხმარე და მეხუთე – საბჭოთა-სარემონტო სამუშაოების პერიოდები (იხ. სურ. №1 და №3). მასალა, რომელმაც მიგვიყვანა ნაგებობის სამშენებლო პერიოდებად დაყოფასთან, თავისთავად შეიცავს ეტაპებს.

წარმოვიდგენთ მშენებლობის I პერიოდის კვლევის ეტაპებს და ამასთან სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოების II და III პერიოდებს:

### კვლევითი სამუშაოების ეტაპები:

სამშენებლო პირველი პერიოდი ანაზომზე მუშაობის პროცესში გაჩნდა ზონდაჟების გაკეთების აუცილებლობა.

პირველ ეტაპზე, აღმოსავლეთით, პირველი სართულის ორ საფასადე ფანჯარას შორის, აგურისა და ყორე-წყობის მონაცვლეობით ამოყვანილი ბუხრის ირგვლივ, ნაღესობის ქვეშ გამოჩნდა ხანძრის კვალი, რაც პირველი ნიშანი იყო ისტორიული წყაროებიდან ცნობილი ხანძრის შემდეგ შემორჩენილი აღ. ჭავჭავაძის სასახლის ნაწილისა (იხ. სურ. №2). ყორე წყობით ამოყვანილი კედელი პირდაპირ შეჭრილია ოზეროვის არქიტექტურის ინტერიერში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროექტის გააზრებულ დაგეგმვას (იხ. სურ. №1 და №3).

ყურადღება მივაქციეთ იატაკის განსხვავებულ დონეებსა და მასალას: II-III - ოზეროვისეული პერიოდების იატაკი ბევრად დაბლაა, ვიდრე I - ჭავჭავაძისეული პერიოდის, ამასთან, I პერიოდის პირველი სართულის იატაკზე აგურის ფენილია, II-III პერიოდში კი ხის ფიცრული იატაკი იყო მოწყობილი.

პირველი სართულის ჩრდილოეთ მხარეს, ნაღესობის ქვეშ აღმოჩნდა I პერიოდის შესასვლელი კარი ხის არქიტრაჟით, ასევე I-III პერიოდების გამმიჯნავ კედელზე ორი საფასადე ფანჯარაა, რომელიც დღეისათვის ინტერიერშია მოქცეული, რაც თავდაპირველად I პერიოდის სამხრეთ ფასადის პირველ სართულზე უნდა ყოფილიყო (იხ. სურ. №1), ამდენად, დაზუსტდა I პერიოდის აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი ფასადების I სართულის კონტური.

როგორც ისტორიული წყაროებიდანაა ცნობილი, აღ. ჭავჭავაძის სასახლე ორსართულიანი იყო, გარშემორტყმული აივნებით, ამდენად საჭიროდ მივიჩნიეთ ზონდაჟის გაკეთება I-II სართულებს შორის I-III პერიოდების მიჯნაზე, რამაც ნათელი გახადა საყრდენი და ამავე დროს საფასადე კედლის არსებობა, რაც ნაგებობას ამოუყვება პირველი სართულიდან მთლიან სიმაღლეზე და სამხრეთის შემოსასვლელიდან აჩენს ვიწრო დერეფანს, საიდანაც ხდება განაწილება I პერიოდის ყველა სათავსოში. ნაღესობის მოხსნისთანავე საყრდენი კედლების მეორე სართულზე, როგორც სამხრეთით, ისე, ჩრდილოეთით გამოჩნდა ამოქოლილი სამ-სამი თაღოვანი დიობი (იხ. სურ. №4 და №5), რაც, მიგვანიშნებს, რომ სათავსოდან

-

«

»

იყო გასასვლელები და ექვგარეშე ტოვებს მოსაზრებას - ჩვენ მიერ დიფერენცირებული I პერიოდი არის ალექსანდრე ჭავჭავაძისეული სასახლე.

მეორე სართულის სამხრეთი ფასადის დასავლეთ ნაწილი აგურისა და ყორე-წყობის მონაცვლეობითაა შესრულებული, ადგილებში შემორჩენილია სათოფური ფანჯრებიც, რომელთა რითმი ორგანულად იმეორებს კახური არქიტექტურის ელემენტებს.

სამხრეთის ფასადზე არსებული გვიანდელი კიბე მიდგმულია კარის ღიობზე, რომელიც განიერიცაა და მაღალიც, ზომებით 2.82X1.78 მ. კარის ასეთი ზომები გვაფიქრებინებს, რომ ის მხედრისთვის იყო გათვალისწინებული, რომელიც, ამ კარით პირდაპირ საჯინბოში შედიოდა. ხოლო ინტერიერში ამ კარის ორივე მხარეს თაღოვანი ნიშებია. აღნიშნული ნიშები ამოვსებული იყო აგურის წყობით.

ინტერიერში არსად ჩანს სართულშუა გადახურვის კოჭების კვალი, თუმცა მხედრისათვის გათვალისწინებული ღიობისა და სამხრეთით, ინტერიერში მოწყობილი თაღების სიმაღლე იძლევა ერთგვარ ინფორმაციას სათავსის სიმაღლეზეც.

გაშიშვლდა ნაგებობის ჩრდილოეთი კედელი, ინტერიერში, ნაგებობის თავსა და ბოლოში, აღმოჩნდა შეწყვილებული თაღების ნაწილები, რაც, ვფიქრობთ, ადასტურებს, რომ წაგრძელებული ფორმის მოცულობა ალექსანდრე ჭავჭავაძისეულია. არქიტექტორი ოზეროვი ხელს არ ახლებს ძველი სასახლის ამ ნაწილს, პირიქით, ინტერიერშიც ჩნდება ოზეროვისეული საფასადე წყობა მასიური ქვისა და აგურის მონაცვლეობით. ხელუხლებელს ტოვებს დასავლეთ ფასადს, სადაც, ზონდაუის შედეგად გამოიკვეთა ეზოში გასასვლელი კარი, რომელიც კომპოზიციურად ზუსტად ფასადის ცენტრშია (იხ. სურ. №6). მოცულობის დასავლეთით ბოლო ოთახში II-III პერიოდის აგურის ბუხარი იყო, ლითონის ჭედური ორნამენტიანი ხუფით. აშკარაა, რომ არქიტექტორი ძველი სასახლის კონტურს ინარჩუნებს ადაპტაციის მეთოდებით.

სამშენებლო მეორე პერიოდი კვლევის პროცესში მეორე პერიოდს მივაკუთვნეთ სასახლის რეაბილიტაციის ოზეროვისეული გადაწყვეტა. ეს ის ნაწილია, რომელიც ყველაზე თვალისმომჭრელად გამოიყურება (იხ. სურ. №1; №3). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ დროს მოხდა ძველი, კახური არქიტექტურისა და ახალი, ევროპული სტილის გაერთიანება - სინთეზი, რომელიც საშუალებას იძლევა რესტავრაციის პროცესში I, II და III პერიოდები ადგილებზე როგორც ერთი მთლიანობა და არა როგორც ცალკეული ნაგებობები, სტილი თუ კომპოზიცია, ისევე, როგორც XIX საუკუნის მიწურულს.

სამშენებლო მესამე პერიოდი III პერიოდით დავათარიღეთ მოცულობა, რომელიც ცოტა მოგვიანებით მიაშენეს, ვფიქრობთ, ერთი და იმავე არქიტექტორისაა (აღ. ოზეროვი), რისი საფუძველიც, ჩვენი აზრით, დამხმარე სათავსოების აუცილებლობა გახდა (იხ. სურ. №1 და №3), ამ პერიოდს მიეკუთვნება პირველ სართულზე არსებული რუსული ღუმელიც.

სამშენებლო მეოთხე და მესამე პერიოდები საბჭოთა და შემდგომ პერიოდში სამუხეუმო სივრცედ გადაკეთებისა და სხვადასხვა მცირე სარემონტო სამუშაოებს მოიცავდა.

### 3. დასკვნა

საქართველოში არსებული ისეთი არქიტექტურული ძეგლი, როგორიცაა აღ. ჭავჭავაძის სასახლე წინანდალში, წარმოადგენს საქართველოს ახლო ისტორიული წარსულის არქიტექტურული და კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ ნიმუშს და გამოირჩევა მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებებით, აქედან გამომდინარე, იგი განსაკუთრებული ყურადღების საგანია, რომელიც მოითხოვდა დეტალურ შესწავლასა და ანალიზს.

სამშენებლო პერიოდების დიფერენცირების დროს აღმოჩენილი კავშირებისა და პრობლემების გადაჭრის ოზეროვისეული ვარიანტების შესწავლის მაგალითზე ნაშრომში წარმოდგენილია არსებული მდგომარეობის ანალიზი და რეაბილიტაციის პროექტის სწორად გადაჭრის გზები.

როგორც წესი, ამ ტიპის შენობებში, კვალი, რის მიხედვითაც შესაძლებელი ხდება ძველის პირვანდელი სახის სრული რესტავრაცია, წაშლილია. მხოლოდ სამშენებლო ფენების გახსნის შედეგად გამოვლენილი მასალა საშუალებას გვაძლევს, გამოიყოს ძირითადი სამშენებლო პერიოდები და მათი სინთეზი - განსხვავებული სტილის მოცულობების გაერთიანება ახალი სტრუქტურული მთლიანობის სახით განვიხილოთ.

ვნახეთ, თუ როგორი შემოქმედებითი კუთხით მიუღია არქიტექტორი ოზეროვი ისტორიულ გარემოს, როგორ შეინარჩუნა და გამოიყენა არსებული მასალა და რა ოსტატურად მოარგო ახალი მოცულობა ძველ - არსებულ მდგომარეობას, რაც მკაფიოდაა გამოკვეთილი სხვადასხვა პერიოდების მოცულობების გადაბმის ადგილებსა და ნაღესობის ქვეშ მოყოლილ წყობებში (იხ. სურ. №4 და №5).

2008 წელს, რესტავრაციის პროექტის დამუშავების დროს, საპროექტო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება შეგვენარჩუნებინა კვლევის პროცესში გამოვლენილი მნიშვნელოვანი კვანძები, ისე, რომ ხილვადი ყოფილიყო როგორც ალ. ოზეროვისეული არქიტექტურა და გადაწყვეტები, ისე, ალ. ჭავჭავაძის პერიოდის კახური არქიტექტურის დეტალები, წყობა და ხასიათი (იხ. სურ. №7; №8; და №9) რათა ღრმად წარმოგვეჩინა წინაპრების დანატოვარი არქიტექტურული, მატერიალური თუ სულიერი მემკვიდრეობა და მისი განვითარების გზები.

### ლიტერატურა


1. ისტორიულ-სახელოვნებათმცოდნეო-არქიტექტურული კვლევა ავტორები: ლალი ანდრონიკაშვილი და ნანა ინწკირველი - 2008წ.

2. ალ. დიუმა და მისი მოგზაურობის წიგნი "კავკასია" - 1858წ.


3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი XI - 1987წ.

4. ძვ. ქართული ხუროთმოძღვრება - ვახტანგ ბერიძე 1974წ.

პირველი სართულის გეგმა (ოზეროვისეული) სურ. №2 - ალ. ჭავჭავაძის პერიოდის I-II სართულების გეგმების კონტური და სამშენებლო პერიოდები



სურ. №1 - ალ. ჭავჭავაძის პერიოდის I-II სართულების გეგმების კონტური და სამშენებლო პერიოდები



სურ. №2 - მეორე სართულის გეგმა (ოზეროვისეული)



სურ. №3 – ინტერიერი



სურ. №4 – ინტერიერი



სურ. №5 – ინტერიერი



სურ. №6 – ინტერიერი



სურ. №7 - დასავლეთი ფასადი



სურ. №8 – მთავარი - აღმოსავლეთი ფასადი

წყალმომარაგების სისტემებში წყლით უზრუნველყოფის ტექნოლოგიური პროცესის მოდელირება პიეზომეტრული დაწნევის განაწილების საფუძველზე  
 ზ. ციხელაშვილი, დ. ბურბენიძე, ხ. სოსელია, ხ. ბურბენიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 77)

**რეზიუმე:** განხილულია წყალმომარაგების სისტემებში წყლით უზრუნველყოფის ტექნოლოგიური პროცესის დესკრიფციული (აღწერითი) მოდელირებისა და სიტუაციურ მდგომარეობათა კორექციის შესაძლებლობა საკონტროლო-მასხასიათებელ წერტილებში რეალური დროის მასშტაბში ფიქსირებული პიეზომეტრული დაწნევის განაწილების საფუძველზე.

**საკვანძო სიტყვები:** წყალმომარაგების სისტემა, წყლით უზრუნველყოფის პროცესის დესკრიფციული მოდელირება, სიტუაციურ მდგომარეობათა კორექცია, პიეზომეტრული დაწნევები.

## 1. შესავალი

წყალმომარაგების სისტემებში მომხმარებელთა წყლით უზრუნველყოფის ტექნოლოგიური პროცესის მოდელირება რთულ და ძნელად ფორმალიზებად საინჟინრო ამოცანათა კლასს მიეკუთვნება. ამ გარემოებას ისიც ემატება, რომ ეს პროცესი გარკვეული არასტაციონალურობით ხასიათდება (როგორც მათემატიკური მოლოდინის, დისპერსიის, ასევე კორელაციური ფუნქციების მიხედვით).

ნაშრომში განხილულია წყალმომარაგების სისტემების ოპერატიულ-სადისპეტჩერო მართვის პროცესში წყლით უზრუნველყოფის დამყარებული ტექნოლოგიური პროცესის დესკრიფციული (აღწერითი) მოდელირებისა და სიტუაციურ მდგომარეობათა კორექციის შესაძლებლობა საკონტროლო-მასხასიათებელ წერტილებში რეალური დროის მასშტაბში ფიქსირებული პიეზომეტრული დაწნევის განაწილების საფუძველზე.

## 2. ძირითადი ნაწილი

მიზნის მისაღწევად წყლით უზრუნველყოფის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატიულ მართვაში სადისპეტჩერო პერსონალის მიერ აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული ლოგიკური „არამკვეთრი“ მსჯელობები, რომლებიც ფორმალურად წარმოადგენენ სპეციალისტ-ექსპერტთა გადაწყვეტილებებს - ასახულს ხარისხობრივ-კრიტიკული შეფასებების ვერბალურ კატეგორიებში. ეს კატეგორიები შეიძლება განსაზღვრულ იქნას სპეციალური სკალების თანახმად (0 - შეესაბამება პროცესის აბსოლიტურად მიუღებელ სიტუაციურ მდგომარეობას, ხოლო 1 - პროცესის ძალიან კარგ სიტუაციურ მდგომარეობას).

ხარისხობრივ-კრიტიკული შეფასების აღნიშნული სკალა ხასიათდება გარკვეული შუალედური მნიშვნელობებითაც, რომელთა მიხედვით შესაძლებელია აგებულ იქნეს საკვლევი პროცესის დიაგნოსტიკური შეფასების დესკრიფციული ტიპის მოდელები. სკალური გრადაციები როგორც ზემოთ ავლინუნეთ ნაწილდება შემდეგ გრადაციულ მნიშვნელობებში, რომელთა გამოყენება მიზანშეწონილია გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში;

$d=1,00$  - პარამეტრის მაქსიმალურ შესაძლო (დასაშვები) დონე, რომელიც ყოველთვის არ შეიძლება მიღწეულ იქნეს;

$d=1,00$  0.80 - პარამეტრის დასაშვები და მაღალი დონე, რომელიც აგრეთვე ყოველთვის არ შეიძლება მიღწეულ იქნეს;

$d=0,80$  0.60 - პარამეტრის დასაშვები და კარგი დონე, რომელიც იმაზე მეტია რის მიღწევასაც ცდილობენ;

$d=0,37$  - პარამეტრის მოცემული დონე (შეესაბამება პარამეტრის იმ მდგომარეობას, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს);

$d=0,37$  0,0 - პარამეტრის არადასაშვები (ცუდი) დონე.

ვინაიდან, ფიზიკურად მომხმარებელთა წყლით უზრუნველყოფის ტექნოლოგიური პროცესის ხარისხობრივ-სიტუაციური მდგომარეობა შეიძლება გაიზომოს (დახასიათდეს) მხოლოდ ირიბად წყლის მიწოდებისა და განაწილების ფუნქციური სქემის (ან სქემათა ერთობლიობის) მდგენი ელემენტების საკონტროლო-მახასიათებელ წერტილებში ფიქსირებული პიეზომეტრული დაწნევების განაწილების საფუძველზე (დროის მოცემულ მომენტში), ამიტომ დიაგნოსტიკური ტიპის დესკრიფციული მოდელები აგებულ უნდა იქნეს მხოლოდ პიეზომეტრული დაწნევების, როგორც საკონტროლო-საზედამხედველო პარამეტრის ცვლილების მთელი განსაზღვრის არეში. პიეზომეტრული დაწნევების ცვალებადობის დასაშვები არე კი, როგორც წყლით უზრუნველყოფის პროცესის მახასიათებელი პარამეტრი, შერჩეულ უნდა იქნეს ოპერატორ-დისპეტჩერის მიერ განვითარებული დონისა და სუბიექტურ-ხარისხობრივი ფსიქოფიზიკური სახის უპირატესობათა გაზომვებისა და შეფასებათა საფუძველზე, იმისდა მიხედვით, თუ დროის მოცემულ მომენტში რამდენად შესაძლებელია საკვლევი პროცესის მისაღები სიტუაციური მდგომარეობის შენარჩუნება მოქმედ ელემენტ-ნაგებობის ეფექტური ფუნქციონირების რეჟიმის ველში. ქვემოთ მოგვყავს დესკრიფციული მოდელის აგების პროცედურა სასურველობის უნიმოდალური ფუნქციის გამოყენებით რომელიც ემყარება პიეზომეტრული დაწნევების (საკონტროლო-მახასიათებელი პარამეტრის) შესაძლო ცვლილების ორმხრივი შეზღუდვის არის გამოყენების პირობას -  $H_{min} < H < H_{max}$ . დესკრიფციული ტიპის მოდელის აპროკსიმაციისათვის შერჩეულია სასურველობის შედეგი სახის ფუნქცია :

$$d_i = e^{-e^{-(b_0 + b_1 H_i^{ჟაძბ})}}, i = \overline{1, m}$$

აქ  $b_0$  და  $b_1$  საძიებელი კოეფიციენტებია;  $H_i^{ჟაძბ}$  - საანალაზო პიეზომეტრული დაწნევის პარამეტრის მნიშვნელობა;  $e$  - ექსპონენტის ნიშანი. თუ ამ გამოსახულებაში  $e$ -ს გადავწერთ  $\exp(x)$ -ის სახით, მაშინ საკონტროლო-მახასიათებელ წერტილებში ფიქსირებული დაწნევის ხარისხობრივ-კრიტერიული შეფასების დესკრიფციული მოდელი ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$d_i = \exp \left[ - \exp \left( - b_0 - b_1 H_i^{ჟაძბ} \right) \right], i = \overline{1, m}$$

სადაც  $b_0$  და  $b_1$  კოეფიციენტები განისაზღვრება შემდეგნაირად

$$b_0 = \left( H_1^{კარგი} \ln \ln \frac{1}{d_1^{ცუდი}} - H_2^{ცუდი} \ln \ln \frac{1}{d_2^{კარგი}} \right) / (H_1^{კარგი} - H_2^{ცუდი})$$

$$b_1 = \left( \ln \ln \frac{1}{d_2^{კარგი}} - \ln \ln \frac{1}{d_1^{ცუდი}} \right) / (H_1^{კარგი} - H_2^{ცუდი})$$



აქ:  $H_2^{გუბ}$  შესაბამისად, საკონტროლო წერტილში პიეზომეტრული დაწნევის სასაზღვრო არასასურველი ანუ ”ცუდი” სიდიდეა (როდესაც  $d_1^{გუბ} = 0,2$ ) და დაწნევის სასაზღვრო სასურველი ანუ ”ცუდი” მდგომარეობის ამსახველი სიდიდეა (როდესაც  $d_2^{გუბ} = 0,8$ )

$H_i$  - ფაქტიური დაწნევების შესაბამისი დიფერენციული ხარისხობ-რივ-კრიტერიული შეფასებები ხასიათდება შემდეგ სკალარულ გრადაციებში როდესაც -  $d \in [0,0 - 0,37]$  აღინიშნება დაწნევის”ცუდი” სიტუაციური მდგომარეობა;

როდესაც  $d \in [0,37 - 0,63]$  - აღინიშნება დაწნევის”დამაკმაყოფილებელი” სიტუაციური მდგომარეობა;

როდესაც  $d \in [0,63 - 1]$  - აღინიშნება დაწნევის”კარგი” და”ძალიან კარგი” სიტუაციური მდგომარეობა.

რეალურ სიტუაციაში საკონტროლო წერტილების მიხედვით (სასურველობის დიფერენციული ხარისხობრივ-კრიტერიული შეფასებების მიხედვით) განისაზღვრება ხარისხობრივი შეფასების ინტეგრირებული მაჩვენებელი, როგორც დიფერენციული შეფასების საშუალო გეომეტრიული შეწონილი სიდიდე,

$$D_i = \prod_{i=1}^m d_i^{1/m}, \quad i = \overline{1, m}$$

$D_i$  - საკონტროლო წერტილების ერთობლიობაა  $i = \overline{1, m}$  ინტეგრალური შეფასების მიხედვით, რომელიც ხასიათდება ხარისხობრივ-კრიტერიული შეფასების იგივე სკალური გრადიაციებით და რომელიც დაწნევების მოცემული განაწილების შემთხვევაში მაქსიმუმისაკენ უნდა მიისწრაფოდეს და ინარჩუნებდეს, დროის მოცემულ მომენტში, შედარებით სტაბილურ დონეს:

$$D(H) \rightarrow \max_{H \in \Omega}$$

სადაც  $\in$  - დაწნევების განაწილების არამკაფიო სახის უნივერსალური სიმრავლეა.

დაწნევების განაწილების პროცესში დამყარებული წყლით უზრუნველყოფის პროცესის ოპერატიული კორექცია პროცედურულად შეიძლება განხორციელდეს განსახილველი საკონტროლო წერტილების შედგენილი სამოდულო დამოკიდებულებების სასურველობის მოთხოვნილი არეს შესაბამისად, რომელიც აგრეთვე ხასიათდება ზემოთ მოყვანილი იგივე ხარისხობრივ-კრიტერიული შეფასების სკალური გრადაციებით:

$$d_i = \exp\left[-\exp\left(-b_0 - b_1 H_i^{გაქმ}\right)\right] = d_{სასურვ.}$$

### 3. ღასკვნა

ამრიგად, წყალმომარაგების სისტემებში წყლით უზრუნველყოფის ტექნოლოგიური პროცესის დესკრიფციული (აღწერითი) მოდელირება და სიტუაციურ მდგომარეობათა კორექცია შეიძლება დაემყაროს საკონტროლო-მახასიათებელ წერტილებში რეალური დროის მასშტაბში ფიქსირებული პიეზომეტრული დაწნევების განაწილებას. აღსანიშნავია, რომ ოპერატიულ-სადისპეტჩერო მართვის პროცესში წყლით უზრუნველყოფის პროცესის კორექცია რეალურად შეიძლება განხორციელდეს სასურველობის მოთხოვნილ არეში, როგორც ცალკეულად აღებული სქემისთვის, ასევე გარკვეულ ფუნქციურ სქემათა ერთობლიობაში.

თიხაშიქალშემცველი ნატანით – ყვარლის წალკევის ეკორისკის, ხოლო მაღალეფექტური საშენი მასალების წარმოებით სიღარიბის – შემცირების ხელშესაწყობად, კალაპოტიდან ნატანის ამოწმენდა-გატანა-შტილიზაციის ინოვაციური ტექნოლოგიები

რ. სხვიტარიძე, ე. შაფაძე, ი. ბიორბაძე, შ. ვერულავა

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამეცნიერო კვლევითი ცენტრი „ნანოდუდა“, მ. კოსტავას 77, 0175, თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიის თემა ქვეარლის წალკევის ეკორისკის, თარაზული საგზაო ცემენტბეტონის ზედაპირის დაბზარვის, ამტვერების, დესტრუქციის ტენდენციის, შენობის გათბობაზე ხარჯების შემცირების, სიღარიბის აღმოფხვრის ხელშეწყობაა, მდ.დურუჯის ხეობიდან თიხაფიქლური ნატანის ინოვაციური ტექნოლოგიით ამოწმენდა-გატანით და ეფექტურ საშენ მასალებად უტილიზაციით. გამოთქმული აზრები დასკვნები არაა ემოცია – მოსაზრებათა შედეგი და ეფუძნება სტუ-ში, ზაერევის სეისმოცენტრში, თვალტრელიძის კმნი-ში, EN196 და EN 206 ევრონორმებით ჩატარებულ მასალათა ტესტირება - კვლევებს, ბაზრის კვლევით დადგენილი ტენდენცია-კანონზომიერებებით განსაზღვრულ სამოქმედო პრიორიტეტებს, მშენებლობაზე მიღებულ მტკიცებულებებს. თიხაფიქლური ნატანი ინოვაციური ტექნოლოგიით უტილიზირებულ იქნა ცემენტბეტონის მაღალაქტიურ პუცოლანურ მოდიფიკატორად, რომელიც ზრდის სიმტკიცეს/ამცირებს ანიზოტროპიას, აგრეთვე ევროპაში მოთხოვნად შემავსებელ კერამზიტად. იქმნება შესაძლებლობა: ინოვაციურმა ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყოს ქვეარლის ეკორისკის და საქართველოში სიღარიბის შემცირებას, ენერგოეფექტური და მდგრადი მშენებლობების განხორციელებას, სამშენებლო ბიზნესის განვითარებას და ეკონომიკურ აღმავლობას.

**საკვანძო სიტყვები:** ღვარცოფი, თიხაფიქალი, ეკორისკი, პრევენცია, უტილიზაცია, ცემენტბეტონი, დეფექტები, კირი, პუცოლანი, სინთეზი, მოდიფიცირება, კერამზიტი, მდგრადი განვითარება.

## 1. შესავალი

საქართველოს მდგრად განვითარებას სჭირდება სამშენებლო ბიზნესის განვითარება. მშენებლობა ადამიანის განსაკუთრებული უნარ-თვისებაა, მოღვაწეობის სფეროა და მუდმივად ვითარდება, რადგან კავშირშია ადამიანის სიცოცხლესთან, და ჯანმრთელობასთან. ბაზარზე გაჩნდა უსაფრთხო, სეისმომდებელი, ენერგოეფექტური შენობის მოთხოვნა, რადგან საქართველო სეისმო ზონაა, ენერგეტიკულად კი ღარიბია.

## 2. ძირითადი ნაწილი

2005 წ. მთავრობას წარუდგინეთ სამშენებლო სფეროს განვითარების პრიორიტეტების ჩვენი ხედვა [1], რომლებიც დღესაც აქტუალურია. საბაზრო ეკონომიკა, ევროპასთან ინტეგრაცია, სამშენებლო სფეროში სახელმწიფო პოლიტიკად განსაზღვრავს: ადამიანის სიცოცხლე/ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო/ხელშეწყობი გარემოს შექმნა - შენარჩუნებას. გეოლოგიურ-სეისმური მდგომარეობა, ენერგეტიკულ - ეკონომიკური კრიზისი, სამშენებლო სფეროში, სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიად ითხოვს: აშენდეს სეისმომდებელი, ენერგოეფექტური, კომფორტული, ხანგამძლე შენობები“, ხოლო მათ განსახორციელებელ I პრიორიტეტად მიიჩნევა: მშენებლობას მონოლითური მზიდი კონსტრუქციებით, მსუბუქი, სითბოგაუმტარი სივრცის შემომზღული

-

«

»

საშენი მასალებით. შემოთავაზებული ითხოვს: - ახალი ტექნოლოგიებით განვითარდეს საშენი მასალების წარმოება.

ქვევარელთან, გარემოს აბინძურებს მდ.დურუჯის მიერ მოთბიდან ნატანი თიხაფიქლური ქანები, რომელიც „ნედლეულის ეკოგენურად განახლებადი წყარო“, ახლა კი, არღვევს გარემოს წონასწორობას, ქმნის ქ. ყვარლის წალეკვის რისკს. აქედან გამომდინარე, სამშენებლო სფეროს სახელმწიფო სტრატეგიის II პრიორიტეტად ვთვლით: წიაღის დაზოგვას, ეკოგენური ნედლეულის უტილიზაციას.

ქვეყანაში კეთილმოწყობის სამშენებლო პროექტებმა, ბიძგი მისცეს ცემენტ – ბეტონის ბიზნესის განვითარებას. ცემენტის მოხმარებამ 2014 წ. მიაღწია 2,0 მლნ.ტ. მოქმედებს ცემენტის 3 დიდი და 30 მინი საწარმო. ჩვენთან, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან განსხვავებით, განვითარდა ცემენტის ბიზნესი და მისი „მინი ქარხნებით“ წარმოების ტენდენცია, რასაც ხელი შეუწყო კანონმდებლობამ და საბჭოეთში, ცემენტის ქართველი სპეციალისტების ლიდერებში ყოფნამ. ჩვენს ინსტიტუტებში მუშავდებოდა და წარმოებებში ინერგებოდა სიახლეები. შეიძლება ითქვას: ეს ცოდნა, აგრეთვე ცემენტის წარმოების სურვილი/ტრადიცია, „არ ჩარეცხილა, არსად არ წასულა, დარჩა საქართველოში“! მონოლითურ ცემენტბეტონს, მშენებლობისას აქვს დაგეგმილი საპროექტო სიმტკიცის მიღწევის და არქიტექტურულ ჩანაფიქრზე მორგების უნარი, ეკონომიკურია, არადეფიციტურია, ამიტომ მისმა მოხმარებამ ქართულ ბაზარზე 2014წ მიაღწია 5,0 მლნ.მ<sup>3</sup>-ს. არის დადებითი ტენდენციაა - მოთხოვნილი ბეტონის საშუალო მარკამ მიაღწია – C 35. განჩნდა მოთხოვნა C40-70 მარკის ბეტონზეც. [ბაზარზე შემჩნეულია ნეგატიური კანონზომიერებები და ტენდენციებიც [2]:

– ზედაპირული დეფექტები, ბზარების, ამტვერების, სწრაფი ცვეთის სახით;

– „კანონზომიერება“ - იბზარებოდა საგზაო „ჰორიზონტალური“, არ იბზარებოდა „ვერტიკალური“ კონსტრუქციები;

– ბეტონი იბზარებოდა წელიწადის თბილ და არ იბზარებოდა – ცივ პერიოდში; – დეფექტებს ადგილი ჰქონდა ქართული CEM I 42,5 და არ ჰქონდა, თურქული CEM II/A-P 42,5 ცემენტების გამოყენებისას, როცა იგი შეიცავდა 20% პუცოლანს. ანუ, ბეტონის დეფექტები კავშირშია კონსტრუქციის და ცემენტის ტიპთან, ამინდთან. ბეტონის ქიმიდან [3,4] ცნობილია, რომ 250<sup>0</sup>C მეტი სითბო, ბეტონიდან აძლიერებს წყლის აორთქლებას. საგზაო თარაზული კონსტრუქციის ბეტონის გაუმყარებელ ღია ზედაპირზე, რადგან იგი არაა „დაცული“ ყალიბით და ზედაპირის მოღუღი=4–5, დიდია მზის, თბილი ქარის გავლენა, ამიტომ „ბეტონური წყალი“ ზედაპირიდან ადვილად ორთქლდება, ფორებისა და სიცარიელეთა წარმოქმნით, რაც განაპირობებს დაბზარვა /დეფორმაცია/ დესტრუქციის ტენდენციას. ამას ხელს უწყობს საგზაო მშენებლობაში ძირითადად გამოყენებული CEM I 42,5 ტიპის ცემენტის გამყარების ეგზოთერმიაც. იმისთვის, რომ არ აორთქლდეს ბეტონის წყალი და იგი არ დაიბზაროს ზაფხულშიც კი, როცა მზის რადიაცია=750–800ვტ/სთ, საჭიროა პრევენცია, რაც ართულებს/აძვირებს მშენებლობას, ამიტომ მას არ აკეთებენ, ბეტონი კი იბზარება!

ცემენტბეტონის სიმტკიცის ანიზოტროპია გლობალური პრობლემაა. ბეტონი კონგლომერატული სტრუქტურის ხელოვნური ქვაა. შედგება სხვადასხვა გენეზისის და დისპერსიის, მყარი და თხევადი ფაზების შემცველი ნაერთებისგან, ფორების, სიცარიელეების და კაპილარებისგან [3]; ბეტონის ზედაპირის ამტვერების, ადვილცვეთის და ანიზოტროპიის ტენდენციაში კონგლომერატულობის გარდა, „დამნაშავეა“ ცემენტში მინერალურად შეუკავშირებელი 1–5% CaO თავ, (წარმოიქმნება კლინკერის „მშრალი წესით“ მიღებისას) არსებობა, ხოლო ბეტონში - ცემენტის მინერალურად შეკავშირებული 60–65% CaO–დან წარმოქმნილი, მაგრამ, სხვა ნაერთებთან ერთობლივ კრისტალპიდრატებად ჯერ კიდევ შეუკავშირებელი, ვარაუდით 20–25% Ca(OH)<sub>2</sub> თავ. არსებობა. კირი ცემენტბეტონის ქვის სტრუქტურული კომპონენტიცა, ქმნის „ტუტე არეს“ (pH=11-13), პასივაციას უკეთებს

-

«

»

ლითონის არმატურას და იცავს კოროზიისგან. წყალთან, ცემენტის 80%  $\text{CaO}$  წარმოქმნის მინერალ პორტლანდიტს  $\text{Ca(OH)}_2$ , რომელიც ცემენტშივე მყოფ თიხამიწას და კაჟმიწას უკავშირდება წყალში უხსნადი ნაერთების, ტობერმორიტი  $\text{CSH}$ , სტრატლინგიტი  $\text{C2ASH8}$ , ეტრინგიტი  $\text{C6A2S3H32}$  და სხვათა წარმოქმნით. ბეტონის „თავისუფალი კირი“, მუდმივ განიცდის გარემოს წყლის და ჰაერის  $\text{CO}_2$  გავლენას, რაც ააქტიურებს ანიზოტროპიას, სიმყიფეს, ბზარების, ფორების, სიცარიელის წარმოქმნას, სითხის შეღწევადაობას და ამცირებს ხანმედევობას [4,5]. ცემენტის 20%  $\text{CaO}$  - დან  $\text{Ca(OH)}_2$  „ნაგვიანები“ წარმოქმნა, იწვევს:

- ლოკალური სარეაქციო არის მოცულობის 2,5 ზრდას – ზედაპირის აფუებით. ამ დროს, კირის „ჩაქრობადი“ ნაწილაკები ბეტონის ზედაპირს „შორდება“ სივრცეში გატყორცნა/ამტვერების გზით, ხოლო კირის „დარჩენილი“ ნაწილაკები ჰაერიდან  $\text{CO}_2$  მიერთებით კარბონიზირდებიან  $\text{CaCO}_3$  წარმოქმნით და იკლებენ მოცულობაში, რაც ხელს უწყობს ზედაპირული ფორების, სიცარიელეების და ბზარების წარმოქმნას;

- ბეტონში, ექსპანსიური კრისტალჰიდრატ ეტრინგიტის  $\text{C6AS-3H32}$ , გვიან წარმოქმნასთან თანამდეგ დესტრუქციას და სულფატური აგრესიებისადმი არამდგრადობას.  $\text{C20-C50}$  კლასის ბეტონში, ცემენტი არის 10–25%, შესაბამისად  $\text{Ca(OH)}_2$  თავ. 2–5%. მოოსის შკალით,  $\text{Ca(OH)}_2$  სიმტკიცე=2–3, ბეტონის შემავსებელი ქვიშაქვის=6–7, ხოლო ცემენტის ქვის=4–5.  $\text{Ca(OH)}_2$  თავ. ბეტონში ყველაზე სუსტი, არამდგრადი ნაერთია. სტრუქტურაში იგი იმყოფება ცემენტის ქვისა და შემავსებლის საზღვარზე. ცნობილია, რომ ბეტონის სიმტკიცე დამოკიდებულია ცემენტმატრიცის და შემავსებლის ურთიერთობაზეც სასახლვრო ზონაში. ცემენტბეტონში  $\text{Ca(OH)}_2$  თავ. სიჭარბე, კიდევ უფრო ამცირებს სიმტკიცეს ღუნვაზე, ანუ ზრდის ანიზოტროპიას. „დღევანდელი“ ცემენტბეტონის სიმტკიცე კუმშვაზე=35–70 მპა, ხოლო ღუნვაზე=3–7 მპა, ვერ აკმაყოფილებს ახალ მოთხოვნებს – სიმტკიცე კუმშვაზე=100–120მპა, ღუნვაზე=20–30მპა. ცემენტბეტონში  $\text{CaO}$  თავ. და  $\text{Ca(OH)}_2$  თავ. სიჭარბის, ანიზოტროპიის, ამტვერების, დესტრუქციის, ადვილცვეთადობის და ანიზოტროპიის პრევენციისთვის, ცემენტს დაფქვისას, ხოლო ბეტონს ადუღაბებისას უმატებენ პუცოლანურ მოდიფიკატორებს, რომელთა შემადგენელი  $\text{Si}$  და  $\text{Al}$  ოქსიდები კირთან წარმოქმნიან წყალში მდგრადი ნაერთების ტობერმორიტის  $\text{CSH}$  და სტრატლინგიტის  $\text{C2ASH8}$  დამატებით რაოდენობას.

**საკვანძო სიტყვები:** გრუნტის წყალი, მეწყერი, დიღმის დეპრესია, თიხაფიქლები, ქვიშაქვები, მდგრადობა.

### 1. შესავალი

ქ. თბილისი მიეკუთვნება მთაგორიან მხარეს, ამიტომ როგორც ყველა მთაგორიან ქვეყანაში მეწყერი საკმაოდ ხშირ მოვლენას წარმოადგენს. გამონაკლისი არც ქ. თბილისია. ჩვენ მიერ გამოყენებული იქნა ქ. თბილისში განვითარებული მეწყრები. მეწყერი ეწოდება ქანების დაცურებას ფერდობზე. იგი გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით. წარმოდგენილ სტატიაში ჩვენ მიერ გამოკვლეულია ქ. თბილისის ერთ-ერთი მეწყერი, რომელიც მუხათგვერდის მეწყრის სახელითაა ცნობილი. სტატიაში დახასიათებულია მეწყერი, მისი წარმოშობის მიზეზები და ასევე მოცემულია მეწყრული ფერდის ანგარიში მდგრადობაზე.

### 2. ძირითადი ნაწილი

დიდ დიღომში ზემოაღნიშნული მეწყერი განვითარდა მუხათგვერდის სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე, სექტორ №72, მე-14 კვარტალში, ნაკვეთ №005/27-ს მიმდებარე ტერიტორიაზე. იგი დიღმის დეპრესიას ესაზღვრება სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან. ვინაიდან საკვლევი ტერიტორია განეკუთვნება დიდი დიღმის დეპრესიას, ამიტომ მოკლედ შევეხებით დიღმის დეპრესიის გეოლოგიას.

საკვლევი ტერიტორია განეკუთვნება დიდი დიღმის დეპრესიას, რომელშიც აღმოსავლეთის მხრიდან ფრაგმენტულადაა გავრცელებული მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაწილზე ჭალიზედა პირველი ტერასა. დასავლეთის მიმართულებით ქვაბულის შემომსახვრელი ფერდობი თანდათან მალდება და გადადის ბორცვიან მთლიან ზოლში.

თუ როგორ წარმოიშვა დიღმის დეპრესია, ანუ დიღმის ქვაბული, ამ საკითხზე მკვლევარებს შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. უმეტესი თვლის, რომ ქვაბული ტექტონიკურია, რომელიც შემდეგ ამოივსო ძირითადი ქანების დაშლის შედეგად წარმოშობილი დელუვიურ-პროლივიური ნალექებით. ეს ნალექები ქმნის სწორედ დიღმის ვაკეს, რომელიც გადაჭიმულია მდ. მტკვრის ხეობამდე. აღსანიშნავია, რომ ფერდობი, რომელიც ეკვრის დიღმის ვაკეს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან, საკმაოდ ციცაბოა. თვითონ დიღმის ვაკე ტერიტორიის რელიეფი მეტად მცირე დახრით

ხასიათდება აღმოსავლეთის მიმართულებით. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ იმეწყრება ძირითადი ქანებისგან შემდგარი მუხათგვერდისკენ მიმავალი ფერდობი. მათი დამეწყრის მიზეზი, უმთავრესად, ანთროპოგენურია. მუხათგვერდის სასაფლაოს განაშენიანებას მოჰყვა საავტომობილო გზის გაყვანა დიდი დიღმიდან სასაფლაოსკენ. ამან ძლიერ შეუწყო ხელი მეწყრების წარმოქმნასა და განვითარებას.

ძირითადი ქანები, რომლისგანაც წარმოდგენილია საკვლევი ტერიტორიის ფერდობები, შედგება მესამეული ასაკის თიხაფიქლებისა და ქვიშაქვების მორიგეობისგან. ვინაიდან ადრეულ ხანაში დიაგენეზისის პერიოდში ტექტონიკური პროცესები მეტად შესუსტებული იყო, აღნიშნულმა ქანებმა ვერ მიიღეს სათანადო

-

«

»

სიმტკიცე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მორიგეობაში აშკარად ჭარბობს თიხაფიქლები. შეფარდება ასეთია 5:1-თან. ორივე ქანი ხასიათდება თხელშრეობრიობით. ტექტონიკურად საკვლევი ტერიტორია მოქცეულია დიდმის სინკლინის ჩრდილო ფერდის ფარგლებში. ქანების ვარდნის აზიმუტია 1700, ხოლო ვარდნის კუთხე 20-300-ს შეადგენს.

ფერდობები, რომლითაც შემოსაზღვრულია დიდმის დეპრესია, ძირითადად წარმოდგენილია მესამეული ასაკის ზედა ეოცენის მაიკოპის სერიით – ოლიგოცენ-ქვედამიოცენური ასაკის ქანებით. მაიკოპის ქანები თავისი შემადგენლობით სამი ნაწილისგან შედგება – ქვედა, შუა და ზედა ნაწილისგან.

მეწყრული სხეული ძირითადად სუბარგილითებით არის წარმოდგენილი.

სუბარგილითები ბუნებრივ პირობებში მოყვითალო-მონაცრისფრო ფერით ხასიათდება. ლითოლოგიურად ისინი თიხებს წარმოადგენს. მათი პლასტიკურობის რიცხვი 17-ზე მეტია, რაც სახსტანდარტის ნორმებით თიხებს მიეკუთვნება. თიხური ფრაქცია ჰიდროქარსებითა და მონტმორილონიტით არის წარმოდგენილი.

ქვიშაქვები მასივში გვხვდება თხელი ფენების სახით (1-2 სმ). ხასიათდება მონაცრისფრო ფერით. მათი ცალკეული მარცვლები შეცემენტებულია თიხური მასალით. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქვიშაქვები თიხაფიქლებთან შედარებით მცირე გავრცელებით სარგებლობს, შეიძლება ითქვას, რომ მასივის ბუნებას ძირითადად თიხაფიქლები გამოხატავს.

მეწყრის გამოკვლევისათვის გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი. მათი სიგრძე შეადგენს 32.0 მეტრს. ასევე ხელბურღვით გაყვანილი იქნა 6 ჭაბურღილი 65 მ საერთო სიგრძით. ხელბურღილების გამოყენება გამოწვეული იყო მეწყრის რელიეფის გამო. პრაქტიკულად იმ ადგილებში ავტომანქანის შეყვანა შეუძლებელია.

ჩატარებულმა ბურღვითმა სამუშაოებმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა მეწყრულ უბანზე გავრცელებული ქანების ლითოლოგია და აგველო ნიმუშები გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასადგენად. სულ აღებული იქნა გრუნტის 12 ნიმუში. მათი თვისებების განსაზღვრა მოხდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიაში.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა მოედნის ფენა წარმოდგენილი ძირითადი ქანებით მესამეული ასაკის სუბარგილითებით, რომლებიც შეიცავს ქვიშაქვების თხელ (2-3 მმ) ფენებს. ამრიგად, მორიგეობაში სიმტკიცე დამოკიდებულია ძირითადად სუბარგილითების სიმტკიცეზე. ამიტომ სუბარგილითების თვისებები დეტალურად იქნა გამოკვლეული. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ მეწყრს იწვევს ზედაპირული წყლები, რომლებიც ჩაიჟონება გრუნტში და ასუსტებს მას.

სუბარგილითები ლითოლოგიურად წარმოადგენს თიხებს, რომელმაც სახე იცვალა მაღალი ტემპერატურისა და დიდი წნევის ზეგავლენით.

სუბარგილითების მინერალური შედგენილობა კომპლექსურად იქნა გამოკვლეული. შედარებით მსხვილი ფრაქციები გამოკვლეული იქნა პოლარიზაციული მიკროსკოპით, ხოლო თიხური ფრაქციები (ფრაქციები, რომელთა მარცვლის დიამეტრი <0.05 მმ-ზე) შედგების მეთოდით. როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენა, ქვიშისა და მტვროვან ფრაქციებში უპირატესობა ენიჭება კვარცსა და მინდურის შპატებს.

ქვემოთ მოგვყავს სუბარგილითების თვისებების გასაშუალებული მნიშვნელობანი:

1. ბუნებრივი ტენიანობა – 16-18% (გაწყლიანებულ ზონაში 30-31%)
2. ბუნებრივი სიმკვრივე – 1.05-2.02 გ/სმ<sup>3</sup>
3. ჩონჩხის სიმკვრივე – 2.72 გ/სმ<sup>3</sup>
4. პლასტიკურობის ზედა ზღვარი – 46%
5. პლასტიკურობის ქვედა ზღვარი – 22%
6. პლასტიკურობის რიცხვი – 21
7. დენადობის მაჩვენებელი – მშრალის -0.21, სველის 0.42

-

«

»

8. შიგა ხახუნის კუთხე დაცურების სიბრტყეში – 50-60

9. კუთრი შეჭიდულობა დაცურების სიბრტყეში – 0.1 - 0.2 კვ/სმ<sup>2</sup>

ცდებმა გვიჩვენა, რომ სუბარგილითები დასველების შემთხვევაში მკვეთრად კარგავს სიმტკიცეს, რაც იწვევს ფერდობზე მეწყრული პროცესების განვითარებას.

არსებული მეწყრის საანგარიშო სქემად ყველაზე უფრო მისაღებია მასლოვ-ბერერის ჰორიზონტალური ძალის მეთოდი. ვინაიდან საქმე გვაქვს ძირითად ქანებთან, მათი დაცურების კონფიგურაციას ყველაზე კარგად გამოხატავს სწორედ მასლოვ-ბერერის მეთოდი. მეწყრის მდგრადობა ნაანგარიშევი ფორმულით:

$$K = \frac{\sum P_i [tg \alpha_i - tg \alpha - \Psi P_i]}{\sum P_i tg \alpha_i} \quad (1)$$

თუ ჩავსვამთ მიღებული მნიშვნელობანი ცხრ. №2.3-ში, ჩვენ მივიღებთ, რომ მეწყრის მდგრადობის კოეფიციენტი  $K=0.7$  რაც ნიშნავს, რომ მეწყერი არამდგრადია და იგი მოითხოვს მეწყრული მასის ადგილზე გამაგრებას. მისი თვისებების გაუმჯობესებით (გამოწვა, ელექტროქიმიური გამაგრება, სილიკატიზაცია და სხვა) ანდა უნდა მივმართოთ ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა, ნაბურღ-ნატენი ხიმიწვებით მეწყრების გამაგრება და სხვა.

მეწყრული ფერდობის ანგარიში კლასიკური მეთოდით (გასაშუალებული  $\varphi$  და C-თი)

$$\rho = 2.0 \text{ გ/დმ}^3 \quad \varphi = 6^\circ \quad C = 0.1 \text{ კვ/სმ}^2$$

ცხრილი №2.3

ბლოკის №	ბლოკის ზომები, მ	ბლოკის მოცულობა მ <sup>3</sup>	ბლოკის წონა	ბლოკის დახრ ა, α°	tg α	H = γ · tg α	C/P	F <sub>p</sub> =tg α + C/P	Ψ <sub>p</sub> = arctg F <sub>p</sub>	α - Ψ <sub>p</sub>	g(α - Ψ <sub>p</sub> )	E = g · tg(α - Ψ <sub>p</sub> )
1	$\frac{8 \times 10}{2}$	40.0	80.0	38	0.78	62.4	0.10	0.20	12	26	0.5	40.0
2	$\frac{8 + 14}{2} \times 12.5$	138.0	276.0	30	0.58	160.1	0.08	0.18	10	20	0.38	102.0
3	$\frac{12 + 16}{2} \times 13$	182.0	364.0	19	0.34	123.8	0.05	0.15	9	10	0.18	66.0
4	$\frac{16 + 12}{2} \times 13$	182.0	364.0	9	0.16	58.2	0.05	0.15	9	2	0	0
5	$\frac{12 + 8}{2} \times 13$	13.0	260.0	3	0.05	13.0	0.05	0.15	9	6	0.1	-26
6	$\frac{8 + 7}{2} \times 12.5$	94.0	188.0	2.0	0.03	5.64	0.07	0.18	11	9	0.16	-32
7	$\frac{7 \times 12.5}{2}$	44.0	88.0	2.0	0.03	2.64	0.07	0.22	12	10	0.2	-17
						426.0						126

$$K = \frac{T}{H} \quad T = H - E = 426 - 126 - \frac{300}{426} = 0.7 \quad \text{მდგრადობის კოეფიციენტი } K=0.$$

### 3. დასკვნა

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ მეწყრის წარმოშობის მიზეზი ზედაპირული წყლებია. ანგარიშში მოცემულია მეწყრის მდგრადობაზე ანგარიში, საიდანაც ჩანს, რომ მეწყრული ფერდობის მდგრადობა ნაკლებია 1-ზე. ეს კი მიგვანიშნებს, რომ აუცილებელია არსებული მეწყრის ხელოვნური გამაგრება.

### ლიტერატურა

1. კერესელიძე დ. - გრუნტების მექანიკისა და ფუძე-სადირკვლები. 1976 წ.
2. ჭოსონელიძე გ. - „გრუნტების მექანიკა“. 2006 წ.

**კონტინენტური დეკორაციების მნიშვნელობა თბილისის  
ლანდშაფტური სივრცეების ფლორისტულ-მხატვრულ  
ბაზორმეზებში**

**ლ. ქურდაძე, მ. ფოჩხუა**

**(სტუ-ს არქიტექტურის, დიზაინისა და ურბანისტიკის ფაკულტეტის  
არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის დეპარტამენტი)**

***რეზიუმე:** ლანდშაფტური სივრცის სწორი გააზრება, კონცეფტუალური ფორმირება და მისი დეკორატიულ-მერქნიანი და ყვავილოვან-ბალახოვანი მცენარეებით გაფორმება, უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს თანამედროვე ქალაქგეგმარებაში, პარალელურად მწვანე არქიტექტურა განუყოფელი ნაწილია ქალაქის განვითარების, როგორც სტაბილური ეკოლოგიური გარემოს გარანტი.*

***საკვანძო სიტყვები:** ლანდშაფტური არქიტექტურა, რეკრეაციული ზონები, მცენარეთა კულტივირება და ინტროდუქცია, ფიტოდიზაინი, მწვანე მშენებლობა.*

### 1. შესავალი

მწვანე არქიტექტურა თვისობრივ ურთულეს დარგს წარმოადგენს და პროფესიონალურ მიდგომებს საჭიროებს, არქიტექტურული, ბიოლოგიური, აგრარული, ინჟინრული და ეკოლოგიური მეცნიერებების ძირითადი პრინციპების გამოყენებით შესაძლებელია ბაღ-პარკების დაპროექტება და გაშენება, შედეგად კი მაქსიმალური დეკორატიული ეფექტის მიიღება.

თბილისის მასშტაბით სხვადასხვა რეკრეაციული ზონების განვითარებისათვის, ახალი მწვანე კერების შესაქმნელად, ძველი ბაღ-პარკების რეკონსტრუქცია-აღდგენისთვის მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ და შეძლებისდაგვარად გავიზიაროთ განვითარებული ქვეყნების მაგალითები.

ფლორისტული გაფორმებების ისტორიული მნიშვნელობის შესწავლისა და გაანალიზების, ასევე ამ კუთხით თანამედროვე მიღწევების მხატვრული გაფორმებების განხილვის პარალელურად სამამულო პრაქტიკაში აუცილებელია გამწვანების საკითხებთან დაკავშირებით საკანონმდებლო რეგულიაციების გაძლიერება, სადაც სტანდარტები გაეროს 2012 წლის ვენეციის კონვენციის მიხედვით იქნება განსაზღვრული. მათი შესრულება ჩვენი ქვეყნის ევრო-ატლანტიკური სივრცეებისკენ მიმავალ გზაზე აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

### 2. ძირითადი ნაწილი

თბილისში არსებული გამწვანების და ეკოლოგიური ვითარების ანალიზი.

ბოლო წლებში თბილისის მოსახლეობა მკვეთრად გაიზარდა, რაც გამოწვეულია ქვეყნის რეგიონებიდან მოსახლეობის დედაქალაქისკენ მიგრაციის მაღალი დონით. შედეგად ქალაქი არქიტექტურულ-ურბანული განვითარების ახალი გამოწვევის წინაშე დადგა. კანონმდებლობითი რეგულიაციების არ არსებობის შედეგად სხვა სტანდარტებზე გათვალისწინებულ დასახლებულ უბნებში მოხდა ფართო მასშტაბიანი სამშენებლო ინტერვენცია. განსაკუთრებით მძიმე შედეგები გვაქვს ისტორიული ღირებულების მქონე თბილისის ძველ უბნებში, სადაც პირვანდელი იერსახე პრაქტიკულად ორიგინალურ-სტილისტური კონტექსტიდან არის ამოვარდნილი. ქალაქის რეკრეაციული სივრცე შემცირდა. კომერციული დანიშნულების მქონე ობიექტებისთვის დამატებითი ფართობის მიშენებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი ბორდიურები. ბორდიურების უხვმა მოასფალტებამ, მოედნების ეგრეთწოდებულ

-

«

»

კუნძულებად ფორმირებამ, მისმა დაბეტონებამ და ფილაქნით მოპირკეთებამ შექმნა ქალაქის პორტრეტი, სადაც პრაქტიკულად აღარ არსებობს გრუნტოვანი ადგილები ფლორისტულ-მხატვრული გაფორმებებისთვის, რაც საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქალაქისთვის.

ამ მხრივ პარალელს თუ გავავლებთ ძველს და ახალს შორის, უდავოა რომ თბილისი განვითარების არცერთ ეტაპზე ქალაქგეგმარების სპეციალისტები დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ ქუჩების გამწვანების საკითხს, რისი დასტურიც თბილისისთვის დამახასიათებელი ვიწრო ქუჩები და ტროტუარებია, აღნიშნულის მიზეზი იყო ის, რომ თბილისში და მის შემოგარენში არსებული უნიკალური ტყეპარკები ქმნიდა იდეალურ ეკოლოგიურ გარემოს ქალაქის მკვიდრთათვის.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან რეკრეაციულ ზონებშივე ხდებოდა მცენარეული გაფორმებები, სხვადასხვა სახის ყვავილოვან-დეკორატიული ნარგაობების ჩამატებები. დღევანდელი ვითარება კი მკვეთრად განსხვავებულია, საცხოვრებელი მასივების ზრდამ სტიქიურად შთანთქა ქალაქის საგარეუბნო ზონაში არსებული მწვანე ზოლი. ურბანიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გარემოს ვიზუალური კვლევა გვიჩვენებს, რომ ამ მიმართულებით ვითარება საკმაოდ მძიმეა. ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი ავტომაგისტრალის გაყვანისთვის მხოლოდ მდინარე ვერეს ხეობაში 700 -ზე მეტი ასწლოვანი ხე გაიჩეხა საკომპენსაციო გამწვანების გარეშე. აგრეთვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს დიდმის საცდელი მეურნეობის გასხვისებისა და უმოწყალოდ გაჩეხვის ფაქტი. ამ და სხვა მრავალმა მეცნერულ კვლევას მოკლებულმა ქმედებებმა დედაქალაქში უმძიმესი ეკოლოგიური ვითარება შექმნა.

ალტერნატიული გამწვანების კონცეფცია.

თბილისის გამწვანების მნიშვნელობის გააზრებით და ამ სფეროში არსებულ პრობლემების ანალიზის საფუძველზე, ჩვენს მიერ შემუშავდა ალტერნატიული გამწვანების კონცეფცია, რაც ძირითადი პრობლემის, კერძოდ ქუჩებზე მცენარეთა გაფორმებისთვის გრუნტოვანი ადგილების არ არსებობის აღმოსაფხვრელად არის მიზანმიმართული. ალტერნატიული გამწვანების კონცეფცია გულისხმობს - საფეხმავლო ტროტუარების, მოედნების, მცირე არქიტექტურული ფორმების, ლამპიონების, შენობათა ფასადების და სხვა ადგილების გაფორმებას დახვეწილი, ორიგინალური ფორმის მქონე კონტეინერში მოთავსებული ერთწლოვანი და მრავალწლოვანი მცენარეებით. აღნიშნული კარგად აპრობირებული პრაქტიკა განვითარებულ ქვეყნებში. თუმცა რომელიმე მაგალითის ზუსტი კოპირება დაუშვებელი და მიუღებელია გამომდინარე თბილისის ბუნებრივი ლანდშაფტის, კლიმატის და საზოგადოების ცხოვრების სტილის გამომდინარე. შეიქმნება ინდივიდუალური, ორიგინალური, თავისებური ქალაქის სახე. იდეის განხორციელება თბილისის მაგალითზე ჰორიზონტალური და ვერტიკალური გამწვანების მაღალ დეკორატიულ ეფექტს მოახდენს გარდამავალი პერიოდის მქონე დედაქალაქის იერსახის ფორმირებაში. ამ მხრივ გარკვეული ტენდენციები და მცდელობები შეინიშნება, რაც ერთის მხრივ მისასაღებელია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში დილექტანტურ დონეზეა შესრულებული და მაქსიმალური დეკორატიული ეფექტის მისაღებად პროფესიონალურ მიდგომებს საჭიროებს. მნიშვნელოვანია კონტეინერის დიზაინი იყოს დახვეწილი, ორიგინალური და რაც მთავარია, ჰარმონიულად ერწყმოდეს კონკრეტულ სივრცეს. კონტეინერის ფორმა და ნაკეთობის მასალა (ქვა, ხე, თიხა, პლასტმასი, მეტალი, აგური და ა.შ.) ადგილობრივ არქიტექტურასთან და მცირე არქიტექტურულ ფორმებთან შეხამებული უნდა იყოს. მნიშვნელოვანია, გაფორმებაში გამოყენებული მცენარეების სორტიმენტის გამდიდრება, როგორც დეკორატიულ-მერქნიანი, ასევე ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ყვავილოვან-ბალახოვანი მცენარეებით მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის



და მისი შემოგარენის ფლორა საკმაოდ მრავალფეროვანია. აგრეთვე ადგილობრივი კლიმატური პირობები იძლევა საშუალებას მოხდეს სხვადასხვა საზღვარგარეთ კულტივირებული მცენარეების ადგილზე წარმატებული ინტროდუქცია. კონტინენტური დეკორაციებით ქალაქის გაფორმება საშუალებას გვაძლევს სპეციალური კონტინენტის გადატანით მარტივად შევცვალოთ ადგილის დიზაინი მრავალფეროვნებისთვის, აგრეთვე მცენარის დაავადების შემთხვევაში მოსახერხებელი იქნება მისი გადატანა შესაბამის პირობებში შემდგომი რეაბილიტაციისთვის. მნიშვნელოვანია, რომ კონტინენტში ნიადაგი იყოს კომბინირებული, ორგანული და მინერალური სასუქებით დოზირება მოხდეს სწორად, აგრეთვე სარწყავი სისტემა იყოს გამართული და სათანადოდ პასუხობდეს მცენარის ინდივიდუალური ბიოლოგიის მოთხოვნებს.

მცენარეთა სორტიმენტის შედგენისას მისი ადგილობრივი პირობებისადმი მდგრადობის გარდა მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ის კრიტერიუმები რის მიხედვითაც განისაზღვრება მცენარის მაღალ-დეკორატიულობა. მაგალითად: ყვავილედის ფორმა, დიამეტრი, ფერი, არმატი, ყვავილობის ხანგრძლივობა და სხვა. კონტინენტური დეკორაციებით თბილისის ქუჩების შელამაზებისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი ერთწლოვანი ყვავილოვანი მცენარეები - *Amarantus coudatus*, *Ageratum*, *Zinnia*, *Pentas*, *Cataranthus*, *Verbena*, *Portulaca grandiflora*, *Callistepus*, *Gomphrena*, *Begonia*, *Celosia*, *Bellis*, *Myositis Viola*, *Dahlia*, *Antirrhinum*, *Canna*, *Mirabilis*, *Tagetes* და სხვა.

მრავალწლოვანი ყვავილოვანი მცენარეები - *Astilbe*, *Hemerocallis*, *Hosta*, *Heuchera*, *Cheiranthus*, *Chrysanthemum*, *Coreopsis*, *Verbena*, *Acanthus*, *Cineraria maritima*, *Aquilegia*, *Delphinium*, *Linaria*, *Echinacea*, *Penstemon*, *Santolina*, *Digitalis*, *Alstroemeria*, *Aethionema eduntulum* და სხვა.

დეკორატიული ბუჩქები - *Lagerstroemia*, *Abelia*, *Lantana*, *Laurus*, *Ligustrum*, *Nerium*, *Laurocerasus*, *Rosa*, *Taxus*, *Lavanda*, *Juniperus*, *Thuja*, *Viburnum*, *Pyracantha* და სხვა.

ისეთი მნიშვნელობის მქონე შენობა-ნაგებობების მიმდებარე ტერიტორიებზე, როგორებიც არის მუზეუმები, ან შენობები სადაც იმართება მაღალი რანგის შეხვედრები, კონტინენტური გაფორმება შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი მაღალდეკორატიულობის მქონე მცენარეებით, როგორიც არის საორანჟერიო და მათი გამოყენება გარე გაფორმებაში შეიძლება მხოლოდ სეზონურად, მაგალითად - *Abutilon*, *Aspidistra*, *Bougenvillea*, *Asparagus*, *Aloe*, *Agava*, *Ficus*, *Arma*, *Cissus*, *Kalanchoe*, *Sansevieria*, *Monstera*, *Dracaena*, *Palmae*, *Phacelia*, *Strelitzia* და სხვა.

ვერტიკალური ანუ ფასადური გამწვანებისთვის კონტინენტის გამოყენებით შესაძლებელია გაფორმდეს გარე უბნებში არსებული, დაბალი არქიტექტურული ღირებულების მქონე, მრავალ სართულიანი კორპუსები სადაც ეფექტური იქნება ხვიარა მცენარეები, მაგალითად - *Clematis*, *Poligonum*, *Lonicera*, *Tecoma*, *Hedera*, *Visteria*, *Trachelospermum*, *Vitis*, *Ampelopsis*, *Parthenocissus*, *Pasiflora* და სხვა.

### 3. დასკვნა

სტატიაში განხილული სამეცნიერო კვლევების და ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნების გათვალისწინების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები:

ქალაქის არქიტექტურულ-გეგმარებითი პოლიტიკის განსაზღვრის დროს, გამწვანების საკითხის აქტუალობაზე და მნიშვნელობაზე სხვა დადებით თვისებებთან ერთად მცენარეში არსებული ფიტონციდური შემცველობა

მეტყველებს, რომელიც წმენდს ჰაერს მავნე ელემენტებისგან და ფუნქციურად ეკოლოგიური გარემოს ოპტიმიზაციას უწყობს ხელს.

დეკორატიული ნარგაობები აუმჯობესებენ მიკროკლიმატურ და სანიტარულ პირობებს, არეგულირებენ ადგილობრივ კლიმატს, ჰაერის ტენიანობა მატულობს, ქარის სიძლიერე მცირდება, ხდება ხმაურის მნიშვნელოვანი ჩახშობა, დასახლებული უბნები დაცულია სხვადასხვა მავნე ეკოლოგიური ფაქტორებისგან. ბალახოვანი საფარი მტვრისგან დაცვის საუკეთესო საშუალებაა და მის გაფანტვას უშლის ხელს, ცნობილია რომ 35% მწვანე მოლის საფარი მტვრის გაფანტვას 50% -ით აფერხებს, ხოლო გამწვანების 65%-იანი ბალახის საფარი 95% -ით, ასევე მას გააჩნია უნარი აირეკლოს ულტრაიისფერი სხივების 2%, ლურჯის - 6%, მწვანის - 15%, წითლის - 17%, მუქი წითელის - 25%, მხოლოდ ინფრაწითელი სხივების 40%.

თანამედროვეობა რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ განიხილება როგორც ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების ეპოქა, რომელიც ამა თუ იმ პროფესიის მოქალაქეებისგან სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს მოითხოვს დაძაბულ სამუშაო გრაფიკს, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს გადაღლილობას და სტრესს. მრავალფეროვან მცენარეულობას, შერჩეულს და ერთმანეთთან შეხამებულს, ვარჯის ორიგინალური ფორმით, ყვავილებით, ფოთლებით, აგრეთვე ნაირ-ფერად ვარდ-ყვავილნარებს და ზურმუხტოვან მწვანე მოლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მწვანე ნარგაობებთან ახლო კონტაქტი და ამ გარემოში ყოფნა იდეალურია განტვირთვა-რელაქსაციისთვის, ამადლებს გუნება განწყობილებას და მატებს ადამიანს ქმედითუნარიანობას. ფასდაუდებელია მცენარეთა როლი ჩვენს სამუშაო, თუ საცხოვრებელ გარემოში.

### ლიტერატურა

1. შ. ისაკაძე, დეკორატიული დაბალბალახოვანი ადგილობრივი მცენარეები, თბილისი 2005.
2. ი. ხმალაძე, გამწვანების საფუძვლები, საქართველოს კბცკ-ის გამომცემლობა თბილისი 1961.

## მრეწველობის მენეჯმენტი განვითარების მიკროეკონომიკური პრობლემა

გ. ტყეშელაშვილი ზ. კუპატაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175 თბილისი საქართველო.)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია მრეწველობის განვითარების მიკროეკონომიკური პრობლემები. აღნიშნულია, რომ საწარმოთა ამჟამინდელი მმართველობითი აპარატი, მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და დაბალკვალიფიციური პერსონალი თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. მითითებულია, რომ მენეჯმენტის გასაჯანსაღებლად უპირველეს ეტაპად საჭიროა რესტრუქტურისაციის ჩატარება, რომელიც უზრუნველყოფს მართვის დირექტიული მეთოდების ჩანაცვლებას ეკონომიკური მეთოდებით. აუცილებელია ამ სფეროში საზღვარგარეთის გამოცდილების ადაპტირება ჩვენს პირობებში, რომელიც ცხადყოფს მრავალი კომპანიის რეორგანიზაციას დეცენტრალიზაციის მიმართულებით.

**სკვანძო სიტყვები:** ეკონომიკა; მრეწველობა; მიკროეკონომიკა; რესტრუქტურისაცია.

### 1. შესავალი

ჩვენი ქვეყნის მრეწველობა ეკონომიკის სხვა დარგების მსგავსად მძიმე კრიზისულ მდგომარეობაშია. სახეზეა წარმოების, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მჩვენებლების მკვეთრი დაცემა, საწარმოო სიმძლავრეების და პერსონალის ქრონიკული დაუტვირთაობა.

მრეწველობის განვითარების ერთ-ერთი მიკროეკონომიკური პრობლემა, უშუალოდ საწარმოთა მართვის დონეზეა, მათი ამჟამინდელი მმართველობითი აპარატი, დაბალკვალიფიციური პერსონალი, მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და თვითდინებაზე მიშვებული ოპერაციები, ჩვენი დროის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

სამრეწველო საწარმოებში ამჟამად შექმნილი სიტუაცია სპეციფიკურ მიდგომებს მოითხოვს, რომლებიც გამიზნული იქნება უშუალოდ მიკროეკონომიკური სუბიექტების გააქტიურებისაკენ. სამამულო მრეწველობის აღორძინება, მხოლოდ კონკრეტული სამრეწველო ერთეულების (სამრეწველო საწარმოების) გამოცოცხლებას შეუძლია, რაც თავის მხრივ, ამ უკანასკნელთა მენეჯმენტის საფუძვლიანმა გაუმჯობესებამ უნდა უზრუნველყოს.

### 2. ძირითადი ნაწილი

საწარმოთა მენეჯმენტის უპირველეს ეტაპად უნდა დაისახოს მათი რესტრუქტურისაცია. მან უნდა უზრუნველყოს მართვის დირექტიული მეთოდების ეკონომიკური მეთოდებით ჩანაცვლება, მუშაკთა შრომის მოტივაციის ამაღლება, საწარმოს მოქნილობის და ადაპტირების მაღალი დონე, ნოყიერი ნიადაგის შექმნა მმართველობითი, ტექნოლოგიური და სხვა ინოვაციებისათვის.

აღსანიშნავია, რომ რესტრუქტურისაცია რეგიონის ზოგიერთ საწარმოში უკვე დაიწყო, მაგრამ ე.წ. “ჭარბი ქონების” რეალიზაციის ან კონსერვაციის, ზოგჯერ კი მსხვილ საწარმოთა მექანიკური დანაწევრების ნიშნით მიმდინარეობს. მას თან ახლავს შინაგანი სტრუქტურული ცვლილებები მენეჯმენტის ორგანიზაციულ სისტემებში, რის გარეშეც სტრუქტურულ დანაწევრებას პოზიტიური შედეგები არ მოაქვს. უცილებელია საზღვარგარეთ ამ სფეროში დაგროვილი შესაბამისი გამოცდილების ადაპტირება ჩვენს პირობებში, ცხადია, საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინება. უცხოური გამოცდილების შეწავლა

-

«

»

კი ცხადყოფს, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე, დასავლეთის მრავალი კომპანიისათვის დამახასიათებელი იყო ფართომასშტაბიანი რეორგანიზაციები დეცენტრალიზაციის მიმართულებით, რაც გამოიხატება შემდეგში:

1. სტრუქტურული ქვედანაყოფები გადადიან თვითანაზღაურებადი საწარმოო ერთეულების – ე.წ. “მოგების ცენტრის”, ანუ “სტრატეგიული სამეურნეო ცენტრების” - რანგში. ისინი ფუნქციონირებენ, როგორც საკმაოდ დამოუკიდებელი და მოქნილი მცირე ფორმები;
2. უშუალოდ საწარმოო და სხვა ოპერაციების დონეზე იქმნება ჯგუფური და ბრიგადული სტრუქტურები. თითოეული ასეთ მცირერიცხოვან ჯგუფში (არაუმეტეს 15-20 კაცის შემადგენლობით). რეალურადაა შემცირებული მუშაკის გაუცხოების ხარისხი საკუთარი შრომის შედეგებთან და პროცესებთან.
3. ფართოდ გავრცელდა მოწყობილობათა განლაგების შესაბამისი ე.წ. “უჯრედული” ფორმა, რაც გულისხმობს ტექნოლოგიურად დასრულებული ნაკეთობის (მზა ნაწარმი, კვანძი) წარმოებისათვის საჭირო ყველა მანქანა-მოწყობილობის და ნედლეულის, აგრეთვე ყველა მუშაკის ერთად დაჯგუფებას, რითაც მუშაკთა თითოეული რგოლი მთლიანად პასუხისმგებელი ხდება კონკრეტული კვანძის ან ნაკეთობის დამზადებაზე.
4. ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების მიზნით გამოიყენება შიდასაფირმო მეწარმეობის ანუ ინტრაპრენერობის სხვადასხვა ფორმები. ცალკეულ თანამშრომელთა პოტენციურად ფასეული სამეცნიერო-ტექნიკური იდეების მომგებიან საქმიან პროექტებად რეალიზებისათვის იქმნება ვენჩურული ფონდების ქსელი. ასეთი ტიპის რეორგანიზაციების შედეგია მსხვილი სამრეწველო კომპანიის აგება ავტონომიური ქვედანაყოფების დეცენტრალიზებული კონგლომერატის სახით, სადაც უზრუნველყოფილია საშუალო რგოლის მენეჯერთა მოტივირების მაღალი ხარისხი და შენარჩუნებულია მჭიდრო კონტაქტები მენეჯერთა და უშუალო შემსრულებლებს შორის. საბოლოო ანგარიშით მიიღწევა თითოეული ქვედანაყოფის დაინტერესების ზრდა და აქედან გამომდინარე მთელი კომპანიის მართვის დინამიურობის და ოპერატიულობის მაღალი დონე.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რექსტრუქტურისაცია (პრივატიზაციასთან ერთად) სამრეწველო საწარმოთა მართვის რეფორმის აუცილებელი, თუმცა მხოლოდ საწყისი ეტაპია. მას უნდა მოჰყვეს ძირეული ცვლილებები მართვის მოქმედ პრაქტიკაში, განსაკუთრებით ისეთი მიმართულებით, როგორცაა ტექნოლოგიური განვითარება, მარკეტინგი, მუშათა სტიმულირების სისტემა და დაგეგმვის მექანიზმი.

მრეწველობის განვითარების ერთ-ერთ ძირითად პრობლემად წარმოების დაბალი ტექნიკური დონე გვევლინება. მისი ჩამორჩენილობის ძირითადი მიზეზი უკანასკნელი 10-15 წლიან პერიოდში მუშა-მანქანების და მოწყობილობების პარკის განუახლებლობა უნდა მივიჩნიოთ. საწარმოთა სტაგნაციის გავლენით არსებული მაღალმწარმოებლური მოწყობილობების უმეტესობა ჩამოიწვრა და ჯართის სახით ექსპორტირებულ იქნა, ხოლო დარჩენილ მოწყობილობებს თითქმის არ ჩატარებიათ კაპიტალური რემონტი და მოდერნიზაცია. ყოველივე ამის გამო, საწარმოთა უმეტესობაში, ძირითად მოწყობილობათა საშუალო ასაკი 20-25 წლიანი პერიოდით განისაზღვრება. ყოველივე ამის გამო, ვერ ხერხდება მსხვილსერიული და მასიური წარმოების ორგანიზება, რამდენადაც დამზადებული პროდუქცია მაღალი თვითღირებულებისაა, ხოლო პროდუქციის ხარისხობრივი პარამეტრები, მნიშვნელოვნად ჩამორჩება შესაბამის უცხოურ ანალოგებს. ხარისხობრივი პარამეტრებით, ქართული მრეწველობის პროდუქცია ვერ შეედრება არა მარტო ბელგიურ, იტალიურ, ფრანგულ და სხვა განვითარებულ

-

«

»

ინდუსტრიულ სახელმწიფოებში წარმოებულ პროდუქციას, არამედ იგი შეუსაბამობაშია პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმოებულ პროდუქციის ხარისხობრივ პარამეტრებთანაც. ამიტომაც ის არ გაიტანება ექსპორტზე. ამასთან ადგილობრივ მოსახლეობაშიც იმპორტირებული პროდუქციის ხვედრითი წილი, მოხმარების საერთო რაოდენობაში ძალიან მაღალია, ექსპერტების შეფასებით, დაახლოებით 60-70%-ით წარმოების ტექნიკური დონის ჩამორჩენილობა სამრეწველო საწარმოებში ბუნებრივია იწვევს გამოყენებული ტექნოლოგიის ჩამორჩენასაც. ამასთან ნაკლებად ხორციელდება გამოშვებული პროდუქციის დიზაინური დამუშავება და საკუთარი სტილის შეთავაზება მომხმარებლებისათვის.

ტექნიკური დონის ამაღლება დღეისათვის შეუძლებელია თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის - პერსონალური და ჯგუფური მოხმარების კომპიუტერებს გარეშე. მისი გამოყენებით შესაძლებელია არა მარტო ეკონომიკური გაანგარიშებების სწრაფი განხორციელება, არამედ ნაწარმის კონსტრუქციის ოპტიმალური ვარიანტების, ინდივიდუალური კომპლექსის შემადგენლების, საამწიფო ერთეულების სხვადასხვა კომბინაცია არსებული პირობების გათვალისწინებით, ტარისა და შეფუთვის ეკონომიკური ვარიანტის ამორჩევა და სხვა მრავალი.

გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებითაა შესაძლებელი თანამედროვე პროგრესული ავტომატური მართვის ჩარხების გამოყენებაც, რომელიც საშუალებას იძლევა მიუხედავად ჩარხების მაღალი ღირებულებებისა, მასზე დამზადდეს სხვადასხვა ნომეკლატურის პროდუქცია მცირე პარტიებად, დაბალი ხვედრითი დანახარჯებით.

წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების საფუძვლად, კონკრეტულ შემთხვევაში დამუშავების კონკრეტული მეთოდის შერჩევა და მისი პრაქტიკულად მიღწევის ტექნიკური შესაძლებლობები გვევლინება.

მცირე და საშუალო ბიზნესის სტანდარტები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაა და ისინი ეკონომიკის ძირითად შემადგენლებს წარმოადგენენ.

საქართველოს კანონმდებლობით, მიუხედავად პრაქტიკაში “მცირე და საშუალო ბიზნესის” მცნებათა ხშირი გამოყენებისა, ნორმატიულად არ იმიჯნება ბიზნესი შესაბამის კატეგორიებად და მისი ხმარება ძალზედ პირობითია.

მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსი აფიქსირებს “მცირე ბიზნესის გადასახადს”, საიდანაც ირკვევა, რომ საქართველოს ოფიციალური სტრუქტურები “მცირე ბიზნესს” მიაკუთვნებენ იმ საწარმოებს, რომელთა წლიური შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს და ამასთან არ გამოიყენება დაქირავებული შრომა, ანუ მცირე ბიზნესის წარმომადგენლებად ითვლებიან ის ეკონომიკური სუბიექტები, რომლებშიც არ ხდება მუშა-მოსამსახურეთა დაქირავება და ამ ობიექტთა წევრები შეიძლება იყოს მხოლოდ ინდივიდი და მისი ოჯახის წარმომადგენლები, თუ ისინი ერთობლივად ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას.

მსხვილ ბიზნესთან შედარებით, მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტურად მუშაობას განაპირობებს რიგი უპირატესობანი; ამათგან უმთავრესია ადგილობრივ ბაზართან სიახლოვე და მომხმარებელთა მოთხოვნილებაზე სწრაფი ადაპტირების უნარი. პროდუქციის მცირე პარტიებად წარმოება, რაც არამომგებიანია მსხვილი საწარმოებისათვის. ადგილობრივი ნედლეულის სრული გამოყენების უნარი; მენეჯმენტში ზედმეტი რგოლების გამორიცხვა და მართვის გამარტივება.

მცირე ბიზნესის ფუნქციონირებას ამავე დროს აქვს ეკონომიკის საერთო გაჯანსაღებისკენ მიდრეკილება, რამდენადაც აქ ყველაზე სრულყოფილად გამოიყენება თავისუფალი კონკურენცია, იქნება დამატებითი სამუშაო ადგილები. მცირე და საშუალო ბიზნესით ამოივსება ბაზრის დეფიციტური ადგილები,

სრულად ხორციელდება ადგილობრივი შრომითი და მატერიალური რესურსების გამოყენება.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ყველა ინდუსტრიულ ქვეყანაში გამოირჩევა მხარდაჭერით, რაც მიუთითებს ამ ბიზნესის როლზე ქვეყნის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაჭრის გზაზე. ეს სისტემა თანაბრად მომგებიანია ქვეყნის ეკონომიკისათვის მთლიანად და თითოეული მცხოვრებლებისათვის. ეს უკანასკნელი სახელმწიფოს მხრიდან გამოიხატება რიგი ღონისძიებების გატარებით ამ მიმართულებით, რომელთაგან უპირველესად გამოიყოფა შეღავათები გადასახადებში; საქმის წარმოებისა და ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებულ სქემებში; ინვესტიციურ მხარდაჭერაში, ინფორმაციული უზრუნველყოფის გამარტივებაში და ა.შ.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესისადმი საგადასახო მხარდაჭერა არ არსებობდა და ასეთი პოლიტიკა დღესაც გრძელდება.

ახალ საგადასახადო კოდექსში, საერთოდ არ არის ნახსენები მცირე ბიზნესის გადასახადი. აქ ჩამოთვლილია, მხოლოდ ის ფიზიკური პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ახორციელებენ მხოლოდ “ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის” შესაბამისად განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობიდან ერთ-ერთს” (მუხლი 168, 1 ნაწილი, “ლ” ქვეპუნქტი). ასეთი სახის საქმიანობას კი მიეკუთვნება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა, ინდკერვა და ა.შ.

მცირე ბიზნესი, ჩვენი ქვეყნის მრეწველობის განვითარებაში, დღესდღეობით ვერ პასუხობს მოთხოვნებს, ეს აისახება წარმოების საერთო დაცემით და საწარმოო კავშირის გაწყვეტით. ამასთან მცირე ბიზნესისადმი სახელმწიფო მხარდაჭერა აშკარად არასაკმარისია, თუმცა დეკლარირების დონეზე მისადმი დახმარება გათვალისწინებულია. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მცირე ბიზნესისადმი სახელმწიფო დახმარების გარეშე, ამ სფეროს განვითარება შეუძლებელია.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან უცხოეთში ფართო მხარდაჭერით სარგებლობს მცირე და საშუალო ბიზნესი.

მცირე ბიზნესის ორგანიზება განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა ინოვაციური პროცესების საქმეში, მშენებლობასა და რემონტში, სამომსახურეო და სავაჭრო სფეროში, აგრეთვე ავეჯის წარმოებასა და მუსიკალური ინსტრუმენტის დამზადებაში, მსუბუქ - განსაკუთრებით სამკერვალო წარმოებაში და ა.შ. გამოცდილებით გამოვლინდა, რომ მცირე საწარმოები მოითხოვენ შემდეგი სახის მხარდაჭერას.

- ფინანსური დამხარება, გამოხატული რისკის მაღალი დონის მქონე კაპიტალის წყაროების ხელმისაწვდომობაში;
- მატერიალურ-ტექნიკური დახმარება, გამოიხატება შეღავათიან ფასებში შენობა-ნაგებობების, ტექნიკის და სამეცნიერო-ლაბორატორიული მოწყობილობების შეძენაში;
- ინფორმაციული დახმარება, გამოიხატება ინფორმაციული ქსელის შეღავათიან ფასად გამოყენებაში, ტექნიკური ბიბლიოთეკების და მონაცემთა ბანკებთან ხელმისაწვდომობაში.

კონსულტაციური დახმარება, გამოიხატება უფასო სკოლების ორგანიზებაში, მცირე ბიზნესის მწეჯმენტის, ბუღალტრული საქმის წარმოების, საგადასახადო სისტემის შესწავლის, მარკეტინგის, დაგეგმვის და ა.შ. უახლეს მეთოდთა სწავლებაში.

### 3. ღასკვნა

ჩვენს ქვეყანაში მცირე სამრეწველო საწარმოები განიცდიან უმეტესად შემდეგ წინააღმდეგობებს:

- ძირითადი პრობლემაა არასაკმარისი რესურსული ბაზა, როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ასევე ფინანსური;
- შემდეგ პრობლემად უნდა ჩაითვალოს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც რბილად, რომ ვთქვათ, არასაკმარისია.

თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში დანერგვა მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს, რომელთა მოზიდვა ერთის მხრივ - გაძნელებულია და მეორეს მხრივ, არ არსებობს ამ ინვესტიციათა დაცვის რეალური გარანტიები, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილების გამო.

შემდეგ პრობლემას წარმოადგენს კადრები. სამრეწველო საწარმოებში დასაქმებულნი არიან ის კადრები, რომლებიც წარმატებით ართმევდნენ თავს საწარმოთა გაძღოლას დირექტიული ეკონომიკის პირობებში, მაგრამ ახალ საბაზრო ურთიერთობათა ათვისება უჭირთ, ნაკლებად რეაგირებენ ბაზრის კონიუქტურაზე და ახალ მოთხოვნებზე.

### ლიტერატურა

1. ტყეშელაშვილი გ. და სხვ. ფირმის მენეჯმენტი. თბ. სტუ. 2014. 323 გვ;
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2014. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბ. 2015. 274 გვ;
3. რ. მეტრეველი, კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში. თბ., 2009. გვ. 3-28
4. ისმაილოვი ე., პაპავა ვ. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. თბილისი, 2007. გვ. 167
5. . . . 1987 . . . , 1988 . . . 14, 44.



**ანჰიდრიტული ცემენტების  
ბამოყენების პარამეტრები საქართველოში**

**თ. გაბადაძე, ი. სულაძე**

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ.კოსტავას ქ.77, 0175,  
თბილისი, საქართველო)


**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია მშენებლობის გარკვეულ არეალებში პორტლანდცემენტის და მისი სახეობების შემცველი დაბალენერგოტეკვადი მასალის – ანჰიდრიტული ცემენტის მიღების, თვისებათა კვლევის და გამოყენების საკითხები. საკუთარი კვლევებით მიღებული დიდი მოცულობის შედეგების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ შესაძლებელია მაღალი ფიზიკო-მექანიკური მაჩვენებლების (მარკა 300, 400, 500 და მეტი) მქონე ანჰიდრიტული ცემენტების მიღება საქართველოს როგორც ბუნებრივი (თაბაშირის ქანები, გაჯი და სხვ.) ნედლეულის, ასევე კალციუმის სულფატ შემცველი წარმოების ნარჩენების ბაზაზე. ფიზიკო-ქიმიური კვლევების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება ანჰიდრიტული ცემენტების გამაგრების მექანიზმზე, ამ პროცესში კატალიზატორების როლზე და მათი აქტივობის რიგზე. ჩატარებული საწარმოო გამოცდების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ანჰიდრიტული ცემენტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სამშენებლო დეტალების და წყობის ხსნარების დამზადებისათვის. იგი ექვემდებარება კედლების შეღესვის ოპერაციის მექანიზაციას (განსხვავებით გაჯისაგან). შესაძლებელია მისი გამოყენება სამთო გამონამუშევრებში სიცარიელეთა შევსების და ნახშირის აალების საწინააღმდეგო ფენების შექმნისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** ანჰიდრიტი, კატალიზატორი, ალუნიტი, კალციუმის სულფატის დიჰიდრატი.


**1. შესავალი**

ანჰიდრიტული ცემენტის ძირითადი კომპონენტია მინერალი ანჰიდრიტი (კალციუმის უწყლო სულფატი CaSO<sub>4</sub>). მის მისაღებად შეიძლება გამოვიყენოთ ბუნებრივი თაბაშირი, სხვადასხვა წარმოების თაბაშირ შემცველი ნარჩენები (ბორთაბაშირი, ფოსფოთაბაშირი, ციტროთაბაშირი, გოგირდოვანი აირების დაჭერით მიღებული პროდუქტები და სხვ.), ბუნებრივი ანჰიდრიტი, თიხიანი თაბაშირი (გაჯი). მიღების ძირითადი ტექნოლოგიური პროცესებია გამოწვა 973-1173K, დაფქვა გამაგრების კატალიზატორთან ერთად ან მის გარეშე. განსხვავებით სამშენებლო თაბაშირისაგან, მას აქვს შეკვრის უფრო ხანგრძლივი ვადები და დროში სიმტკიცის ზრდის ტენდენცია (მსგავსად პორტლანდცემენტისა), რაც აფართოებს მშენებლობაში მისი გამოყენების არეალს.

როგორც ბუნებრივი, ასევე გამოწვით მიღებული ანჰიდრიტი წყალთან პრაქტიკულად არ ურთიერთქმედებს (არ მაგრდება). ჯერ კიდევ ვანტ-ჰოფი (1905 წელს) აღნიშნავდა, რომ “ანჰიდრიტის გარდაქმნა დიჰიდრატში მიდის ისე ნელა, რომ იგი პრაქტიკულად არ მიიღება მხედველობაში და ვლინდება მხოლოდ გეოლოგიურ პროცესებისას”. მჭიდრო თვისებების (შეკვრა, გამაგრება) სწრაფი გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ გამაგრების სხვადასხვა “ამგზნებებთან” კატალიზატორებთან ერთობლიობაში. ეს რეაქცია სქემატურად ასე შეიძლება გამოვსახოთ:



წარმოიქმნება რთული ორმაგი ჰიდრატი, რომელიც შემდგომ იშლება და წარმოიქმნება კალციუმის სულფატის დიჰიდრატი (ორწყლიანი თაბაშირი)



სწორედ იგია სიმტკიცის მატარებელი ნაერთი. ძალზე საინტერესოა, რომ კატალიზატორი K (სხვადასხვა მარილი, რომელიც ემატება ანჰიდრიტს მცირე, 0,5-3% ოდენობით მისი მასიდან), შეკვრის პროცესის დამთავრების შემდეგ გამოდის



-

«

»

რეაქციიდან და გამაგრების პროცესებში აღარ მონაწილეობს. ფიზიკურად ეს სწრაფად ვლინდება კატალიზატორის გამოყოფაში ნაკეთობის ზედაპირზე მის ფორმებში განვითარებული ოსმოსური წნევის შედეგად.

## 2. ძირითადი ნაწილი

ანჰიდრიტულ ცემენტს ხანგრძლივი ისტორია აქვს. პირველი სამეცნიერო წყაროები მითითებულია პ.პ. ბუდნიკოვის მიერ 1933 წელს გამოცემულ კაპიტალურ ნაშრომში (1). გამოკვლევულ იქნა რიგი კატალიზატორების ზეგავლენა ანჰიდრიტული ცემენტის შეკვრის და გამაგრების პროცესებზე. ამასთან კატალიზურ ქმედებას ახდენენ ქიმიური ბუნებით და ხსნადობით სრულიად განსხვავებული მასალები, როგორცაა: კირი, წიღები, პორტლანდცემენტი, სხვადასხვა სულფატები, მათ შორის კალციუმის სულფატის დიჰიდრატი და ნახევარჰიდრატი. გამოვლინდა საინტერესო ფაქტიც: ბუნებრივი თაბაშირის ან ანჰიდრიტის მხოლოდ ზეწმინდად (თანამედროვე ტერმინოლოგიით ნანოზომამდე) დაფქვით მიიღებოდა შეკვრის და გამაგრების უნარის მქონე მჭიდა. ამ დროს გამოირიცხებოდა ენერგეტიკული დანახარჯები გამოწვაზე და გვექნებოდა მხოლოდ ერთი ოპერაცია—დაფქვა. ამ იდეამ ტექნიკური მიზეზების გამო ვერ პოვა განვითარება.

ანჰიდრიტული ცემენტების თვისებების და გამოყენების არეების დადგენის დეტალური შესწავლა განახორციელა ცნობილმა მეცნიერმა პ.პ. ბუდნიკოვმა. შესწავლის შედეგები გადმოცემულია მონოგრაფიაში (1). მან შეისწავლა მრავალი ნაერთის და მათი კომბინაციების კატალიზური ქმედება ანჰიდრიტის ჰიდრატაციის პროცესზე. განსაკუთრებით მაღალი შედეგები იქნა მიღწეული სხვადასხვა ლითონთა სულფატების და მათი კომბინაციების თანაობისას. მნიშვნელოვანი წვლილი ანჰიდრიტული ცემენტის თვისებების და გამოყენების არეების შესწავლაში პ.ბუდნიკოვთან ერთად მიუძღვის ს.პ.ხორინს (2). მათ შეისწავლეს არა მარტო ანჰიდრიტული ცემენტის, არამედ მის ბაზაზე სამშენებლო ხსნარების და ბეტონების თვისებები. მათივე ინიციატივით განხორციელდა რიგი შენობების მთლიანი ან ნაწილობრივი აგება ანჰიდრიტული ცემენტის ბაზაზე. ანჰიდრიტული ცემენტის შესწავლას მიუძღვნა მრავალი შრომა როგორც ჩვენთან, ასევე საზღვარგარეთ (3,4,5 და სხვა).

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ამ მიმართულებით სამუშაოთა ინტენსივობა შემცირდა. მართალია, პრაქტიკულად ერთკომპონენტური ანჰიდრიტული ცემენტის მიღება მრავალკომპონენტური პორტლანდცემენტთან შედარებით მოითხოვს გაცილებით ნაკლებ მასალა და ენერგეტიკულ დანახარჯებს, მაგრამ თაბაშირის ბაზაზე დამზადებული ყველა სახეობის მჭიდის საერთო, მრავალსაუკუნოვანმა გადაწყვეტიელმა პრობლემამ – არამდგრადობამ წყლიან გარემოში ნაკლებ მიმზიდველი გახდა მისი მშენებლობაში გამოყენების საკითხებზე კვლევა და მუშაობა.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის მეტად საჭიროა ფოსფოროვანი სასუქები. მათ წარმოებაზე ქვეყნის მასშტაბით მუშაობს დიდი წარმადობის მქონე მრავალი საწარმო. ამ ძალზე საჭირო პროდუქტის წარმოებას თან სდევს დიდი რაოდენობით თაბაშირის შემცველი ნარჩენი – ე.წ. ფოსფოთაბაშირი. მასში არის გოგირდმჟავას, ფოსფორმჟავას და სხვა მავნე პროდუქტების დიდი რაოდენობა. წელიწადში იყრებოდა 10 მილიონ ტონაზე მეტი აღნიშნული ნარჩენი, ხოლო ქვეყნის მასშტაბით დაგროვილი იყო 150-200 მილიონ ტონამდე პრაქტიკულად გამოუყენებელი მასალა (6), რომელიც დიდ და აუნაზღაურებელ ეკოლოგიურ ზიანს აყენებს გარემოს.

ამასთან მწვავედ დადგა სამთო-მომპოვებელი მრეწველობის მუშაობის (ნახშირის, მარგანეცის და სხვა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება) შედეგად დარჩენილი სამთო გამონამუშევარი სიცარიელების შევსების საკითხი. შექმნილი სიცარიელები იწვევს სამთო დარტყმებს, რაც დიდ ზიანს აყენებს როგორც მიწისქვეშა საწარმოებს, ასევე ნიადაგის ზედა ფენებს და მთლიანად გარემოს. შევსებისთვის მხოლოდ ინერტული მასალის გამოყენებამ არ მოგვცა ეფექტი. საჭირო

გახდა სიცარიელებში მონოლითის შექმნა. მონოლითის შესაქმნელად პორტლანდცემენტის გამოყენება მიჩნეულ იქნა ძალზე არაეკონომიურად.

1985 წელს სახელმწიფო გადაწყვეტილებით დაისვა პრობლემა: ეკოლოგიურად მავნე და ამასთან პრაქტიკულად უფასო ძალზე დიდტონაჟიანი ნარჩენის – ფოსფოთაბაშირის ბაზაზე: ა) მიღებულიყო სხვადასხვა სახის მჭიდა მასალები და ბ) გადაწყვეტილიყო როგორც მშენებლობაში, ასევე სამთო სამუშაოებში მათი გამოყენების საკითხები.

ფოსფოთაბაშირის ბაზაზე მჭიდა მასალების მისაღებად მუშაობა ორი მიმართულებით წარიმართა: 1.კალციუმის სულფატის ნახევარჰიდრატის (სამშენებლო თაბაშირის) მიღება და 2. ანჰიდრიტული ცემენტის მიღება.

პირველი მიმართულებით (7,8) დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა. ამ სახეობის მიღება მოითხოვს ნაკლებ ენერგეტიკულ დანახარჯებს, მაგრამ ტექნოლოგიის სირთულემ და არც თუ მაღალმა ხარისხმა შეანელა ინტერესი მის მიმართ. ძირითადი აქცენტი გაკეთდა ანჰიდრიტული ცემენტის მიღებაზე. გამოიკვთა ორი მიდგომა: მოსკოვის დ.ი. მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის (მქტი) და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი). ამ მიმართულებებით სამუშაოების მიმდინარეობა მუდმივად განიხილებოდა სახელმწიფო (სამთავრობო) კომისიების დონეზე. კაპიტალურ ნაშრომში (6, გვ.106) განხილულია ანჰიდრიტული ცემენტის მიღების მხოლოდ ორი ზემოთ აღნიშნული ტექნოლოგია. ორივეს აქვს საერთო ელემენტი – გამოწვა. მქტი-ს ტექნოლოგიით გამოწვის პროცესი მოითხოვდა წარმოების „სველ“ მეთოდს ფოსფოთაბაშირის კირით და ნატრიუმის სილიკოფტორიდით ნეიტრალიზაციის აუცილებლობის გამო (9). ეს ართულებდა ტექნოლოგიურ პროცესს, ზრდიდა თბურ დანახარჯებს. სტუ-ს ტექნოლოგიით ანჰიდრიტული ცემენტი მიიღებოდა გამოწვის „მშრალი“ მეთოდით და შემდგომი დაფქვით გამაგრების კატალიზატორთან-წინასწარ გამომწვარ ალუნიტის ქანთან ერთად (შესაძლებელია მათი ერთობლივი გამოწვაც).

ალუნიტის გამოყენებაზე სხვადასხვა სახის სპეციალური ცემენტების მისაღებად ფუძემდებლური შრომები აქვს ჩატარებული თ.გაბადაძეს (10,11). საკუთრივ ალუნიტის ქანი ძირითადად წარმოადგენს ალუმინისა და ტუტე ლითონთა სულფატების, აგრეთვე სილიციუმის დიოქსიდის რთულ კომპლექსს. მან დეტალურად შეისწავლა სხვადასხვა რეჟიმებით გამომწვარი ალუნიტის ქანის ფაზური შედგენილობა და მათი გავლენა სხვადასხვა დანიშნულების (ზესწრაფგამაგრებადი, გაფართოებადი, დამძაბავი და სხვ.) სპეციალური ცემენტების გამაგრების პროცესებზე. კვლევების შედეგები რეალურად აისახა პიდროენერგეტიკულ- და ბინათმშენებლობაში, წყალმომარაგების სისტემებში და მშენებლობის სხვა სფეროებში.

რაც შეეხება ანჰიდრიტული ცემენტის გამაგრების კატალიზატორად გამომწვარი ალუნიტის გამოყენებას, ცნობილია (12). მისგან დამოუკიდებლად თ.გაბადაძემ თანამშრომლებთან ერთად ღრმად შეისწავლა და გააფართოვა აღნიშნული საკითხი (13,14,15). ანჰიდრიტული ცემენტის მიღების და თვისებების კვლევის სამუშაოები მიმდინარეობდა ორი მიმართულებით ძირითადი კომპონენტის სახეობის მიხედვით: 1.საქართველოს საბადოების ბუნებრივი თაბაშირი, თაბაშირ-ანჰიდრიტი, თიხათაბაშირი (გაჯი). 2.წარმოების ნარჩენი კალციუმის სულფატ-შემცველი მასალები (ფოსფოთაბაშირი, ბორთაბაშირი, ციტროთაბაშირი და სხვ.).

შესწავლილ იქნა როგორც საქართველოს თაბაშირ-შემცველი საბადოების: ახალციხის, რაჭის რეგიონის, ჯვარის, ხუდონის, მადნეულის ნედლეული, აგრეთვე მომიჯნავე რეგიონების: ჩრდილოეთ ოსეთის (შედოკის საბადო) და აზერბაიჯანის (აჯიკენტის საბადო) ნედლეული (16). აღნიშნული ნედლეულები გამოიწვებოდა 973-1173K 1-3 საათის განმავლობაში და იფქვებოდა კატალიზატორთან - გამომწვარ ალუნიტის ქანთან ერთად. კატალიზატორის შემცველობა კაზმებში იყო 1-10% ცემენტის მასიდან. ყველა ნედლეულზე მიღებული ოპტიმალური შედგენილობის ცემენტების მარკა იყო 300, 400, 500 და მეტი. მათი შეკვრის ვადები იყო: დასაწყისი

-

«

»

არა უადრეს 1 საათისა, დასასრული არა უგვიანეს 6 საათისა, ხოლო ცომის ნორმალური სისქე 25-32% (ფიზიკო-მექანიკური გამოცდები ტარდებოდა 310.1...4.81 მიხედვით). ამასთან უნდა აღინიშნოს ამ ცემენტების მაღალი სიმტკიცე გამაგრების 1 დღის შემდეგ - 12-18 მპა და მეტი. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ M300 მქონე ანჰიდრიტული ცემენტი მიღებული იქნა საქართველოში ფართოდ გავრცელებული თაბაშირშემცველი ნედლეულის – გაჯის (16) ბაზაზე (თაბაშირის შემცველობა არანაკლები 50-60%). ეს მნიშვნელოვნად გააფართოებს წარმოებისათვის საჭირო სანედლეულო რესურსს.

ანჰიდრიტული ცემენტის მისაღებად გამოყენებული იქნა ფოსფოროვანი სასუქების მწარმოებელი ქარხნების (გოსკრესენსკის, უვაროვოს, გომელის, კრასნოდარის, სუმის, ნევენომისკის) ნარჩენი პროდუქტი – ფოსფოთაბაშირი და აქტიუბინსკის ბორის მისაღები ნედლეულის – დატოლიტების გადამუშავების ნარჩენი – ბორთაბაშირი. მათი თვისებების შესწავლის და გამოყენების სფეროების დადგენის მიზნით დიდი მოცულობის მრავალგზისი სამუშაოები (17,18,19 და სხვ.) ჩატარდა როგორც ლაბორატორიულ პირობებში, ასევე ნახევრად სამრეწველო დანადგარებზე ქ. ხარკოვში ინსტიტუტ „იუჟიპროცემენტის“ ცემენტის საცდელ ქარხანაში (მბრუნავი ღუმელი 1,3x16მ, ამავე ღუმელში ხდებოდა გამაგრების კატალიზატორის- ალუნიტის გამოწვაც და მიღებული ბირთვებიანი წისქვილი 1x7მ) და ქ. მინსკში საშენ მასალათა ინსტიტუტის ჩქაროსნული გამოწვის კომპლექსურ დანადგარზე გამორქვევი საშრობი-შახტური დეკარბონიზატორი. სხვადასხვა დროს სხვადასხვა მასალაზე მიღებული ანჰიდრიტული ცემენტების მარკა იყო 400, 500 და მეტიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული მჭიდა მასალების გამოცდა ხდებოდა როგორც ზემოთმითითებული სტანდარტის შესაბამისად (ხსნარი 1:3 ცემენტი:ქვიშა), ასევე ცომში 1:0. კატალიზატორად გამოიწვიარი ალუნიტის გამოყენების შემთხვევაში მიღწეულ იქნა ანჰიდრიტული ცემენტის სიმტკიცე კუმშვაზე 28 დღის გამაგრების შემდეგ – 79,2 მპა. მსგავსი სიდიდე ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ვერც ერთ ლიტერატურულ წყაროში.

აღნიშნული სამუშაოების ჩატარება და მიღებული ცემენტების გამოცდა მშენებლობის სხვადასხვა სფეროებში (იატაკის ფენილები, წყობის და სალესი ხსნარები, სატიხრე ბლოკები, აალების საწინააღმდეგო ფენის შექმნა ნახშირის მომპოვებელ შახტებში, შახტებშივე გამონამუშევარი სიცარიედეების შევსება და სხვ.) მიმდინარეობდა სამთავრობო უწყებათაშორისი კომისიების მონაწილეობით. მიღებულ იქნა დადებითი შედეგები. სტატიის მოცულობა საშუალებას არ იძლევა მოვიყვანოთ ჩვენს მიერ მიღებული ანჰიდრიტული ცემენტების მიღების, თვისებათა კვლევის და გამოყენების დიდძალი ფაქტიური მასალა, რომელიც გადმოცემულია ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებულ შრომებში. ამიტომ დაინტერესებულ მკითხველს ვთხოვთ მოიძიონ აღნიშნული შრომები ან მიმართონ ავტორებს. ჩვენ კი გადმოგცემთ ჩატარებულ სამუშაოთა ძირითად მომენტებს.

1. კატალიზატორის ზემოქმედების ბუნების შესახებ. ანჰიდრიტული ცემენტის გამაგრების არსია ანჰიდრიტის გადასვლა დიჰიდრატში, რომელსაც ხელს უწყობს კატალიზატორის დამატება. ამ მოვლენაზე შეხედულებათა ჩამოყალიბებული სისტემა არ არსებობს. ჩვენი აზრით კატალიზატორი, განსაკუთრებით ალუნიტი, ხელს უწყობს ანჰიდრიტის ხსნადობის გაზრდას და მის სწრაფ გადასვლას დიჰიდრატში, მკვრივი, მტკიცე (ე.წ. „ბლოკური“) სტრუქტურის ჩამოყალიბებას და მაღალი, როგორც საწყისი, ასევე საბოლოო სიმტკიცის მიღწევას. ეს ნათლად დატურდება დერივატოგრაფიული კვლევებით, რომელთა შედეგები მოყვანილია ცხრილში.

გამაგრებული ანჰიდრიტული ცემენტი	მასის დანაკარგი, 673K, %	წარმოქმნილი დიჰიდრატის რაოდენობა, %	სიმტკიცე კუმშვაზე 28 დღის გამაგრების შემდეგ, მპა
კატალიზატორის გარეშე	1,25	5,97	2,5
კატალიზატორის თანაობისას	15,85	75,73	54,0

-

«

»

დერივატოგრაფიული კვლევა ჩატარდა 28 დღე მაგრებად და წინასწარ, 338K გამომშრალ ნიმუშებზე, რათა მოცილებული ყოფილიყო არაჰიდრატირებული (მექანიკურად ბმული) წყალი. საკვლევ მასალებში 673K განისაზღვრა ბმული წყლის რაოდენობა, რის საფუძველზეც დაგადგინეთ წარმოქმნილი კალციუმის სულფატის დიჰიდრატის (თაბაშირის) რაოდენობა. ნათლად ჩანს, რომ კატალიზატორის თანაობისას დიჰიდრატის რაოდენობა მკვეთრად მეტია და შესაბამისად, მკვეთრად მეტია სიმტკიცის მნიშვნელობაც. რენტგენოსტრუქტურული კვლევებითაც ჩანს, რომ კატალიზატორის შემცველ ცემენტში კალციუმის სულფატის დიჰიდრატის დიფრაქციული მაქსიმუმების ( $d=0,429; 0,306; 0,287; 0,268$  ნმ და სხვ.) ინტენსივობა მკვეთრად გაზრდილია, ხოლო ანჰიდრიტის დიფრაქციული მაქსიმუმები ( $d=0,349; 0,285; 0,232; 0,220$  ნმ და სხვ.) პრაქტიკულად გამქრალია, ან აქვთ ძალზე დაბალი ინტენსივობა. ცემენტში კატალიზატორის გარეშე გვაქვს შებრუნებული სურათი: ანჰიდრიტის დიფრაქციული მაქსიმუმების ინტენსივობა ძალზე მაღალია, ხოლო თაბაშირისა – უმნიშვნელო.

2. კატალიზატორების აქტივობის შესახებ. ჩვენს მიერ სისტემური მიდგომით შესწავლილ და გადამოწმებულ იქნა მრავალი, როგორც ცნობილი, ასევე ახალი კატალიზატორის: ერთ-, ორ- და სამვალენტიანი კათიონის შემცველი სულფატები, სულფიტები, სულფიდები, ქლორიდები, ნიტრატები, ნიტრიტები, ფოსფატები, აგრეთვე კირი, წიდეები და სხვ. დამატების ზეგავლენა ანჰიდრიტული ცემენტების თვისებებზე. მათში დადგინდა იქნა სულფატების უპირატესობა, ხოლო კათიონების აქტივობის რიგი (სიმტკიცის ზრდაზე ზეგავლენის მიხედვით) შემდეგია:  $Na^+, K^+, Cu^{++}, Zn^{++}, Ca^{++}, Al^{+++}$ . აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ საუკეთესო თვისებებით (ტექნოლოგიური, მაღალი სიმტკიცის მიღწევა და სხვ.) გამოირჩევა გამომწვარი ალუნიტის ქანი, რაც დადასტურებულია ჩვენი კვლევებით. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მაკატალიზირებელი ფუნქციის შესრულების შემდეგ ალუნიტის გამოყენებისას ყველა გამოკვლეულ კატალიზატორთან შედარებით არსებითად ნაკლებია ნაკეთობის ზედაპირზე „გამომარილების“ („высолообразование“) სიდიდე.

3. ტექნოლოგია. წარმოების მეთოდი „მშრალი“. ანჰიდრიტული ცემენტის მიღების ჩვენური ტექნოლოგიის ძირითადი კვანძებია: სასაწყობო მეურნეობა, ყებებიანი მსხვრევანა, მოკლე ( $L=20-40$ მ) მბრუნავი დუმელი, მილისებური ბირთვებიანი წისქვილი. ანჰიდრიტულ ცემენტზე დიდი მოთხოვნილების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას არსებული ცემენტის ქარხნების მოწყობილობა. სითბოს ხარჯი გამოწვაზე 500-600 კკალ/კგ პროდუქციაზე.

4. გამოყენების სფეროები. ანჰიდრიტულმა ცემენტებმა შეიძლება პრაქტიკულად მთლიანად შეცვალონ (გამოათავისუფლონ) პორტლანდცემენტი და მისი სახეობები ნაგებობათა შიდა ნაწილების (ტიხრები, იატაკის ფენილები, წყობის და ღვსვის ხსნარები და სხვ.) მშენებლობის პროცესში. შესაძლებელია სხვადასხვა ფორმის ბლოკების, ფანჯრის რაფების და სხვა სამშენებლო დეტალების ადგილზე დამზადება შეორთქვლის ან რაიმე თბური დამუშავების გარეშე. მნიშვნელოვანია მისი გამოყენება სამთო გამონამუშევართა სიცარიელების შევსებისათვის და ნახშირის აალების საწინააღმდეგო ფენების შექმნისათვის. ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ განსხვავებით საქართველოში ფართოდ გავრცელებული კედლის საღესი მასალის – გაჯისაგან ანჰიდრიტული ცემენტი თავისი უფრო ხანგრძლივი შეკვრის ვადების გამო ექვემდებარება კედელზე მექანიზირებულ დატანას. ორ ადამიანს შესაბამისი დანადგარით ერთ სამუშაო დღეში შეუძლია 200 მ<sup>2</sup> ფართობის დამუშავება, რაც გამორიცხულია გაჯზე მუშაობის დროს. ანჰიდრიტული მჭიდის გამოყენებისას გაცილებით უკეთესია კედლის სიგლუვის ხარისხი და პრაქტიკულად არ გვაქვს ნარჩენი.

5. რაჭის რეგიონის ბუნებრივი ანჰიდრიტის დიდი რაოდენობით შემცველი (წესის, მუხლის და სხვ. საბადოები) თაბაშირის ქანების საფუძველზე მიღებულია ანჰიდრიტული ცემენტი წინასწარი ბუნებრივი ან ხელოვნური შრომით გამოწვის გარეშე (20). მხოლოდ დაფქვის ხვედრითი ზედაპირის გაზრდით 3000-დან 8000

სმ<sup>2</sup>/გ-მდე მჭიდა მასალის სიმტკიცე გამაგრების კატალიზატორის გარეშე გაიზარდა 10,7-დან 20,2 მპა-მდე, ხოლო კატალიზატორის ოპტიმალური რაოდენობის დამატებისას დაფქვის ხვედრითი ზედაპირის იგივე დიაპაზონში სიმტკიცის ზღვარმა კუმშვაზე შეადგინა 25,4-55,2 მპა. განსხვავებით ბუნებრივი თაბაშირისაგან, თაბაშირანჰიდრატის ქანი ადვილად ექვემდებარება დაფქვას.

### 3. ღასკვნა

ნაშრომში მოყვანილია საქართველოს ბუნებრივი ნედლეულის საფუძველზე დაბალენერგოტევადი ანჰიდრიტული ცემენტის მიღების და თვისებათა კვლევის შედეგები, ნახევრები შესაძლო არეები, რომლებშიც მიზანშეწონილია პორტლანდცემენტის და მისი სახეობების ნაცვლად ანჰიდრიტული ცემენტის გამოყენება.

### ლიტერატურა

- 1.Будников П.П. Гипс, его исследование и применение. Госстройиздат, 1943. 266с.
- 2.Будников П.П., Зорин С.П. Ангидритовый цемент. Промстройиздат, 1954, 92с.
- 3.Березовский В.Ф. Ангидритовый цемент из фосфогипса. – Минск, Беларусь. – 1964, 31с.
- 4.Eipeltaufer E. Topochemische Hydratativvorgange beim Abbinden von Gips, „Zement-Kalk-Gips“, №16, 1963.
- 5.Skalmovski W. Gipsy i anhydryty w Polsce Mozliwosei ishZastosovanih w budovnnctvie. P.W.N, 1959.
სხვა გეომეტრიულ ფორმებთან შედარებით, ტანის ცილინდრული ფორმა საშუალებას იძლევა უფრო მაღალი სიზუსტით დავადგინოთ ტენგამტარობის პარამეტრები – ტანის მთლიან გვერდით ზედაპირსა და გარემოს შორის თავისუფალი ტენგაცვლის პირობებში (მესამე რიგის სასაზღვრო პირობა). ცილინდრულის ფორმის ნიმუშებზე დავამუშავეთ ტენგამტარობის პარამეტრების განსაზღვრის მეთოდოლოგია და დავადგინეთ მაღალი სიმტკიცის ბეტონის ტენგამტარობის მახასიათებლები. მაღალი სიმტკიცის ბეტონის ტექნოლოგიური და სიმტკიცის პარამეტრები მოცემულია [2]-ში ნარევი № 2.

ექსპერიმენტებში გამოიყენებოდა ცილინდრული ფორმის (d=70 და l=70 მმ) ზემოთაღნიშნული შედგენილობის მაღალი სიმტკიცის მოდიფიცირებული ბეტონის ნიმუშები. დამზადების შემდეგ ყველა ნიმუში თავსდებოდა 100%-იანი ფარდობითი ტენიანობის გარემოში. ექსპერიმენტებში გამოიყენებოდა 28 დღის ნიმუშები, ცდების დაწყების წინ ნიმუშების ტენშემცველობა იყო  $W_0=4,3\%$  (მასის მიხედვით); ცდების დაწყების წინ ყველა ნიმუში ბოლოების იზოლირება ხდებოდა პარაფინით. შემდეგ, ნიმუშები თავსდებოდა 20%-იანი ფარდობითი ტენიანობის გარემოში (ოთხი ტყუპისცალი ნიმუში). ასეთ პირობებში, ტენის გრადიენტის გამო, ნიმუშები განიცდიდნენ გამოშრობას. ტენგადაცემა გარემოში ხდებოდა ცილინდრის გვერდითი ზედაპირიდან. რეალიზდებოდა უსასრულო ცილინდრის ამოცანა მესამე რიგის სასაზღვრო პირობებში.

ნიმუშების ტენის კარგვა დროში ფიქსირდებოდა სპეციალურ სასწორზე ნიმუშების პერიოდული აწონვით. ტენგაცვლის პროცესის ხანგრძლივობა ჩვენს პირობებში შეადგენდა 180 დღეს. ნიმუშების წონისა და ტენშემცველობის ცვლილება დროში მოცემულია ცხრილში.

ნიმუშების წონის და ტენშემცველობის ცვლილება დროში

წონის დრო, დღე	28 დღის ნიმუშები	
	ნიმუშის წონა, გ	ნიმუშის ტენშემცველობა, გრ/გრ
0	631,02	0,043,
2	626,90	0,036
4	625,00	0,033
9	621,81	0,028
20	619,50	0,024
35	616,28	0,0186
50	613,94	0,0148
70	612,39	0,0122
90	611,27	0,0114
120	610,95	0,011
180	610,95	0,01
250	610,95	0,01

ტენგამტარობის პარამეტრების განსაზღვრის მეთოდოლოგია შედგება თეორიული და ექსპერიმენტული ნაწილებისაგან, ექსპერიმენტით მიღებული მონაცემების და თეორიული გამოთვლების შედეგის შედარებითა და ანალიზით დადგინდება ტენგამტარობის პარამეტრები.

$$\text{წონითი ექსპერიმენტებიდან გვაქვს: } \frac{P-P_0}{P_0} = \frac{1}{V} \int_0^V W \cdot dv = 2 \int_0^R W \cdot r \cdot dr \quad (3)$$

სადაც  $P=P(t)$  არის ნიმუშის წონა დროის ნებისმიერ  $t$  მომენტში;

$P_0$ - მუდმივ წონამდე გამომშრალი ნიმუშის წონა; ჩვენს შემთხვევაში

$P_0=605$  გრ

$V$  – ცილინდრის მოცულობა:  $p=r/R, 0 \leq r \leq R, 0 \leq \dots \leq 1$ .

(3) დავიყვანოთ შემდეგ სახემდე:

$$\frac{P - P_0}{P_0(W_0 - W_c)} = \frac{W}{W_0 - W_c} + 2 \int_0^1 \dots \cdot d... \quad (4)$$

სადაც  $\hat{c} = \frac{W - W_c}{W_0 - W_c}$

ავლნიშნოთ  $2 \int_0^1 \dots \cdot d... = \hat{c}_c(t) \quad (5)$

(5)-ის შეტანით (4)-ში მივიღებთ:

$$\hat{c}_c(t) = \frac{P - P_0(1 + W_c)}{P_0(W_0 - W_c)} \equiv \tilde{P}(t, W_c, W_0) \quad (6)$$

ცხრილის მონაცემების მიხედვით (6)-დან მივიღებთ მასალისათვის ექსპერიმენტულ მრუდს  $\hat{c}_c$ -t კოორდინატებში. ცხადია:  $0 \leq \hat{c}_c \leq 1$ ;  $0 \leq t \leq 180$   $t = 0, \hat{c}_c = 1$ ;  $t = 180, \hat{c}_c = 0$ .

თეორიიდან გვაქვს [1,3]  $\hat{c}_c = 2 \sum_{i=n}^{\infty} \frac{A_n}{\mu_n} I_1(\mu_n) \cdot e^{-\mu_n^2 t} \quad (7)$

სადაც  $I_1$  ბესელის ფუნქციაა;  $\mu_n$  – დამახასიათებელი განტოლების ფესვები;

$A_n$  – მუდმივი კოეფიციენტები, ე.წ. საწყისი ამპლიტუდები.

$\mu_n$  და  $A_n$  დამოკიდებულია  $\chi$  კოეფიციენტზე.  $\chi$  კოეფიციენტის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის  $A_n$ ,  $\mu_n$  და  $I_1(\mu_n)$  განისაზღვრება სპეციალური ცხრილებით და შესაბამისი ფორმულებით [1,3,4]. თეორიიდან მივიღებთ  $\hat{c}_c$ -t დამკიდებულების გრაფიკების მთელ ოჯახს  $\chi$ -ის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის  $0 \leq t \leq 1$  მიღებული გრაფიკებიდან აირჩევა მრუდი, რომელიც მაქსიმალური სიზუსტით აღწერს ექსპერიმენტულს.

როგორც ვიცით  $\chi$  კოეფიციენტის მნიშვნელობა და  $\hat{c}_c$ -ს დროზე დამოკიდებულების მრუდი, შესაბამისი ფორმულებიდან გამოითვლება ტენგამტარობის პარამეტრები:  $\chi_w$  ტენის დიფუზიის;  $K_w$  ტენგადაცემის და  $K$  ტენგადაცემის კუთრი კოეფიციენტების სიდიდეები.

გამოკვლევაში გვიჩვენა, რომ 28 დღის ასაკის აღნიშნული მასალისათვის  $\chi=40$ .

დადგენილია, რომ:  $\chi_w = 0,068$  სმ<sup>2</sup>/დღე;  $K_w = 0,78$  სმ/დღე;  $K = 1143$  1/სმ

### 3. დასკვნა

ჩვენ მიერ შემუშავებული ცემენტის ფუძიანი სამშენებლო კომპოზიციების ტენგამტარობის თეორიაზე დაყრდნობით და სათანადო მეთოდის მიხედვით შესრულებულმა თეორიულ-ექსპერიმენტულმა გამოკვლევამ საშუალება მოგვცა მაღალი სიზუსტით დაგვედგინა მაღალი სიმტკიცის 28 დღის ასაკის ბეტონის და ტენგამტარობის პარამეტრები: ტენის დიფუზიის, ტენგადაცემისა და ტენგადაცემის კუთრი კოეფიციენტების სიდიდეები.

### ლიტერატურა

1. Сакварелидзе А. В. Некоторые задачи механики строительных композиционных материалов. Тбилиси, Мецნიერება, 1998, 131 с.,
2. А. В. Sakvarelidze,... Mechanical properties of high strength concrete with modifiers Fourteenth european conference on earthquake Engineering, 30.08-03.09.-2010, Ohrid Republic of Macedonia, abstract book, pp 815-819,
3. Боли Б. А. Уеннер Д. Х. Теория температурных напряжений, М. \*Мир\*, 1964, 517 с.,
4. Чистова Э. А. Таблицы функций Бесселя от действительного аргумента и интегралов от них М., 1958, 523 с.



**ფრეზირებული მასალის გამოყენებით დამზადებული  
კომბინირებული ასფალტობეტონის ნარევის გამოყენების  
კერძოპროექტები საქართველოში**

**მ. შიშინაშვილი**

**(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175 თბილისი  
საქართველო.)**

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია საქართველოში არსებული მდგომარეობა ძველი ასფალტობეტონის მეორადი გამოყენების თვალსაზრისით. ჩატარებულია ლაბორატორიული ცდები და მიღებული შედეგების საფუძველზე განხილულია და დასაბუთებულია ფრეზირებული მასალის გამოყენებით მიღებული ახალი კომბინირებული ასფალტობეტონის ნარევის დადებითი მხარეები. ნაშრომში ასევე დეტალურადაა განხილული კომბინირებული ნარევის დამზადების ტექნოლოგია და წარმოების ციკლი. ცხრილების სახით მოცემულია ცდების შედეგად მიღებული შედეგების შედარება სტანდარტების მოთხოვნებთან.

**საკვანძო სიტყვები:** კომბინირებული ნარევი, ასფალტობეტონი, რეგენერაცია, ბიტუმიწარმოებული მასალები.

### 1. შესავალი

ძველი ასფალტობეტონის მეორადი გამოყენების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა მისი განსაზღვრული რაოდენობით გამოყენება ახალი ნარევის დამზადებისას. მნიშვნელოვანია დადგინდეს ოპტიმალური პროცენტული თანაფარდობა ახალი ნარევის დასამზადებლად საჭირო მასალებსა და დამატებულ ძველ ასფალტობეტონს შორის. ამისათვის საჭიროა ლაბორატორიული ცდების ჩატარება, რათა განვსაზღვროთ ძველი ასფალტობეტონის შემადგენლობა და მივიღოთ საბოლოო ოპტიმალური გადაწყვეტილება თანაფარდობის დასადგენად.

ჩვენს მიერ აღნიშნული ოპტიმალური თანაფარდობის დასადგენად ჩატარებულ იქნა ლაბორატორიული გამოკვლევები. ძველი ასფალტობეტონის სახით ამ შემთხვევაში ჩვენ გამოვიყენეთ ცივი მეთოდით ასფალტობეტონის ფრეზირების შედეგად მიღებული მასალა. ამ მასალის მიღება ხდება სპეციალური მექანიზმის საშუალებით, რომელიც ცივი მეთოდით ახდენს ადგილზე ფენილის გაფხვიერებას განსაზღვრულ სიღრმემდე და კონვერის საშუალებით მიაწვდის თვითმცლელს, ხოლო თვითმცლელზე მოხვედრილი უკვე დაქუცმაცებული მასალა ტრანსპორტირდება ქარხანაში.

მას შემდეგ რაც ფრეზირებული მასალა მოხვდება ასფალტობეტონის დამამზადებელი ქარხნის ბაზაზე, ხდება მასალის შემადგენლობაში ტენიანობის განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საშრობი დოლურას მეშვეობით მისი გამოშრობა, ხოლო შემდეგ მისი გამოყენება ახალი ნარევის დასამზადებლად.

### 2. ძირითადი ნაწილი

ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება ქარხნული ტექნოლოგია სადაც ახალი ასფალტობეტონის ნარევის დამზადება ხდება ძველ რეგენირებული მასალის ახალ მასალასთან შერევით.

ძველი ასფალტობეტონის გადაამუშავები და კომბინირებული ნარევის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი კი შემდეგნაირია : მინერალური მასალა მკვება აგრეგატიდან დოზირების შემდეგ მიეწოდება გამაცხელებელ ბარაბანში.

ბარაბნშივე მიეწოდება მინერალური ფხვნილი, სპეციალურ დანადგარში დაგროვილი მტვერი, ბიტუმი და უკვე დაქუცმაცებული ძველი ასფალტობეტონი, რომელიც ცხელდება და ერევა უკვე დამატებულ ბიტუმს ან პლასტიფიკატორს.

მიღებული ნარევი იტვირთება ამწვე კონვეირზე საიდანაც იგი გადაეცემა გამზადებული ნარევის ბუნკერს. დანადგარის მართვა ხდება ოპერატორის კაბინიდან. ყველა დანადგარი გარდა გამაცხელებელი ბარაბნისა შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩვერლულებრივი ასფალტობეტონის ქარხნისა.

ძველი ასფალტობეტონი გამოყენებული უნდა იყოს იმ პრინციპით, რომ დამზადებული ასფალტობეტონის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები აკმაყოფილებდეს გოსტი-ს მოთხოვნებს. ლაბორატორიული ცდების ჩატარების შემდეგ ჩვენს მიერ განსაზღვრული იქნა, რომ მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონის დასამზადებლად, მთლიან ნარევი შესაძლებელია გამოყენებული იყოს რეგენირებული მასალის 27%. საიდანაც 25.4% მინერალური ნარევია, ხოლო 1,6% ბიტუმი. შესაბამისად ახალი ნარევის დამზადებისას ჩვენ ვახდენთ 27% ძველი მასალის გამოყენებას.

პირველ ცხრილში მოცემულია ასფალტობეტონის ნარევის მსხვილმარცვლოვანი, ფოროვანი მინერალური ნაწილის მარცვლოვანი შემადგენლობა და ბიტუმის რაოდენობა გოსტ 9128-84-ის მიხედვით, ხოლო გვერდით სვეტში მითითებულია ჩვენს მიერ დამზადებული ნარევის გრანულომეტრიული შემადგენლობა და ბიტუმის რაოდენობა მთლიანი მასიდან, რომელიც სრულიად აკმაყოფილებს გოსტი-ს მოთხოვნას.

**რეგენირებული ნარევის გამოყენებით დამზადებული ასფალტობეტონის გრანულომეტრიული შემადგენლობა**

ცხრილი 1.

ნარევი ფრაქციული ნაწილაკების ზომა, მთლიანი მასიდან %	ფოროვანი ნარევისთვის	კომბინირებული ნარევისთვის
40 მმ	95-100	100
20 მმ	70-100	94
15 მმ	57-100	80
10 მმ	45-76	61
5 მმ	27-65	45
2.5 მმ	18-50	29.2
1.25 მმ	10-38	20.2
0.63 მმ	7-28	14
0.31 მმ	4-22	10.1
0.14 მმ	3-15	7.1
0.071 მმ	2-8	3.8
ბიტუმის რაოდენობა, % მინერალური ნაწილის მასიდან	4.0-4.06	4.7
დამტვრეული მარცვლების რაოდენობა ღორღში %მასიდან	80	82

მე-2 ცხრილში მოყვანილია ასფალტობეტონის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მაჩვენებელი და შედარებულია გოსტის მოთხოვნებს, რაც ცხადყოფს, რომ ძველი მასალის ხელმეორედ გამოყენებით დამზადებული ასფალტობეტონი აკმაყოფილებს სტანდარტს და ვარგისია შემდგომი ექსპლუატაციისთვის. ასევე აკმაყოფილებს ნარევი ფრაქციულ ნაწილაკების სტანდარტულ მოთხოვნებს და გრანულომეტრიას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ძველი მასალის ხელმეორედ

გამოყენება ამცირებს გარემოს დაბინძურებას, რადგანაც ძველი ამორტიზირებული ასფალტობეტონის ნატეხების გადაყრა დიდ ზიან აყენებს ეკოლოგიას, შესაბამისად მისი უტილიზაცია დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ასევე მცირდება ინერტული მასალის მოპოვება მდინარეებიდან, რის გამოც ინახება და აღარ ზიანდება მდინარეების კალაპოტები და კლდოვანი ქანები.

**რეგენერირებული ნარევის გამოყენებით დამზადებული ასფალტობეტონის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები**

ცხრილი 2.

მაჩვენებელი	ფორიანი ა/ბ მარკა II გოსტ 9128-84-ით	კომბინირებული ნარევი
წყალგაჯერება, % მოცულობიდან	< 12	7.2
გაჯირჯევა, %მოცულობიდან, არა უმეტეს	2	0.8
მინერალური ჩონჩხის ფორიანობა, % მოცულობიდან	< 23	19.1
სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას, მპა + 20 C ტემპერატურაზე	1.5	3.6
+ 50 C ტემპერატურაზე	0.5	0.7
წყალმდეგობის კოეფიციენტი, არა უმეტეს	0.6	0.72
წყლისადმი მდგრადობის კოეფიციენტი, წყალში ხანგრძლივი ყოფნის დროს	0.5	0.6

ფინანსური მაჩვენებელი და ეფექტიანობა კი პირდაპირაა მიბმული მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასთან და ინერტული მასალის მოპოვებასთან. ჩვენს მიერ, ძველი ასფალტობეტონის გამოყენებით, ახალი ნარევის დამზადებისას მცირდება როგორც ენერგო დანახარჯების ასევე ბიტუმისა და ინერტული მასალის მოხმარებაც, რაც პირდაპირ აისახება ნარევის თვითღირებულებაზე.

### 3. დასკვნა

ლაბორატორიული ცდების ჩატარების შემდეგ მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ რეგენერირებული მასალით დამზადებული ახალი ნარევი აკმაყოფილებს სტანდარტულ მოთხოვნებს.

რეგენერირებული ასფალტობეტონის გამოყენებით დამზადებული, შემოთავაზებული კომბინირებული საგზაო ფენილის სატრანსპორტო – საექსპლუატაციო თვისებებით აკმაყოფილებს ნორმატიულ მოთხოვნებს. მათი ღირებულება 1,5-ჯერ ნაკლებია ჩვეულებრივი ასფალტობეტონის ფენილზე

### ლიტერატურა

1. . . . . // Georgian Engineering News, 2008, 4, . . . . . 128-131.
2. . . . . // « . . . . . », 2009, 10, . 253-256.

ხიმინჯოვანი საპირკვლევი სეისმურ რაიონებში

ტ.ზაკუტაშვილი, ზ. კაპანაძე, თ. მაცაბერიძე, ი. პოჭორიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 68, 0175 თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია ხიმინჯების ანგარიში სეისმური ზემოქმედებისას ფუძე-გრუნტის დამყოლობის გათვალისწინებით. აღნიშნული მეთოდით შესაძლებელია გამოთვლილი იქნას სისტემა <<ხიმინჯი-გრუნტი>> სიხისტისა და დემფირების პარამეტრები, რაც მნიშვნელოვანია შენობა-ნაგებობების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** ხიმინჯი, სიხისტე, დემფირება, მოქნილობა, ფუძე-გრუნტი, სეისმური ზემოქმედება, დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა.

1. შესავალი


დღეისათვის ცნობილია ხიმინჯების ჰორიზონტალურ დატვირთვებზე გაანგარიშის რამდენიმე მეთოდი, რომელიც სისტემატიზირდება <<ხიმინჯი-გრუნტი>> სისტემის მოდელის მუშაობითა და ხიმინჯის სიხისტის პარამეტრებით.

ხიმინჯების გაანგარიშების მეთოდები სიხისტის პარამეტრების მიხედვით, შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად:


პირველი მეთოდი, როდესაც ხიმინჯს განიხილავენ, როგორც აბსოლუტურად ხისტ ღეროს (ნახ.1), რომელიც შემობრუნდება <<ნულოვანი>> წერტილის ირგვლივ. [1] ამ მეთოდში გრუნტის მოდელირდება ხორციელდება ზღვრული წონასწორობის კლასიკური თეორიით. ამ მეთოდის უარყოფით მხარეს შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ გაანგარიშებისას არ ხდება ხიმინჯის მოქნილობის გათვალისწინება.

მეორე მეთოდი, რომლის საფუძველად უდევს 2.02.03-85 <<

>> [2]-ში მოცემული ანგარიშის მეთოდებს. ხიმინჯის მოდელირება ხდება, როგორც ღერო ჩამაგრებული დრეკად გარემოში (სურ. 2). ფუძე-გრუნტს განიხილავენ, როგორც წრფივად-დეფორმირებად სხეულს, რომელიც ხასიათდება სიდრმის მიხედვით წრფივად ზრდადი საგების  $C$  კნ/მ<sup>4</sup> კოეფიციენტით.



ნახაზი-1.



ნახაზი-2.

სტატიაში მოყვანილია [3]-ის მიხედვით ხიმინჯის სეისმურ ზემოქმედებაზე გაანგარიშების მეთოდის, რომელიც იძლევა საშუალებას ანალიტიკური ხერხით გამოთვლილი იქნას სიხისტისა და დემფირების შესაბამისი პარამეტრების მნიშვნელობები.

2. ძირითადი ნაწილი

როგორც ცნობილია ფუძე-გრუნტის დამყოლობის გათვალისწინების ძირითად იდეა მდგომარეობს, შესაბამისი სიხისტის კოეფიციენტების დანიშვნით, რომელთა


მნიშვნელობები განისაზღვრება საძირკვლისა და ფუძის ურთიერთზეგავლენის პირობებიდან:

$$R_r = K_r u_r ; R_{\zeta r} = K_{\zeta r} \zeta_r . (r = x, y, z)$$

სადაც:  $R_r, R_{\zeta r}$  -რეაქტიული ძალებია;  $K_z$  -სიხისტის კოეფიციენტი, დრეკადი თანაბარი კუმშვისას; (კნ/მ)  $K_x, K_y$  -სიხისტის კოეფიციენტები, დრეკადი თანაბარი ძვრისას; (კნ/მ)  $K_{\zeta x}, K_{\zeta y}$  -სიხისტის კოეფიციენტები, არათანაბარი კუმშვისას; (კნ/მ)  $K_{\zeta z}$  -სიხისტის კოეფიციენტი, არათანაბარი ძვრისას; (კნ/მ)  $u_r$  -წრფივი გადაადგილება; (მ)  $\zeta_r$  -კუთხური გადაადგილება; (მ)

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ასეთივე მეთოდიკით ხდება სეისმური ზემოქმედებისას გრუნტის დამყოლობის გათვალისწინება, სადაც ფუძე განიხილება როგორც დრეკად ნახევარსივრცე. ფუძის თვისებების კონკრეტიზაცია (ინერციულობა, დემფირება) ხორციელდება ამა, თუ იმ დინამიკური მოდელების ფორმულირების ფარგლებში.

წარმოდგენილ მეთოდში როსტვერკი განიხილება, როგორც ხისტი არადეფორმირებადი სხეული, რომელიც დაყრდნობილია ხიმინჯებზე, ხოლო ეს უკანასკნელი ჰორიზონტალური მიმართულებით მუშაობს, როგორც ღერო დრეკად (ვინკლერის) ფუძეზე სიდრმეში წრფივად ზრდადი საგების კოეფიციენტით (ნახაზი-3). ამ სურათზე მოცემულია ხიმინჯოვანი საძირკვლის საანგარიშო სქემა დაბალი და მაღალი როსტვერკის შემთხვევისათვის, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ ხიმინჯის მუშაობის პირობებით.



ნახაზი-3

ხიმინჯოვანი საძირკვლების სიხისტის კოეფიციენტები დრეკადი თანაბარი ძვრისას  $K_x$  და დრეკადი მობრუნებისას  $K_{\zeta}$  გამოითვლება შემდეგი ფორმულებით.

$$K_x = nC_2 - \frac{n^2 C_3^2}{C_1 \sum_{i=1}^n y_i^2 + nC_4}; \quad K_{\zeta} = C_1 \sum_{i=1}^n y_i^2 + nC_4 - n \frac{C_3^2}{C_2};$$

სადაც:  $n$  -სიმეტრიულ როსტვერკში ხიმინჯების რაოდენობა;


$y_i$  -მანძილი, როსტვერკის მობრუნების ღერძიდან  $i$ -ური ხიმინჯის ღერძამდე.

$C_1$  -ძალა, რომელიც მიმართულია  $i$ -ური ხიმინჯის გასწვრივ და რომელიც წარმოიშვება როსტვერკის ძირის დრეკადი ერთეულოვანი გადაადგილებით იმავე ღერძის გასწვრივ (სურ.1,ა).

$C_2$ -ძალა, რომელიც მიმართულია ხიმინჯის ღერძის პერპენდიკულარულად და რომელიც წარმოიშვება როსტვერკის დრეკადი ერთეულოვანი გადაადგილებით ამავე მიმართულებით. (სურ.1,ბ).

$C_3$ -მომენტი, რომელიც მოქმედებს ხიმინჯის ღერძზე გამავალ სიბრტყეში და რომელიც წარმოიშვება როსტვერკის ძირის დრეკადი ერთეულოვანი გადაადგილებით ამავე მიმართულებით. (სურ.1,ბ)

$C_4$ -მომენტი, რომელიც მოქმედებს ხიმინჯის ღერძზე გამავალ სიბრტყეში და რომელიც წარმოიშვება ამავე სიბრტყეში როსტვერკის ძირის დრეკადი ერთეულოვანი მობრუნებით. (სურ.1,გ,დ).



სურათი-1

$C_1$  კოეფიციენტის მნიშვნელობა რკინაბეტონის ხიმინჯისათვის, განისაზღვრება მათი გამოცდით ვერტიკალური სტატიკურ დატვირთვებზე .

$C_2$  კოეფიციენტის მნიშვნელობები დაბალი და მაღალი როსტვერკის შემთხვევაში გამოითვლება შემდეგი ფორმულებით.

დაბალი როსტვერკისათვის.

$$C_2 = \frac{r^3 EI}{a_y (\zeta_o)}$$

მაღალი როსტვერკისათვის.  $C_2 = \frac{EI}{C_h^y}$ ;


სადაც

$$r = \sqrt[5]{\frac{Kb}{EI}}; \quad \zeta_1 = r \cdot l; \quad C_h^y = a_h^H - a_h^M c_h^M;$$


$$a_h^H = \frac{a_y^H(\zeta_o)}{r^3} + \frac{2a_y^M(0)h}{r^2} + \frac{a_{\zeta}^M(0)h^2}{r} + \frac{h^3}{3};$$

$$a_h^M = \frac{a_y^M(0)}{r^2} + \frac{a_{\zeta}^M(0)h}{r} + \frac{h^2}{3};$$


$b$ -ხიმინჯის განივი კვეთის სიგანე;  $EI$ -ხიმინჯის განივი კვეთის ღუნვითი სიხისტე; კოეფიციენტების  $a_y(\zeta), a_{\zeta}(\zeta), a_M(\zeta), a_H(\zeta)$  მნიშვნელობები, ხიმინჯისათვის თავისუფალი ბოლოთი, როდესაც  $\zeta_1 \geq 2$  მოყვანილია სურ. 2-4, ხოლო ხიმინჯისათვის, რომლის ბოლო ჩამაგრებულია კლდოვან ქანებში და როდესაც  $\zeta_1 \geq 1$  სურ. 5-7.




სურ.2 კოეფიციენტები  $a_y(\xi), a_l(\xi), a_M(\xi), a_H(\xi), a_p(\xi)$  ხიმინჯისათვის თავისუფალი ბოლოთი.



სურ.3 კოეფიციენტები  $a_y^H(\xi), a_l^H(\xi), a_M^H(\xi), a_H^H(\xi), a_p^H(\xi)$  ხიმინჯისათვის თავისუფალი ბოლოთი.




სურ.4 კოეფიციენტები  $a_y^M(\xi), a_l^M(\xi), a_M^M(\xi), a_H^M(\xi), a_p^M(\xi)$  ხიმინჯისათვის თავისუფალი ბოლოთი.



სურ.5 კოეფიციენტები  $a_y(\xi), a_l(\xi), a_M(\xi), a_H(\xi), a_p(\xi)$  ხიმინჯისათვის კლდოვან გრუნტში

ჩამაგრებული ბოლოთი.



სურ.6 კოეფიციენტები  $a_y^H(\xi), a_l^H(\xi), a_M^H(\xi), a_H^H(\xi), a_p^H(\xi)$  ხიმინჯისათვის კლდოვან გრუნტში

ჩამაგრებული ბოლოთი.





სისტემის “შენობა - კიდულხიმინჯოვანი საძირკველი” არა  
წრფივი დიაგრამების აბეზის მეთოდით

მ. ჭანტურია, მ. მამარდაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 68, 0175 თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** კიდულ-ხიმინჯოვან საძირკველზე აგებული შენობა-ნაგებობის სეისმურ დატვირთვებზე გაანგარიშების დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ისეთი დინამიკური საანგარიშო სქემის შერჩევა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება როგორც კონსტრუქციის მასალის, ასევე ფუძე-საძირკველის ძირითადი დეფორმაციული მახასიათებლები. ამავ დროს ის უნდა იყოს მარტივი და უნივერსალურად გამოყენებადი ყველა ტიპის შენობა-ნაგებობათა გაანგარიშების თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** ხიმინჯი, მუშაობისუნარი, სეისმური დატვირთვები, ჰორიზონტალური გადაადგილებები, საძირკველი, გრუნტი, აქსელეროგრაფია, როსტვერკი.

## 1. შესავალი

სისტემის “შენობა-კიდულ ხიმინჯოვანი საძირკველი” არა წრფივი დიაგრამების ასაგებად საჭიროა გვექონდეს განივი და გრძივი ძალების სართულების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ფარდობით გადაადგილებებთან დამოკიდებულების დიაგრამები. ასევე ამ სიდიდეების ხიმინჯოვანი საძირკველის გადაადგილებებთან დამოკიდებულების დიაგრამა. აუცილებელია, მდუნავი მომენტისა და ხიმინჯოვანი საძირკველის ვერტიკალურ კუთხეში მობრუნების კუთხის დამოკიდებულება. ეს დამოკიდებულებები მიღებულ იქნა პრანდტლის დეალიზირებული დიაგრამების სახით.

## 2. ძირითადი ნაწილი

საანგარიშო სქემა სეისმური დატვირთვების ზემოქმედებისას სისტემაზე “შენობა-კიდულ ხიმინჯოვანი საძირკველი”, წარმოადგენს უწონო კონსოლს  $n+1$  თავისუფლების ხარისხით, სადაც  $n$  – შეყურსულმა სათა რაოდენობაა, ხოლო ერთი თავისუფლების ხარისხი უჩვენებს ხიმინჯოვანი საძირკველის მობრუნებას ვერტიკალურ სიბრტყეში. ხიმინჯის წონა კონცენტრირებულია (შეყურსულია) როსტვერკის დონეზე. ითვლება, რომ ხიმინჯები როსტვერკში ჩამაგრებულია ხისტად., ხოლო თვითონ როსტვერკი მიღებულია როგორც არადეფორმირებადი სხეული.

მიღებულია დაშვება, რომ გამოყოფილი ელემენტის დრეკადპლასტიკური სტადია უზრუნველყოფილია პლასტიკური სახსრის გაჩენით მოცემული ელემენტის ერთ ან ორივე ბოლოზე. ამის გარდა, პლასტიკური სახსარი ვითარდება შემდეგი პირობის დარღვევის დროს:

$$(M / M^{ულ})^2 + (P / P^{ულ})^2 + (N / N^{ულ})^2 \leq 1 \quad (1)$$

სადაც  $M$  – ხიმინჯოვანი საძირკველის როსტვერკის დონეზე მოქმედი მდუნავი მომენტის მნიშვნელობაა;  $P$  და  $N$  – განსახილველი ელემენტის ერთ-ერთ ბოლოზე მოქმედი ჰორიზონტალური ან ვერტიკალური ძალებია;  $M^{ულ}$ ,  $P^{ულ}$ ,  $N^{ულ}$  – მდუნავი მომენტის, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ძალების ზღვრული მნიშვნელობებია, რომლებიც მიიღება განსახილველი ელემენტის სიმტკიცის პირობიდან.

მიღებულია დაშვება, რომ პლასტიკური სახსრის გაჩენის შემდეგ კუთხური ჯამური ძალები მუდმივნი რჩებიან მის დახურვამდე, რის შემდეგაც მაშინათვე აღდგება საწყისი სიხისტე. პლასტიკური სახსრის დახურვა მოცემულ კვანძში

-

«

»

განპირობებულია როგორც კუთხური გადაადგილებების, ასევე ჰორიზონტალური და ვერტიკალური გადაადგილებების სიჩქარის ნიშნითა ცვლილებით.

კიდულ ხიმინჯოვან კონსტრუქციაზე გარე ჰორიზონტალური ან ვერტიკალური ძალების მოქმედების შედეგად ვითარდებიან როგორც საძირკვლის, ასევე შენობის ცალკეული სართულების ჰორიზონტალური და ვერტიკალური გადაადგილებები, ასევე როსტვერკის ან საძირკვლის ფილის მობრუნება, რაც თავის მხრივ იწვევს შენობის გადახრას იმავე სიბრტყეში.

თუ კიდულხიმინჯოვან საძირკველს განვიხილავთ, როგორც შენობის თავისებურ სართულს, სამშენებლო მექანიკის ცნობილი ფორმულების დახმარებით შეიძლება ჩავწეროთ:

$$P_j = k_{ij} \cdot j^* \quad (2)$$

სადაც:  $P_j$  - განივი (გადამჭრელი) ძალაა, რომელიც  $j$ -ურისართულის დონეზე მოქმედებს;  $k_{ij}$  -  $j$ -ური სართულის სიხისტეა;  $j^*$  -  $j$ -ური სართულის ჰორიზონტალურ ფარდობითი გადაადგილებაა.

ზღვრული მდგომარეობის დროს (2) დამოკიდებულების ნაცვლად გვაქვს:  $P_j^{*} = k_{ij} \cdot j^{*}$  (3). სადაც  $P_j^{*}$  და  $j^{*}$  - ზღვრული ძალა და  $j$ -ური სართულის ჰორიზონტალური ფარდობითი გადაადგილების ზღვარია.

ანალოგიური ფორმულები ჩაიწერება  $j$ -ური სართულის ვერტიკალური ფარდობითი გადაადგილებებისთვისაც:  $N_j = k_{ij} V_j^*$ ,  $N_j^{*} = k_{ij} V_j^{*}$ , სადაც  $N_j$  -  $j$ -ური სართულის დონეზე მოქმედი ვერტიკალური ძალაა;  $V_j^*$  -  $j$ -ური სართულის ფარდობითი ვერტიკალური გადაადგილებაა. თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკა, კერძოდ LIRA საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ შენობის სართულების როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური ნარჩენი გადაადგილებები, სეისმური ზემოქმედების გათვალისწინებით.

მიუხედავად ამისა, შენობის სართულების როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური გადაადგილებები, რომლებიც აღიძვრებიან როგორც განივი კვეთის, ასევე როსტვერკის მობრუნების გარეშე, შენობის მდგრადობისათვის საშიშროებას არ წარმოადგენენ, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს გადაადგილებები ვერად წვევენ მნიშვნელოვან სიდიდემდე 7 და 8 ბალიანი ინტენსივობის მიწისძვრების დროსაც კი.

მნიშვნელოვნად საშიშია როსტვერკის მობრუნება ვერტიკალურ სიბრტყეში, რომელსაც იწვევს ნაწილი ხიმინჯების ზედმეტად დატვირთვა მეორე ნაწილის განტვირთვის ხარჯზე; ასე, რომ სეისმური ზემოქმედების გარეშეც კი, მაგალითად სუსტი გრუნტების შემთხვევაში, შენობა გადაიხრება ძალის არაცენტრალურად მოქმედების დროს ან გრუნტის არაერთგვაროვანი დეფორმაციული თვისების გამოც.

მნიშვნელოვანია გადახრები, თუ ისინი აღიძვრებიან მიწისძვრის შედეგად, და იწყებენ მომატებას მის შემდეგ განვითარებული სტატიკური ძალის მოქმედებით, რომელიც შეიძლება მოდებული აღმოჩნდეს არაცენტრალურად. ამიტომაც მოყვანილია ორი ტიპის შენობის, ხისტის და საშუალოდ დრეკადის, ნარჩენი გადახრების გამოკვლევის შედეგები. განვიხილოთ გარე ჰორიზონტალური ძალის ზემოქმედება შენობაზე კიდულ ხიმინჯოვანი საძირკვლით, რომელიც იწვევს მის საერთო გადახრას და, შესაბამისად, საძირკვლი სროსტვერკის მობრუნებას. მოცემული გადახრა წონასწორდება ხიმინჯის წინააღობის როგორც დატვირთვაზე, ისე განტვირთვაზე (ნახ.1). წონასწორობის პირობა ჩაიწერება ასე:


$$M^{*} = [N_1^{*} \sum a_1 + N_2^{*} \sum a_1], \quad (4).$$

-

«

»

სადაც  $M^{uc}$  – ხიმინჯოვან საძირკველზე მოქმედი ზღვრული მომენტია, რომელსაც იწვევს გარე ჰორიზონტალური ძალები;  $N_1^{uc}$  და  $N_2^{uc}$  – შესაბამისად ზღვრული დატვირთვის და განტვირთვის ძალებია, რომლებიც მოქმედებენ ხიმინჯზე გარე ჰორიზონტალური ძალის



ნახ.1

მოქმედების შედეგად;  $a_i$  – როსტვერკის ბრუნვის ღერძიდან იმ ხიმინჯის ცენტრამდე მანძილია, რომელიც მუშაობს ან დატვირთვაზე, ან განტვირთვაზე. ნახ.1 – ის მიხედვით შეიძლება ჩაიწეროს:  $N_1^{uc} = K_{1,i} a_i$  - (5),  $N_2^{uc} = K_{2,i} a_i$  - (6), სადაც  $K_{1,i}$  და  $K_{2,i}$  – ხიმინჯის სიხისტის კოეფიციენტებია შესაბამისად დატვირთვაზე და განტვირთვაზე.

ვაკეთებთ დაშვებას, რომ ხიმინჯოვანი საძირკველის სტატიკური დეფორმაცია აღემატება სეისმური ზემოქმედების შედეგად განვითარებული რხევის ამპლიტუდას ვერტიკალურ სიბრტყეში მისი მობრუნების დროს. ამ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ, რომ:  $N_1^{uc} = N_2^{uc}$ , და (4) წონასწორობის პირობა მიიღებს შემდეგ სახეს:  $M^{uc} = 2N_1^{uc} \sum a_i$  - (7); ამ პირობისას ხიმინჯის სიხისტის კოეფიციენტები დატვირთვაზე და განტვირთვაზე მიიღება ტოლი:  $K_{1,j} = K_{2,j}$ , მაშინ (7),(5)-ის გათვალისწინებით გადაიწერება ასე:  $M^{uc} = 2K_{1,j} \sum a_i^2$  - (8); თუმცა,  $K_{i,j} = const = k_1$ ; ამის გამო,

$$M^{uc} = 2K_{1,j} \sum a_i^2 \quad (9).$$

ამ ფორმულიდან ჩანს, რომ, როცა  $n = 1$ , (9) გამოსახულება პასუხობს სისტემის სიხისტი კოეფიციენტს როსტვერკის ვერტიკალურ სიბრტყეში მობრუნებისას:  $K_{1,j} = 2K_1 \sum a_i^2$  - (10). ასევე გვაქვს, რომ:


$$K_1 = [X_1(1 + s/A)thsl_b] / (thsl_b + s/A) \quad (11).$$

(11) ფორმულაში შემავალ სიდიდეებს გამოვითვლით

შემდეგნაირად:  $X_1 = \sqrt{E_u F_b} x$ ;  $s/A = \epsilon s / r$ ;  $s = \sqrt{b_x x / E_u}$ ;  $r = C_z / E_u$ , სადაც  $E_u$  – ბეტონის საწყისი დრეკადობის მოდულია;  $F_b$ ,  $b$  და  $l_b$  – ხიმინჯის განიგვეთის ფართობი, პერიმეტრი და სიგრძეა;  $C_z$  – ხიმინჯის ბოლოს არსებული გრუნტის დრეკადი კუმშვის კოეფიციენტი;  $x$  – ხიმინჯის გვერდით ზედაპირთან არსებული გრუნტის კუთრი დრეკადი წინაღობა.

ხიმინჯოვანი საძირკველის ჰორიზონტალური გადაადგილება ხდება ხიმინჯის კუმშვის შედეგად. რადგანაც ხიმინჯები ერთმანეთთან დაკავშირებულია პრაქტიკულად არადეფორმირებადი ხისტი როსტვერკით, ჰორიზონტალური გადაადგილება ყველ

ხიმინჯისა იქნება ერთნაირი, ხოლო განივი ძალა, რომელიც მოქმედებს როსტვერკზე, თანაბრად გადანაწილდება ხიმინჯებზე. ასეთივე სურათი გვექნება მთელს შენობაზე სართულების მიხედვით. ვთვლით, რომ სართულშუა გადახურვები წარმოადგენენ აბსოლუტურად ხისტ დისკებს და სართულებს შორისი სვეტები ექვემდებარებიან ღუნვის დეფორმაციებს.



ნახ. 2.

აქედან გამომდინარე, შენობის ყველა ვერტიკალური ელემენტისთვის (სვეტები და ხიმინჯები) მათზე ჰორიზონტალური ძალის მოქმედებისას, შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი დამოკიდებულება:  $P = Pl^3 / 12 EI$  (12), სადაც  $l$  – შენობის კონსტრუქციის ელემენტის ჰორიზონტალური ფარდობითი გადაადგილებაა;  $E$  – ელემენტის მასალის იუნგის მოდულია;  $I$  – ელემენტის განივკვეთის ინერციის მომენტი;  $P$  – ჰორიზონტალურად მოდებული ძალაა, რომელსაც დებულობს კონსტრუქციის ელემენტი, და დამოკიდებულია ელემენტის მასალაზე, მისი არმირების ხარისხზე და განივკვეთის ფართობზე;  $l$  – ელემენტის მუშა სიმაღლეა, რომელიც სვეტებისვის ტოლია ორ მეზობელ სართულ შორისი გადახურვებს შორის მანძილისა, ხოლო ხიმინჯებისთვის აიღება ნორმებიდან. (12) ფორმულის მიხედვით, როცა  $P=1$ , ვღებულობთ სვეტის და ხიმინჯის სიხისტის კოეფიციენტს კუმშვისას:  $K = 12 EI / l^3$  (13); როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, შუალედურ ბალიშიანი კიდულხიმინჯოვანი საძირკვლის შემთხვევაში, ჰორიზონტალური ძალები რხევადი ნაგებობიდან ხიმინჯებს პრაქტიკულად არ გადაეცემათ, და ძვრაზე მუშაობს მხოლოდ შუალედური ბალიში, რომლის სიხისტის კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი დამოკიდებულებით:  $K_s = E_n F_n / 2(1 + \nu) h_n$  (14), სადაც  $E_n$  და  $\nu$  – შუალედური ბალიშის მასალის დეფორმაციის მოდული და პუასონისკოეფიციენტი;  $F_n$  და  $h_n$  – მისი ფართობი და სიმაღლეა. ამ მონაცემების საფუძველზე განხილული სისტემისათვის ავაგეთ დამოკიდებულებანი “ძალა – გადაადგილება” და “მღუნავი მომენტი – მობრუნების კუთხე” (ნახ.2), კომპიუტერის საშუალებით გამოვთვაღეთ ნარჩენი გადახრები და სართულების ფარდობითი გადაადგილებები.

### 3. დასკვნა

მიღებული შედეგების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ ყველა ტიპის ფუძე-საძირკვლისთვის სართულშუა გადახურვების დონეებზე ნარჩენი ჰორიზონტალური გადაადგილებები იზრდება სართულის სიმაღლის მიხედვით და მნიშვნელოვნად განპირობებულია ვერტიკალურ სიბრტყეში როსტვერკის მობრუნების ნარჩენი დეფორმაციით.

### ლიტერატურა

1. . . . . , 1983, 144 . . . . .
2. . . . . // . . . . . , 1986, .121 3, 569-571.
3. . . . . / . . . . .
4. « . . . . . », 1986, 32, . . . . . , 8 . . . . . , 1973, 162 . . . . .

**შენობა-ნაგებობების მონიტორინგის სისტემების  
ანალიზი**

**მ. წიქარიშვილი, უ. კოკუაშვილი, ნ. ტაბატაძე, მ. ვარლიაშვილი**

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. 72, 0175 თბილისი,  
საქართველო)

*რეზიუმე:* ნაშრომში გაანალიზებულია შენობა-ნაგებობების მონიტორინგის არსებული სისტემები, რომელთა ანალიზით ჩამოყალიბდა სამუშაო ჰიპოთეზა მონიტორინგის კომპლექსური ტექნოლოგიის შემუშავება სამი სახით: ინფორმაციული მოდელირების, სასრულ-ელემენტთა მოდელირების და თეორიული და ექსპერიმენტული ანალიზის.

*საკვანძო სიტყვები:* შენობა-ნაგებობა, მონიტორინგი, ინფორმაციული მოდელირება, სასრულ-ელემენტთა მოდელირება.

**1. შუსავალი**

მონიტორინგის ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული გამოკვლევის ცნებასთან. თანახმად 13-102-2003-ისა [1] გამოკვლევა – ესაა ფაქტიური მნიშვნელობის კონტროლირებადი პარამეტრების შეფასების ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც ახასიათებს საექსპლუატაციო მდგომარეობას, გამოკვლევა ატარებს პერიოდულ ხასიათს. განსხვავებით გამოკვლევისაგან მონიტორინგი ატარებს სტაციონალურ ხასიათს. თანახმად 53778-2010 [2] მონიტორინგი-ესაა სისტემა დაკვირვებებისა და კონტროლის იმ ობიექტების გამოსავლენად, რომლებზედაც მოხდა დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილებები, და რომლებისთვისაც აუცილებელია ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა. ასე რომ, გამოკვლევა და მონიტორინგი – ესაა ორი პარალელური ურთიერთდამატებითი პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო ექსპლოატაციას (ნახ. 1).

მონიტორინგი ისევე როგორც გამოკვლევა, გთავაზობს კონტროლირებადი პარამეტრების განსაზღვრასა და შეფასებას, რომლებშიც შედის:

1. სტატიკური მახასიათებლები

- მასალების თვისებები
- დეფორმაცია
- გადაადგილება (დაწვევა, ჩადუნვა, დახრა და სხვა)

2. დინამიკური მახასიათებლები


- სიხშირე
- მიღების დეკრემენტი (დეფორმირების კოეფიციენტი) და სხვა.

მონიტორინგის ჩატარებისთვის უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს ავტომატიზირებული მონიტორინგის სისტემები.


**2. პირითაღი ნაწილი**

თანახმად [3]-ისა მონიტორინგის სისტემას უნდა ჰქონდეს მრავალღონიანი იერარქიული სტრუქტურა, რომელიც შედგება შემდეგი დონეებისგან (ნახ. 2):

- დონე 1. სტრუქტურირებული ინფორმაციული საკაბელო სისტემა;
- დონე 2. პირველადი გარდამქმნელები;
- დონე 3. ინფორმაციის შეგროვების მაკონტროლებლები;
- დონე 4. შეყვანა/გამოყვანის სერვერები;
- დონე 5. დისპეჩერების ავტომატიზირებული სამუშაო ადგილები.



ნახ. 1. სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევა და მონიტორინგი



ნახ. 2 სამშენებლო კონსტრუქციების მონიტორინგის სისტემის სტრუქტურული სქემა

-

«

»

მონიტორინგის სისტემების პირველი დონე ფორმირებულია სტრუქტურირებული ინფორმაციული საკაბელო სისტემით, განხორციელებული კავშირის მეშვეობით. მონიტორინგის სისტემები ელემენტების კვება სამშენებლო ობიექტებზე, როგორც წესი ხორციელდება ხაზური საკაბელო სისტემებით.

მეორე დონე შედგება პირველადი სენსორებით რომლებიც დაყენებულია კონსტრუქციების ელემენტზე. სენსორები აფიქსირებენ ცვლილებებს კონსტრუქციების საკონტროლო პარამეტრებს (დეფორმაცია, აჩქარება, დახრა და ა.შ.) და ფორმირებენ ანალოგიურ სიგნალს, რომელიც გადაეცემა მესამე დონის ელემენტებს – რომლებიც აკონტროლებენ ინფორმაციის შეკრებას (მეორადი გარდამქმნელი). კონტროლიორები ასრულებენ ანალოგიური სიგნალის გარდამქმნას ციფრულ სიგნალში და გადაეცემენ გარდაქმნილ სიგნალს შეყვანა/გამოყვანის სერვერზე. კონტროლიორებს შეუძლიათ შეინახონ შეგროვებული მონაცემები და შეასრულონ მონაცემების ანალიზი. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობენ ინტელექტუალური სენსორები, რომლებიც თავის თავში ათავსებენ პირველად და მეორად გადაწყვანებს. მონიტორინგის სისტემაში გამოიყენება ღია სტანდარტული ციფრული პერიფერიის პროტოკოლი.

მეოთხე დონე მოიცავს შეყვანა/გამოყვანის სერვერს, რომელზეც დაყენებულია უზრუნველყოფის პროგრამა. სერვერი ასრულებს შეგროვებული მონაცემების შენახვის და ანალიზის ფუნქციას.

მესუთე დონე მონიტორინგის სისტემები შეიცავს სამუშაო ადგილებს დისპეჩერებისათვის ან ოპერატორებისათვის, რომლებიც საშუალებას აძლევს მონიტორინგის სისტემის პერსონალს მიიღოს ოპერატიული დაშვება ინფორმაციასთან ობიექტის მდგომარეობის შესახებ, ოპერატიული გადაწყვეტილების მისაღებად.


მონიტორინგის სისტემას უნდა ჰქონდეს ღია არქიტექტურა, რომელმაც უნდა დაუშვას შემდგომი გაფართოება, როგორც რიცხობრივად მონიტორინგის ობიექტებისა, ისე სისტემების ფუნქციების რიცხვითაც და ასევე ინტეგრაციის საშუალება მისცეს მონიტორინგის და მართვის სხვა სისტემებთან.

ფუნქციონალური შესაძლებლობების და კონტროლირებადი პარამეტრების ტიპის მიხედვით მონიტორინგის სისტემები გაყოფილია ორ კლასად: სტატიკური და დინამიკური. სტატიკური მონიტორინგის სისტემები ზომავენ პარამეტრებს ნელა ცვალებად დროში (ტემპერატურა, ჩაღუნვა, დახრა, დაწევა, კონტაქტური ძაბვა ფუნდამენტის ძირში) და დინამიური მონიტორინგის სისტემები ზომავენ დროში სწრაფად ცვალებად პარამეტრებს (აჩქარება, რხევის სიჩქარე).

დღევანდელ დღეს მონიტორინგის სისტემის შემუშავებაში გამოიყენება სამი ტექნოლოგიური პლატფორმა. პირველი, ეფუძნება სხვადასხვა სენსორების გამოყენებას, რომელიც სადენიანი კავშირის მეშვეობით გადასცემს გაზომვების მონაცემებს; მეორე დამატებითად რთავს გაზომვების მონაცემთა დაგროვების და ავტომატური დამუშავების სერვერებს ნორმირებული პარამეტრების (ჩაღუნვა, დახრა, დეფორმაცია) ავტომატური კონტროლით და ინფორმაციის გადაწოდებით კაბელო ან უკაბელო კავშირით მონიტორინგის უკაბელო სისტემები და მესამე, დამატებითი რომელსაც აქვს უნარი გადაწყვეტილების მიღების კონსტრუქციის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, დაფუძნებით მათემატიკურ და ფიზიკურ მოდელებზე (მონიტორინგის სისტემა ხიდების მდგომარეობაზე); მოცემული მონიტორინგის სისტემა ხიდების მდგომარეობაზე ახდენს ბაგირების რხევების აჩქარების გაზომვას. გაზომილი სპექტრის გამოხმაურებით გამოითვლება მათემატიკური მოდელის პარამეტრები. პარამეტრებში იგულისხმება გაღუნვის

სიხისტე და ბაგირის დაჭიმვის ძალა [4]. ბაგირის დაჭიმვის სიდიდით განისაზღვრება ხიდის კონსტრუქციის უსაფთხო ექსპლუატაცია.

სტატიკური მონიტორინგის სფეროში საჭიროა აღინიშნოს ნაშრომი [5]. მოცემული ნაშრომი ეძღვნება შენობებისა და ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შეფასების საკითხებს მათი ტექნიკური მდგომარეობის მონიტორინგის ჩატარებისას. მდგომარეობის შეფასებისთვის შემუშავებულია მონიტორინგის სისტემა, რომელიც მოიცავს შემუშავებულ მეთოდებს ავტომატიზირებულ გეოდეზიურ აზომვებს კონსტრუქციების წერტილების გადაადგილების დასაფიქსირებლად. ნაშრომ [6]-ში შემოთავაზებულია გამოვიყენოთ ამორჩევითი გამოკვლევები, სივრცულ-საკოორდინატო (სს) აზომვები, სასრულ ელემენტთა ანალიზი (სე) კონსტრუქციის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის აზომვების შედეგების მიხედვით (ნახ. 3).




ნახ. 3. სს და სე ნაგებობის მოდელები

სტატიკური მონიტორინგის სისტემის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სისტემა, რომელიც აღწერილია ნაშრომში [7] მოცემული მონიტორინგის სისტემა ასრულებს აზომვას გრუნტის წნევის, ბეტონის დეფორმაციის და ძალვის არმატურის დეროებში. მოცემული სისტემის გამოყენების აუცილებლობა იყო გამოწვეული დაწვევისა და დახრის საანგარიშო და ფაქტიური მნიშვნელობების სხვაობით. სამი მრავალსართულიანი შენობის მონიტორინგის შედეგებმა ქ. კიევში აჩვენა, რომ მთელი შემუშავებული აპარატურა მუშაობს დამაკმაყოფილებლად და საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ კონსტრუქციების რეალური მუშაობა. ამ სისტემის ნაკლია მორალურად მოძველებული მოწყობილობის გამოყენება.

უკანასკნელი დინამიკური მონიტორინგის შემუშავებულ სისტემებს შორის უნდა აღინიშნოს ნაშრომი [8]. მოცემული ნაშრომი მიძღვნილია ქ. მოსკოვში მდებარე გამარჯვების ძეგლის კონსტრუქციის კომპლექსური მონიტორინგის სისტემის შემუშავებას. ძეგლი წარმოადგენს 142 მეტრიან ობელისკს წაკვეთილი სამწახნაგიანი პირამიდის სახით. მას მიმაგრებული აქვს 110 მეტრ სიმაღლეზე სკულპტურული ჯგუფი „ღმერთქალი ნიკე ამურებთან ერთად“. ქარის საექსპლუატაციო დატვირთვის ზემოქმედების გამო ნაგებობა განიცდის რამდენიმე საკუთარი სიხშირის რეზონანსულ რხევებს, ამიტომ ობიექტი აღჭურვილია რამდენიმე საკუთარი სიხშირის დინამიკური რხევების ჩამქრობით. ამასთან დაკავშირებით ნორმალური ექსპლუატაცია მონუმენტისა საჭიროებს კონტროლის სისტემას (მონიტორინგს) ნაგებობის მდგომარეობაზე. ნაშრომ [8]-ის ავტორი მონიტორინგის სისტემაში იყენებს ფლუგერებს, აჩქარების გადამცემებს




ანემომეტრებს და გადაადგილების ოპტიკურ გადამცემებს. სპექტრის ჩაწერის მაგალითი ნაჩვენებია ნახ-ზე 4. აღწერილ სისტემას აქვს მეთოდური ნაკლი – დემოფირების პარამეტრები განისაზღვრებოდა ნახევარი ენერჯის მეთოდით, რომელიც მგრძობიარეა სმაურიანი მონაცემების, დამახასიათებელი ბუნებრივი ვიბრაციული ფონისთვის.



ნახ.4. რხევების სპექტრის მწვერვალი  $Y$  ღერძის მიმართ აქსელერომეტრით გაზომვის შედეგებით

დინამიკური მონიტორინგისთვის უნდა აღინიშნოს აგრეთვე მობილური უსადენო დიაგნოსტიკური კომპლექსი „სტრელა“ [9]. მოცემული კომპლექსი გამოიყენება მდგრადობის მონიტორინგისთვის და ნარჩენი რესურსისთვის მრავალსართულიანი შენობებისათვის და ნაგებობებისთვის კომპლექსი „სტრელა“ გამოიყენებს უსადენო კავშირს და გათვლილია გამოხმაურების რეგისტრაციაზე სიხშირის 0.1÷300 მჰც-მდე დიაპაზონში. პროგრამის მუშაობის ფრაგმენტი განსაზღვრული რხევების ფორმებით ნაჩვენებია ნახ.5-ზე. კომპლექსს აქვს მეთოდური ნაკლი - დინამიკური მახასიათებლები განისაზღვრება მხოლოდ სიხშირის არეში. დინამიკური მახასიათებლების განსაზღვრისათვის მიზანშეწონილია ასევე გამოვიყენოთ მეთოდი დროებით არეში.



ნახ. 5. საკვამური მილის რხევების ფორმის განსაზღვრა მობილური კომპლექსის „სტრელა“

საერთო ნაკლი ზემოხსენებული მონიტორინგის გადაწყვეტილებებში წარმოადგენს კომპლექსური მიდგომის არარსებობას მონიტორინგის სისტემის დაპროექტებაში.

კომპლექსურობა შეიძლება იქნეს მიღწეული რამდენიმე ტექნოლოგიის ერთდროულად გამოყენებით – ინფორმაციული მოდელირება, სასრულ ელემენტთა მეთოდით მოდელირება, თეორიული და ექსპერიმენტულ-დინამიკური ანალიზი.

-

«

»

კონტროლირებად პარამეტრებს შორის შეიძლება იყოს დატვირთვა, რომელსაც ვანიტუბთ კონსტრუქციას. ხშირად მონიტორინგი გამოიყენება მხოლოდ თვით კონსტრუქციის თვისებების კონტროლისთვის და ამიტომ მონიტორინგის პროცესს აიგივებენ კონსტრუქციის დაზიანებების აღმოჩენის პროცესთან, რომელშიც ჩართულია რამდენიმე დონე:

დონე 1. კონსტრუქციაში დაზიანების არსებობის გარკვევა;

დონე 2. დაზიანების ლოკალიზაცია;

დონე 3. დაზიანების საფრთხის შეფასება ;

დონე 4. კონსტრუქციის შემდგომი ექსპლუატაციის უსაფრთხოების პროგნოზი.

აქ დაზიანებაში იგულისხმება კონსტრუქციის მდგომარეობის შეცვლა გამოწვეული მასალის თვისებების ცვლილებით, რომელიც გამოწვეულია დადლილობითი დეფორმაციით ასევე მიკრო და მაკრო ბზარების ჩასახვისა და განვითარების გამო. მეცნიერების ჯგუფის მიერ ლაბორატორიიდან ოს ლამოს (პიტპა//მსტიტუტე.ლანლ.გოვ/ეი/, აშშ) მონიტორინგის ამოცანების ამოხსნა ყველა დონეზე შემოთავაზებულია განიხილოს სტატისტიკური სახეების ამოცნობის პარადიგმის კონტექსტში [10]. აღნიშნული პარადიგმა გულისხმობს, რომ მონიტორინგის პროცესი ითვლის რამდენიმე ნაწილს:

- მონიტორინგის სისტემის ამოცანების შეფასება;
- მონაცემების გაზომვის პროცესი;
- ნიშან-თვისებების გამოთვლა;
- სტატისტიკური მოდელების შემუშავება.

მონიტორინგის ამოცანების შეფასების დროს განისაზღვრება ნაკრები აზომვების პარამეტრები (სტატისტიკური, დინამიკური) გამომდინარე კონსტრუქციის ყველაზე სუსტ და პოტენციურად საშიშ ადგილებში.

მონაცემების აზომვების პროცესში ჩართულია გადამცემების შერჩევა მათი რაოდენობის განსაზღვრა და მათი ადგილსამყოფელის განსაზღვრა აგრეთვე შერჩევა მეორადი ნიშნის გარდამქმნელების.

ნიშნის ქვეშ იგულისხმება რეზულტატი პირდაპირი ან ირიბი აზომვა ობიექტის რომელიმე მახასიათებლისა. ნიშანს მკვეთრი ფიზიკური საფუძველი მაგალითად საკუთარი რხევების სიხშირე, რხევების ფორმები, დაჭიმვის ძალა. ასევე ნიშნები შეიძლება იყოს ევრიტიკული ანუ მათ შეიძლება არ ქონდეთ ფიზიკური საფუძველი, მაგრამ ამავდროულად იძლეოდეს მისაღებ რეზულტატს. ფაქტიურად ნიშნები წარმოადგენს მათემატიკური მოდელების პარამეტრებს რომლებიც აღწერენ ფიზიკურ პროცესებს.

სტატისტიკური მოდელები მუშავდება ნიშნების მნიშვნელობის განსაზღვრის მიზნით, რომლებიც მიეკუთვნება კონსტრუქციების სხვადასხვა მდგომარეობას.

ნიშნების გამოთვლების პროცესები და სტატისტიკური მოდელების შემუშავება დაფუძნებულია რამდენიმე აქსიომაზე [11]. მოცემული სამუშაოსთვის უფრო მნიშვნელოვანია ორი აქსიომა (მოყვანილია მონიტორინგის დონის მანიშნებლად):

- დაზიანების შეფასება ითხოვს შედარებული იქნეს ორი მდგომარეობა მონიტორინგის ობიექტის ბაზური (ნორმალური) და მიმდინარე (პოტენციურად საშიში);
- დაზიანების არსებობის განსაზღვრა (დონე 1) და ადგილმდებარეობა (დონე 2) დაზიანება შეიძლება შესრულდეს შედარებით ბაზური მდგომარეობის და მიმდინარე

-

«

»

მდგომარეობის დაზიანების საშიშროების შეფასება (დონე 3) და პროგნოზი (დონე 4) საერთო შემთხვევაში სრულდება პრეცედენტებით.

პარადიგმის გამოყენების მაგალითები სტატისტიკური სახეების გამოცნობაში მოყვანილია ნაშრომებში [12,13]. სტატისტიკური მიდგომა მონიტორინგის მონაცემების ანალიზისა დემონსტრირებულია ნაშრომში [14]. სტატისტიკური სახეები ავტორმა გამოიყენა მონაცემების დამუშავებისას ნატურული ობიექტებისა [15].

ნაგებობებისა და შენობების კონსტრუქციების ექსპლუატაციის პროცესში ისინი განიცდიან მუდმივ ვიბრაციულ დატვირთვას გამოწვეულს ქარის მიკროსეისმიკის, ტრანსპორტის და სხვა წყაროების ზემოქმედებით. კონსტრუქციების გამოსმაურება ვიბრაციულ დატვირთვაზე შეიძლება გაეზომოთ და გამოვიყენოთ კონსტრუქციის მდგომარეობის შეფასებისთვის, დინამიკურ მახასიათებლებზე დაყრდნობით, რომელიც ამოღებულია მოცემული გაზომვებისას [16].

ანსხვავებენ სამი ტიპის დინამიკურ გაზომვებს [17] რხევების გაზომვა, გამოწვეული ხელოვნური ზემოქმედებისაგან (დეტერმინირებული ზემოქმედება), თავისუფალი რხევებისა და ბუნებრივი ზემოქმედების ფონი (შემთხვევითი ან სქოასტიკური ზემოქმედება).

ხელოვნური გამლიზიანებით გამოწვეული რხევების გაზომვის ჩატარებისთვის გამოიყენება სპეციალური შეიკერები (იხ. ნახ. 7) რომლებსაც შეუძლიათ შექმნან კონსტრუქციის ვიბრირება (რხევა) წინასწარ მიცემული ალგორითმით – შემთხვევითი ზემოქმედება განსაზღვრული სტატიკური განაწილების კანონით, პერიოდული ან იმპულსური ზემოქმედება საზღვარგარეთის პრაქტიკაში მეთოდს უწოდებენ ძალურ ვიბრაციულ ტესტირებას (Forced vibration testing). ძირითადი უპირატესობა მოცემული მეთოდის მდგომარეობს ასახობი მონაცემების მაღალხარისხიანობაში. მაგრამ მეთოდს აქვს საგრძნობი ნაკლოვანებები საჭიროებს სპეციალიზირებულ ტექნიკას, რაც ზრდის ხარჯებს და ართულებს სამუშაოს. გაზომილი მონაცემების ინტერპრეტაციისთვის იყენებენ აგრეთვე კონსტრუქციისათვის განკუთვნილი ძალური ზემოქმედების გაზომვას. ძალური ვიბრაციული ტესტირებისას გამოიყენება შეიკერები აღჭურვილია მბრუნავი დისბალანსიანი ელექტროძრავით, ხშირად გამოიყენება ელექტროჰიდრავლიკური შეიკერი და მოდალური უროები.



(ა)



(ბ)

ნახ. 7. შეიკერის მონტაჟი ამწეს მეშვეობით (ა) და დამონტაჟებული შეიკერი ხიდის კონსტრუქციაზე (ბ)

გაზომვების ჩატარება კონსტრუქციების თავისუფალი რხევებისას მოითხოვს კონსტრუქციის თავდაპირველ მდგომარეობაში ყოფნას–აჩქარება, სიჩქარე და გადაადგილება [17]. ცხადია, რომ ეს მეოდი გამოიყენება პატარა ლაბორატორიული დანადგარებისათვის, ვიდრე სრულმასშტაბიანი სამშენებლო ობიექტებისთვის.

დღევანდელი დღისთვის პრაქტიკაში რეალური სამშენებლო კონსტრუქციებისთვის ხშირად გამოიყენება კონსტრუქციების წერტილების რხევების გაზომვა გარემოს ბუნებრივი შემთხვევითი ზემოქმედების შედეგად. მეთოდი ატარებს სახელს ვიბრაციული ტესტირება შემთხვევითი გარემოში ზემოქმედებისგან ან ოპერაციული ვიბრაციული ტესტირება. სამშენებლო კონსტრუქციაზე შეიძლება მოქმედებდეს შემდეგი ვიბრაციების მექანიკური წყაროები:


1. მიკროსეისმიკა;
2. სეისმური აქტივობა;
3. ვიბრაციული ზემოქმედება მანქანებისგან, მექანიზმებისაგან და ხალხისაგან;
4. ქარის პულსირებული ნაკადი;
5. ბგერის ტალღები და სხვა წყაროები.

მოცემული მეთოდის პოპულარობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ შენობების და ნაგებობების ექსპლუატაციის დროს ძალური ზემოქმედების გაზომვების საჭიროება არ არის. ვინაიდან დატვირთვა კონსტრუქციაზე უცნობია, ამიტომ კეთდება დაშვებები: დატვირთვის პროცესი შეიძლება განვიხილოთ, როგორც შემთხვევითი სტაციონალური პროცესი.

გაზომვებისთვის უფრო ხშირად გამოიყენება აქსელერომეტრები (ჩქარების გადამცემები), უფრო ნაკლებად სიჩქარის, გადაადგილების, დეფორმაციის და სხვა გადამცემები.


საჭიროა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში აგრეთვე გამოიყენება „ვიბრაციული ტესტირება შემთხვევითი გარე ზემოქმედებისგან“ ხელფონურად შექმნილი ძალურ ზემოქმედებასთან ერთად.

ექსპერიმენტული დინამიკური ანალიზის უფრო გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს მოდალური ანალიზი [18], რომლის შედეგად განისაზღვრება კონსტრუქციის საკუთარი რხევების სიხშირე, შესაბამისი რხევის ფორმა და დემპფირების კოეფიციენტები. მოდალურ ანალიზს ვიბრაციის ბუნებრივი წყაროების დროს ეწოდება ოპერაციული მოდალური ანალიზი (operational modal analysis - ომა). ნახ. 9-ზე ნაჩვენებია ეკლესიის შენობის მოდალური ანალიზის შედეგები [19]. ნახსენებ ნაშრომში გამოყენებულია მონიტორინგის უსადენო სისტემა, რომელსაც გააჩნია გაზომვის ჩატარების მაღალი სისწრაფე სადენიან სისტემასთან შედარებით.




ნახ. 9. ეკლესიის შენობის ექსპერიმენტალური და რიცხვითი მოდალური ანალიზის შედეგები

მოდალური ანალიზის შედეგები შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული სხვადასხვაგვარად იმის მიხედვით, თუ რა ამოცანაა გადასაწყვეტი დაზიანების დონის დადგენისათვის. დინამიკური მახასიათებლები, რომლებიც მიიღება ექსპერიმენტული მოდალური ანალიზის მეშვეობით, დამოკიდებულია კონსტრუქციის დაზიანების ხარისხზე. [20]-ე ნაშრომში მოყვანილია ექსპერიმენტული მოდალური ანალიზის შედეგები ლაბორატორიული რკინაბეტონის ძელისა, რომლის დატვირთვის სქემა ნაჩვენებია ნახ. 10-ზე. ძელი იტვირთება 4 საფეხურად, თითოეული მათგანი იწვევდა ძელის დაზიანებას (ნახ.10-ზე ნაჩვენებია ნორმალური და დახრილი ბზარები) დაზიანების თითოეული ეტაპისთვის განისაზღვრებოდა ძელის დინამიკური მახასიათებლები.




ნახ. 10. რკინა-ბეტონის ძელის დატვირთვის სქემა დაზიანების ვიზუალიზაციით

ნახ.11-ზე ნაჩვენებია შედეგები ძელის საკუთარი რხევების სიხშირის განსაზღვრის მე-2, მე-3 და მე-4 რხევის ფორმისთვის, ნორმალიზებული ერთეულის მიმართ ვექტორის სიხშირის გაყოფის გზით, დაუზიანებელი ძელის სიხშირეზე. ნახ. 12-ზე ნაჩვენებია დემპფირების კოეფიციენტის განსაზღვრის შესაბამისი ანალოგიური შედეგები.



ნახ. 11. საკუთარი რხევების ნორმალიზებული სიხშირეების ცვლილება დაზიანების ეტაპისა და მიხედვით



ნახ. 12. დემპფირების ნორმალიზებული კოეფიციენტების ცვლილება დაზიანების ეტაპისა და მიხედვით

ნახ. 11-ზე და 12-ზე ჩანს, რომ ძელის დაუზიანებელ მდგომარეობას ახასიათებს საკუთარი რხევის ყველაზე დიდი სიხშირე და ყველაზე მცირე დემპფირების კოეფიციენტი, რაც მეტყველებს ძელის კვეთის მაქსიმალურ სიხისტეზე და რხევის ენერჯის მინიმალურ დისიპაციაზე შესაბამისად. დაზიანების რაოდენობის და ინტენსივობის გაზრდით ხდება ძელის კვეთის სიხისტის შემცირება, რაც იწვევს საკუთარი რხევის სიხშირის სიდიდეების შემცირებას. დაზიანების რიცხვის ზრდით იზრდება რხევის ენერჯის გაბნევა, რაც არის დემპფირების კოეფიციენტის გაზრდის მიზეზი. ამრიგად მოცემულმა ექსპერიმენტმა გვიჩვენა დაზიანების გავლენა რკინაბეტონის ძელში მის დინამიკურ მახასიათებლებზე.

დაზიანების არსებობის გამოვლენისთვის (დონე 1 დაზიანების გამოვლენა) შეიძლება გამოყენებული იყოს საკუთარი რხევის სიხშირე და შესაბამისი დემპფირების კოეფიციენტები. ეს ფაქტი ჩაღებულია 53778-2010 [1] გამოკვლევის ჩატარების საჭიროების დასადგენად წინასწარ ტარდება დინამიკური გაზომვები და თუ მიღებული დინამიკური გაზომვები განხვავდება საწყისი მონაცემებისაგან 10%-ზე მეტით, მაშინ

კონსტრუქცია ექვემდებარება აუცილებელ დაუგეგმავ გამოკვლევას. საჭიროა აღინიშნოს, რომ ატომური ენერჯის მომხმარებელი ობიექტებისათვის შემოღებულია და მოქმედებს უსაფრთხოების სახელმძღვანელო -045-08 „დინამიკური მონიტორინგი ატომურ ობიექტებზე სამშენებლო კონსტრუქციების“ [3]. სახელმძღვანელო შეიცავს რეკომენდაციებს დინამიკური მონიტორინგის ჩატარების შესახებ სამშენებლო კონსტრუქციებისათვის, რომლებიც მნიშვნელოვანია ობიექტების უსაფრთხოებისთვის. მოცემული სახელმძღვანელოს თანახმად განსახილველ დინამიკურ მახასიათებლებს განეკუთვნება საკუთარი სიხშირეები, საკუთარი რხევების ფორმები, მიღების პარამეტრები.

ექსპერიმენტული მოდელური ანალიზის ჩატარების დროს მნიშვნელოვანია სწორად განვითავსოთ სენსორი კონსტრუქციაზე. გამოსმაურება წერტილებზე უნდა იყოს უფრო ინფორმაციული დინამიკური მახასიათებლების განსაზღვრისათვის. ნაშრომ [21]-ში განხილულია ექსპერიმენტის მეთოდის დაპროექტება ტესტური რკინაბეტონის ძეგლის მოდელური ანალიზისთვის. გაანალიზებულია, რომ მსგავსი შედეგები შეიძლება მიღებული იქნას სენსორების განლაგების ტოპოლოგიის სხვადასხვა კონფიგურაციისას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ დაზიანების გამოსავლენად ყოველად მიღებული ფიზიკურად დასაბუთებული დინამიკური მახასიათებლებისა, აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნას ევრისტიკული მახასიათებლები. ნაშრომ [13]-ში დაზიანების გამოვლენისთვის შენობის კარკასის მოდელზე გამოყენებულია ხელოვნური ნეირონული გამოთვლელი ენერგეტიკული მახასიათებლები კონსტრუქციის წერტილების გამოძახილი.

### 3. დასკვნა

არსებული მონიტორინგის სისტემების ჩატარებულმა ანალიზმა საშუალება მოგვცა ჩამოვყალიბოთ სამუშაო ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც მონიტორინგის კომპლექსური ტექნოლოგიის შემუშავებისას სამი ტექნოლოგია გამოყენება: ინფორმაციული მოდელირების, სასრულ ელემენტთა მოდელირების და თეორიული და ექსპერიმენტული ანალიზის.

### ლიტერატურა

1. 13-102-2003 “...”, 2003 – 26 ;
2. 53778-2010, ... , 2010 – 90 ;
3. 22.1.12-2005, ... , 2005 – 26 ტ;
4. Wenzel N, Ambient vibration monitoring – Chichester, England: John Wiley & Sons LTD, 2005 – 291 p;
5. ა. წაქაძე „ექსპლუატაციაში მყოფი შენობა-ნაგებობების ზღვრული მდგომარეობის და ნარჩენი რესურსის კვლევა დაზიანებების გათვალისწინებით“ სადოქტორო დისერტაცია, თბილისი 2011 – 153 გვ;
6. ... [ ... ]: ... .
7. ... : 05.23.01 / ... . - .., 2008. - 225 ; // i ... , 2009 – . 14–18;

- 
8. ... “ ...  
 ” ... 2009 – 198 ;
9. ...  
 ... « ... » [ ... ] /  
 //  
 » UST-Build 2005. 12-13 2005. - 4 .;
10. Farrar, R. Vibration-based structural damage identification [Text] / R. Farrar, S. W. Doebling, D. A. Nix // The Royal Society, 2001, No. 359. - pp. 131-149.;
11. Worden, K. The fundamental axioms of structural health monitoring [Text] / K. Worden, R. Farrar, G. Manson, G. Park // The Royal Society, 2007, No 463.-pp. 1639-1664.;
12. Figueiredo, E. Structural Health Monitoring Algorithm Comparisons Using Standard Data Sets [Text] / E. Figueiredo, G. Park, J. Figueiras, Farrar, K. Worden. - USA: Los Alamos National Laboratory, 2009. - 115 p.;
13. Reda Taha, M. M. Research Article. A Neural-Wavelet Technique for Damage Identification in the ASCE Benchmark Structure Using Phase II Experimental Data [Text] / M. M. Reda Taha// Advances in Civil Engineering, 2010. - Vol. 10., Article ID 675927 - 13 p.;
14. Casciati, S. Statistical approach to a SHM benchmark problem [Text] / S. Casciati // Smart Structures and Systems, 2010. - Vol. 6, No. 1. -pp. 17-27.;
15. ... [ ... ] / ... , ... //
- ... - 2010. – . 34-37.;
16. Wenzel, H. Ambient vibration monitoring [Text] / H. Wenzel, D. Pichler. -Chichester, England: John Wiley & Sons Ltd, 2005. - 291 p.;
17. Demirok, E. A Thesis Submitted to the Graduate School of Natural and Applied Sciences of Middle East Technical University / [Text]: The Degree of Master of Science in Civil Engineering / E. Demirok. - Turkish: Middle East Technical University, 2006. - 168 p.;
18. He, J. Modal Analysis [Text] / J. He, Z-F. Fu. - UK: J. He and Z.F. Fu, 2001.-305 p.;
19. Velez, R. A. Dynamic Structural Identification using Wireless Sensor Networks [Text] / R. A. Velez. - Portugal: University of Minho, August 2010. 215 p.;
20. Peeters, B. System Identification and Damage Detection in Civil Engineering [Text] / B. Peeters. - Belgium: Katholieke Universiteit Leuven, December 2000. - 256 p.;
21. Noh, H. M. The Sensor Location and Positioning for Experimental Modal Testing of T-Beam / [Text]: H. B. M. Noh. - Malaysia: Universiti Teknologi Malaysia, 2008 - 92 p.



**On Definition of Modulus of Deformation of ground by Laboratory Method**  
**O. Giorgishvili. A. Qatamidze. N. Kvirikadze, G. Tabagari**

(Georgian Technical University, M. Kostava 68, 0175 Tbilisi, Georgia)

**Abstract:** *The work is mainly concerned with the determination of modulus of deformation by laboratory method. It is known that a modulus of deformation is defining by laboratory and field methods. By laboratory method the modulus of deformation is defined in the compressive devices. Our goal is to conduct experiments by both methods and finally make to interpret the obtained results.*

*In this article is considered the definition by new offered laboratory method of deformation modulus that is closer to the real deformation modulus. This method twice higher than the results obtained by the conventional method.*

*Finally the obtained results gives the possibility to us to raise the issue of change the state norms for determining ground by laboratory method.*

**Keywords:** *Build, Deformation modulus, Ground, laboratory research.*

### I. INTRODUCTION

The main essence of the work lies in the fact that we wish to say new words in the construction practice on the determination of the ground modulus of deformation. As it is known there are two main methods of determining the ground modulus of deformation: definition of ground compressibility without the lateral widening (compression) the definition of and field method. The determined by second method modulus of deformation is the closest to natural modulus of deformation, but is not used the in construction practice because the conducting of this test is related with large financial expenses. For this, we have developed a new method that is closer to the field method.

#### Procedure for Paper Submission

Initially was selected site (Georgia. Tbilisi, Didi Digomi territory), from that we make test samples. The test samples were delivered to the Educational, Scientific and Expertise and Laboratories of Georgian Technical University.

On the first stage we determine the existing ground (clay) physical-mechanical properties. After this we carry out test by laboratory procedure, to determine the ground compressibility (compression) without the lateral widening. The testing sample has thickness - 20 mm, and diameter - 71.4 mm. On the other hand at sample preparation never was maintained the ground natural structure. In addition, the negative side of the test method represents in the shortage of time that usually will not exceed few hours, while the duration of clayey soil deformation is large in real-time conditions.




Figure 1. The compression device and its scheme

The ground general modulus of deformation is calculated by the following formula

$$E = \beta \frac{1 + e_{in}}{\alpha} \text{ kg/cm}^2, \quad (1)$$

where  $\beta = 0,8$  – is the correcting coefficient,  $\alpha$  – is the ground coefficient of compressibility,  $e$  – is the porosity factor.


$$\alpha = \frac{e_1 - e_3}{\sigma_3 - \sigma_1} \cdot \text{cm}^2/\text{kg} \quad (2)$$

The samples were tested on increasing loads and due with the increase of consolidation the deformations gradually decreases, in order of their measurement accuracy the load were increased as follows: 1,0; 2,0; 3,0; 4,0 kg/cm<sup>2</sup>. The obtained results are presented in the form of tables and diagram.

Table 1.

Vertical load	P	kg/cm <sup>2</sup>	0	1.0	2.0	3.0	4.0
Porosity factor	e	-	0.98	0.95	0.93	0.91	0.90
Coefficient of compressibility	$\alpha$	cm <sup>2</sup> /kg	0	0,03	0,02	0,02	0,01
Modulus of deformation	New meth. E	kg/cm <sup>2</sup>	0	52	76	78	150

Diagram 1



On the second stage we determine the modulus of deformation of same ground sample (clayey) by new proposed method, the test process was similar as at compression, with only one difference, we have the lateral widening.





Figure 2. The new proposed method with lateral widening

Table 2.

Vertical load	P	kg/cm <sup>2</sup>	0	1.0	2.0	3.0	4.0
Porosity factor	e	-	0.74	0.71	0.69	0.67	0.66
Coefficient of compressibility	α	cm/kg <sup>2</sup>	0	0,03	0,02	0,02	0,01
Modulus of deformation	Comp E	kg/cm <sup>2</sup>	0	46	67	68	133

Diagram 2.



On the third stage we conducted the tests in field conditions. On the site from which we made samples used in the previous two tests. In the laboratory tests, as well as in field tests the loads were applied gradually by metal standard sizes circular stamp. The load was applied by hydraulic jacks. The test was continued until up to surface cracks initiation.

$$E = (1 - \mu^2) \frac{P}{Sd} \quad (3)$$

where  $\mu$  – is the Poisson's ratio; P – is the loading on stamp, kg; S – is the final settling; d – is the diameter of stamp.




Figure 3. Hydraulic jack

Table 3.

Vertical load	P	kg /cm <sup>2</sup>	0.5	1000	2000	3000	4000	
Final settling	S	სმ	0	0,1	0,17	0,26	0,43	
Modulus of deformation	field	E	kg /cm <sup>2</sup>	0	71,25	62,87	54,81	41,42

Diagram 3.



### Conclusion

As the results show, the results of field test and proposed by us a new method (with lateral widening) are closer to each other than to the obtained by compression (without lateral widening) results. Our goal is to say new words on determination of modulus of deformation in construction codes and we introduce the issue to make change or make addition in acting in Georgia standards accordingly of the offered new method.

### REFERENCES

1. V. Lomtadze, Geology of Engineering, Tbilisi 1985
2. D. Kereselidze, Soil Mechanics and Foundation, Tbilisi 1977
3. 54477-2011
4. 5180-84
5. 1.02.07-87
6. II- .1-62.

მშენებლობის მენეჯმენტის ზოგიერთი ძირითადი უმაღლესი  
ნაწილი

ა. გოგბერაშვილი, ლ.ჯოგლიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ.კოსტავას ქ. №68,0175  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** მშენებლობის მენეჯმენტი შედგება ოთხ ძირითად კომპონენტისგან: 1) უშუალოდ მშენებლობის მენეჯმენტი; 2) პროექტის მენეჯმენტი; 3) კადრების მართვის მენეჯმენტი; 4) ფინანსური მენეჯმენტი. მშენებლობის დაწყების აუცილებელი პირობაა კონტრაქტი დამკვეთსა და შემსრულებელს შორის. კონტრაქტს დანართის სახით თან ერთვის ე.წ. ზოგადი პირობები. სამშენებლო წარმოების მენეჯმენტს საფუძვლად უდევს ე.წ. ხაზობრივი და ფუნქციური პრინციპები. ძირითადია ხაზობრივი პრინციპი. მენეჯმენტის ობიექტები დინამიკური სისტემებია, რომლებიც მუდმივ ცვლილებაშია და ითხოვს კორექტირებას.

**საკვანძო სიტყვები:** ფინანსური მენეჯმენტი, მენეჯმენტის ობიექტები დინამიკური სისტემები, სამშენებლო ფინანსური გეგმები, კონსტრუქციები, ხაზობრივი მენეჯმენტი.

## 1. შესავალი

არსებობს მენეჯმენტური მუშაობის სამი ტიპი: სამუშაო, რომლის შემადგენლობაშიც ჭარბობს შესრულება - დაბალი დონის მენეჯმენტი; სამუშაოები, რომლებიც შედგება მართვის და შესრულების ელემენტებისაგან, ძირითადად მცირე კოლექტივების ხელმძღვანელობის დროს - საშუალო დონის მენეჯმენტი; სამუშაო, რომელიც წარმოადგენს მართვის ყველაზე მაღალ საფეხურს - მაღალი დონის მენეჯმენტი. სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების (ფირმები, კომპანიები) მუშაობის კოორდინაციის მნიშვნელოვანი ეტაპია სამშენებლო ფინანსური გეგმების და დოკუმენტაციის ოპერატიული დაგეგმვა და წარმოების მიმდინარეობის კონტროლი. მნიშვნელოვანია აგრეთვე მშენებლობის მართვის დისპეტჩერული სისტემის დაგეგმვა. მშენებლობის მენეჯმენტი ოთხ ძირითად კომპონენტად წარმოვიდგინოთ: უშუალოდ მშენებლობის მენეჯმენტი - სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების სწორად შერჩევა და მოცემული პროექტისათვის საუკეთესო სამშენებლო ტექნოლოგიის შერჩევა; პროექტის მენეჯმენტი - მშენებლობის პროცესში მასალების გამოყენების სწორი დაგეგმვა, კოორდინაცია და კონტროლი. კადრების მართვის მენეჯმენტი - მშენებლობაზე დასაქმებული სპეციალისტების პროდუქტიულობის და შეთანხმებული მუშაობის მართვა. ფინანსური მენეჯმენტი - მშენებლობა არის ბიზნესი, ამიტომ ფასებზე გადინებულ თანხებზე და პროექტის ფინანსირებაზე კონტროლი მშენებლობის მენეჯმენტის ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ოთხივე ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტი პროექტის მენეჯერის კომპეტენციაში და მისი ვალდებულებების სფეროში შედის. მშენებლობა, როგორც ყოველი ბიზნესი, კონტრაქტით იწყება.

## 2. ძირითადი ნაწილი

მშენებლობის მენეჯმენტის როლი უმნიშვნელოვანესია დაპროექტების სტადიიდანვე. კონსულტაციების ჩატარება პროექტის შექმნის პერიოდში; განრიგის შედგენა; მშენებლობის ბიუჯეტის მომზადება; საკონტრაქტო დოკუმენტაციის

-

«

»

მომზადების კოორდინირება; ბრძანებების პაკეტების სუბკონტრაქტორების შერჩევა; მშენებლობის პერიოდში პროექტებზე ზედამხედველობის უზრუნველყოფა; განრიგისა და ფასების კონტროლის უზრუნველყოფა; სამშენებლო ორგანიზაციის საორგანიზაციო სტრუქტურის საფუძველში დევს ხაზობრივი მენეჯმენტი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთელი მართვის მექანიზმის ფუნქციონირების ეფექტურობაზე. ხაზობრივი მენეჯმენტის რაციონალური ორგანიზაცია ვალდებულია: – აგებული იყოს მართვის იერარქიული საფეხურები მათი მინიმალური რაოდენობიდან გამომდინარე; – გაითვალისწინოს ხაზობრივი მენეჯმენტის ეფექტური ფუნქციონირება, ანუ ხაზობრივი სისტემის რომელიმე რგოლის მიერ გაცემული ბრძანებები უნდა გადიოდეს ყველა რგოლზე, რომლებიც იმყოფებიან მისსა და იმ რგოლს შორის, რომლისთვისაც ეს ბრძანებაა გათვალისწინებული; სამშენებლო მენეჯმენტის აგების მეორე ძირითადი პრინციპია - ფუნქციური პრინციპი, რომელიც გულისხმობს ხაზობრივი სისტემის მენეჯერებს შორის ფუნქციების განაწილებას. ფუნქციური რგოლების აგების საფუძველად აღებული უნდა იქნეს აგრეთვე ორგანიზების ხაზობრივი პრინციპი. თუ ხაზობრივი მენეჯმენტი გულისხმობს წარმოებაში იერარქიულად აწყობილი მენეჯერული რგოლების არსებობას, ფუნქციური მენეჯმენტი, რომელიც ხაზობრივს ავსებს, მენეჯმენტის გარკვეული ფუნქციების შესრულებით ახორციელებს მეთოდურ ხელმძღვანელობას. წარმოების მენეჯმენტის ორგანიზაციული სისტემა მენეჯმენტის ობიექტები დინამიკური სისტემებია, რომლებიც მუდმივ ცვლილებაშია და ითხოვს კორექტირებას. მენეჯმენტის სფეროში სისტემის ცნება აღნიშნავს იმ ელემენტების მოწესრიგებულ ერთიანობას, რომლებიც მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ამიტომაც მოქმედებენ და იცვლებიან როგორც ერთი მთლიანი ცოცხალი სხეული. მენეჯმენტის ორგანიზაციული სისტემის მოვალეობებია: - წარმოების ხელმძღვანელობის ოპერატიულობის, საიმედოობის (სტაბილურობის) და მთლიანობის, აგრეთვე მენეჯერული კონტროლის უზრუნველყოფა; - წარმოების მაღალი ტექნიკური მომსახურების პირობების შექმნა; - საწარმოების მომსახურე დამხმარე საამქროების და მეურნეობის აწყობილად მუშაობის უზრუნველყოფა; - მართვის ორგანოების სწორი ურთიერთდამოკიდებულებების დადგენა; - სამშენებლო საწარმოს მაღალი ეკონომიკური მუშაობის უზრუნველყოფა; - მენეჯმენტის ორგანიზაციული სისტემის განუყოფელი ნაწილია მისი ცალკეული ერთეულების მართვა. საწარმოს მენეჯმენტის ორგანიზაციის მოვალეობაა არა მარტო მენეჯმენტის სტრუქტურის დამუშავება, რომელიც მისი ძირითადი ელემენტია, არამედ მენეჯმენტის ორგანოებს შორის ურთიერთკავშირის დამყარებაც (ინფორმაციის მოძრაობა). ეს ფუნქცია შესაძლებლობას იძლევა ცალკეულ ორგანიებს შორის აღმოიფხვრას მუშაობაში პარალელიზმი და დუბლირება. მეცნიერულად დასაბუთებული დოკუმენტაციების სისტემის შერჩევა და დამუშავება, რომელიც აუცილებელია წარმოების მოძრაობის კოორდინაციისათვის, არის მნიშვნელოვანი წინაპირობა ამ დოკუმენტების დამზადების და გაფორმების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. ეს უზრუნველყოფს თანამედროვე საორგანიზაციო ტექნიკის გამოყენების საფუძველზე მენეჯმენტის რაციონალიზაციას.

გადაწყვეტილება-მენეჯერული მუშაობის შედეგი სამშენებლო წარმოების მენეჯმენტის სისტემაში მიზანმიმართული მოქმედებების გარკვეულ სისტემას შეიძლება ვუწოდოთ ტექნოლოგიური მენეჯმენტი. ტექნოლოგიური მენეჯმენტი შეიცავს შემდეგ რგოლებს: პირველი რგოლი - მენეჯმენტის მიზნის დადგენა და ინფორმაციის შეკრება მართვის საგნის საფუძველიანი გაცნობის მიზნით; მეორე

-

«

»

რგოლი - გადაწყვეტილების მიღება; მესამე რგოლი - მიღებული გადაწყვეტილების აღრიცხვიანობა და კონტროლი; - მენეჯმენტის პროცესი მეცნიერულ საფუძველზე და ობიექტურად ჩატარდება მაშინ, როდესაც თანხმობაშია ყველა რგოლი მენეჯმენტის სრული ტექნოლოგიური პროცესის შესრულების დროს. ინფორმაციის შეგროვება. საჭირო ოპერატიული და უტყუარი ინფორმაციის არსებობა არის მენეჯმენტის საფუძველი და მის სისწორეზეა დამოკიდებული წარმოების მენეჯმენტის ხარისხი. სხვადასხვა დონის მენეჯმენტის ფუნქციები ოპერატიული დაგეგმვა და სამშენებლო წარმოების მიმდინარეობის კონტროლი სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების (ფირმები, კომპანიები) მუშაობის კოორდინაციის მნიშვნელოვანი ეტაპია სამშენებლო ფინანსური გეგმების და დოკუმენტაციის ოპერატიული დაგეგმვა. სამშენებლო ფინანსურ გეგმებში განისაზღვრება კონტრაქტის პირობების შესრულების გზები, დგინდება ორგანიზაციების წლიური გეგმა ყოველთვიური ან კვარტალური დაყოფებით, აგრეთვე მისი შესრულებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და თანამშრომელთა რაოდენობა. მშენებლობაში ოპერატიული დაგეგმვის მთავარი ამოცანაა კონტრაქტით გათვალისწინებული ობიექტების აგების ვადების უზრუნველყოფა. დოკუმენტაციაში გათვალისწინებული უნდა იყოს საწარმოო რესურსების თავმოყრა, მშენებლობის დროული და კომპლექტური მომარაგება სამშენებლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. ოპერატიული დაგეგმვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომპლექსურ ქსელურ გრაფიკებს, რომლებიც იძლევა წინამდებარე პერიოდის კონტრაქტით გათვალისწინებული გეგმის კორექტირების შესაძლებლობას, რათა მოიყვანოს ის რეალურ პირობებთან და შესაძლებლობებთან თანხმობაში. სამშენებლო წარმოების ოპერატიული დაგეგმვისა და ხელმძღვანელობისათვის შეიძლება მიღებული იქნან უფრო მარტივი და მოსახერხებელი გრაფიკები (ხაზობრივი, ციკლოგრამები და ა.შ.), რომლებიც ობიექტის ქსელური გრაფიკის საფუძველზე მუშავდებიან. ოპერატიული გეგმების დოკუმენტაციის დამუშავების დასახქარებლად და მისი შრომატევადობის შესამცირებლად მიზანშეწონილია ქსელური გრაფიკის სამუშაოების ნომენკლატურის და ოპერატიული გეგმის დოკუმენტაციის უნიფიცირება. მშენებლობის მართვის დისპეტჩერული სისტემა მშენებლობის მართვის ერთ-ერთი ყველაზე ოპერატიული მეთოდია მშენებლობის მართვის დისპეტჩერული მეთოდი. მართვის დისპეტჩერული სისტემა არის ოპერატიული მართვის ისეთი სისტემა, რომლის დროსაც ყველა სამუშაო სრულდება წინასწარ დასახული (კონტრაქტში გათვალისწინებული) გეგმების მიხედვით. წარმოების პროცესის რეგულირებას და კონტროლს, აგრეთვე სამშენებლო მანქანების და მასალების გადაადგილებებს, ახორციელებენ სპეციალური დისპეტჩერები. დისპეტჩერიზაციის დანერგვა სამშენებლო ქვეგანყოფილებებში იწყება დისპეტჩერული სამსახურის ორგანიზებით. დისპეტჩერული სამსახური მოიცავს სამშენებლო წარმოების და მისი მომსახურების ყველა ელემენტს. მშენებლობაში დისპეტჩერიზაციის გამოყენების ძირითადი პირობებია: - წარმოების კვირეულ-დღე-ღამური ოპერატიული დაგეგმვის და აღრიცხვიანობის შემოღება, მშენებლობის ოპერატიული გეგმების შესრულებაზე მუდმივი კონტროლისა და რეგულირების ორგანიზება, მშენებლობის უზრუნველყოფა სამუშაო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით; დისპეტჩერული პერსონალი პასუხს აგებს სამუშაოთა ოპტიმალური გეგმის და მონაცემების შესრულების შესახებ მონაცემების სიზუსტეზე, რომლებსაც ისინი მოხსენებითი მართების სახით აბარებენ მშენებლობის ხელმძღვანელობას. მშენებლობის მენეჯერის ოპერატიული განკარგულებები მშენებლობის უშუალო შემსრულებლებს უმრავლეს შემთხვევაში გადაეცემათ სადისპეტჩერო სამსახურების საშუალებით. დისპეტჩერის

-

«

»

განკარგულებების შესრულება სავალდებულოა შემსრულებელი მენეჯერებისათვის. ოპერატიული გეგმის ფარგლებში სადისპეტჩერო პერსონალი მოქმედებს შემდეგნაირად. ასრულებს სამუშაოთა შესრულების სისტემატურ აღრიცხვიანობას, კონტროლს და რეგულირებას; მონაწილეობას ღებულობს სამუშაოთა გრაფიკების შედგენასა და განხილვაში, აკონტროლებს ობიექტებს მუშახელით, ტრანსპორტით, მექანიზმებით და მატერიალურტექნიკური რესურსებით დროულ და კომპლექსურ მომარაგებას; სამუშაოთა შემსრულებლებისაგან მიმდინარე ინფორმაციას სამუშაოთა წარმოების შესახებ, ტექნიკურად აანალიზებს და განაზოგადებს მას. მშენებლობის მიმდინარეობის ოპერატიული აღრიცხვისა და კონტროლის მიზნისათვის დისპეტჩერული პერსონალი აწარმოებს დისპეტჩერის ჟურნალს. სამშენებლო წარმოების ოპერატიული გაძღოლის მიზნით სადისპეტჩერო პერსონალი იყენებს: - სამუშაოთა წარმოების კრებისით და ლოკალურ კომპლექსურ ქსელურ გრაფიკებს; - დისპეტჩერული თათბირების პროტოკოლებს; - ყოველკვირეულ და დღე-ღამურ გრაფიკებს, რომლებიც სამშენებლო უბნებისთვის იქმნება; - სამშენებლო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგების გრაფიკებს. მშენებლობაში სადისპეტჩერო სამსახური თავიდან იცდენს და აღმოფხვრის მოცდენებს და კავშირების გადაწყვეტას. ოპტიმალური კონტროლი, რომელსაც მშენებლობის დისპეტჩერები ახორციელებენ არის: - აღმოჩენილი იქნას კონტრაქტით შესასრულებელი სამუშაოების მიმდინარეობისაგან და ვადებისაგან გადახვევები; - მიღებული იქნას მათი ლიკვიდაციისათვის აუცილებელი ღონისძიებები.

### 3.ღასკვნა

კონტროლის აუცილებლობა ნებისმიერ ორგანიზაციაში მენეჯმენტის საქმიანობისშემადგენელი ნაწილია და მისი საჭიროება და მნიშვნელობა ეჭვს აღარ იწვევს. საკამათოა მხოლოდ კონტროლის არსის და მისი ჩტარების პროცესის დაგეგმვა. კონტროლის განხორციელება ორგანიზაციაში ყოველთვის მენეჯერის მავარი თავსატეხია. ხშირად კონტროლი იძულებასთან ასოცირდება, რაც სწორი არ არის. ისარც მუშაკა შმოქმედებით თვისუფლებას ზღუდავს. კონტროლი ობიექტური აუცილებლობაა. მისი მეშვეობი ეშძლია მენეჯერს აკონტროლოს ორგანიზაციის საქმიანობის დადგენილ ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობა და სამუშაოს დამთავრებისთანავე მიიღოს ინფორმაცია საქმიანობის შედეგების გამომწვევი მიზეზების შესახებ. ამრიგად, კონტროლს მართვის პროცესის განხორციელებაშისაკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

### ლიტერატურა:

1. ა. ჭანტურია- “მშენებლობის ორგანიზაცია დაგეგმვა და მართვა” გვ. 105-132.
2. სნ და წ 1.03.03-85 “სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია” რუსულ ენაზე
3. ბაბუნაშვილი გ. მღებრიშვილი ბ. შუბლაძე. მენეჯმენტი, სუ-ის გამომცემლობა, თბ. 1998. გვ. 98-108
4. ДрукерП. Энциклопедия менеджмента, Питер, 2004. ст 70-103



ხარისხის ინფრასტრუქტურა და სამშენებლო ბიზნესი

ბ. მამარდაშვილი, მ. ჭანტურია

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 68, 0175 თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი საერთაშორისო აღიარება წარმოადგენს ნებისმიერი სამრეწველო პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე თავისუფალი მიმოქცევის გარანტს. უსაფრთხოების გამკაცრებულმა პირობებმა დღის წესრიგში დააყენა ხარისხის ინფრასტრუქტურის არა მარტო განვითარება, არამედ მისი ყველა ელემენტის – სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის, გამოცდების და ხარისხის სისტემის გამოყენებისას, ექვივალენტური წესების შემოღება.

**საკვანძოსიტყვები:** ხარისხის ინფრასტრუქტურა, გლობალიზაცია, დეველოპერული კომპანია, სტანდარტიზაცია, დაკალიბრება, მენეჯმენტი.

1. შესავალი

გლობალიზაციის პროცესმა, ბაზრების დივერსიფიკაციამ, უსაფრთხოების გამკაცრებულმა პირობებმა დღის წესრიგში დააყენა ხარისხის ინფრასტრუქტურის არა მარტო განვითარება, არამედ მისი ყველა ელემენტის, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის აკრედიტაციის, გამოცდების და ხარისხის სისტემის გამოყენებისას, ექვივალენტური წესების შემოღება.

საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი ხარისხის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნის ძირითადი წინაპირობაა. სახელმწიფო, ბიზნესების ხელშეწყობის მიზნით, ხელს უწყობს სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, გამოცდების და ხარისხის შეფასების ნებაყოფლობითი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელსაც ის იყენებს მისი ძირითადი ფუნქციის განსახორციელებლად, რაც გულისხმობს ტექნიკური რეგულაციების საფუძველზე, უზრუნველყოს ჯანმრთელობის, სიცოცხლის, გარემოს და საკუთრების დაცვა.

2. ძირითადი ნაწილი

ევროკავშირისკენ სვლამ დღის წესრიგში დააყენა მარეგულირებელი სისტემის ჰარმონიზაციის საკითხი, რაც გულისხმობს ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების და შესაბამისი წესებით მოქმედი ხარისხის ინფრასტრუქტურის შექმნას, რომლის ურთიერთაღიარება იქნება ტექნიკური ბარიერების გარეშე თავისუფალი ვაჭრობის საფუძველი.


საქართველოში სამშენებლო ბიზნესი 2008 წლის კრიზისის შემდეგ აქტიურად იწყებს განვითარებას. ეს არის სფერო, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც კერძო სექტორისთვის (ბანკები-იპოთეკური სესხები, რომელიც ბანკის გრძელვადიან პერსპექტივებს განსაზღვრავს), ასევე სახელმწიფოსთვის (საქართველოში მომუშავე დიდი დეველოპერული კომპანიები, ხელს უწყობენ ქვეყანაში FDI-ს (Foreign Direct Investment) შემოდინებას, რაც დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ქვეყნისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ქვეყნისთვის უძრავი ქონების ბაზარი მიმზიდველი საინვესტიციო ინსტრუმენტია. როგორც ევროპის ქალაქების უძრავი ქონების ბაზრის ანალიზისას გაირკვა, თბილისი გამოირჩევა საცხოვრებელ ფართებზე ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ფასით და მაღალი შემოსავლიანობით, ეს ქმნის საკმაოდ მიმზიდველ გარემოს უძრავ ქონებაში ინვესტირებისათვის. ამიტომ გრძელვადიან პერიოდში თბილისში საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარზე მოთხოვნა გაიზრდება.

უძრავ ქონებაზე მოთხოვნის ზრდას განაპირობებს ასევე ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობის საკმაოდ მაღალი და ერთ სულ მოსახლეზე საცხოვრებელი ფართის დაბალი მაჩვენებელი (გრაფიკი 1,2).



გრაფიკი1. (ოჯახისწევრთა საშუალო რაოდენობა)



გრაფიკი2. (საცხოვრებელი ფართი ერთ სულ მოსახლეზე)

მოცემული თემის შერჩევა მოხდა, არსებული რეალობიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობა საქართველოში ვითარდება, მომხმარებელს მაინც უჩნდება კითხვა, იყიდოს თუ არა მშენებარე ბინა, დასრულდება თუ არა მშენებლობა დეველოპერის მიერ დადგენილ ვადებში, რამდენად მდგრადი და მტკიცეა ნაგებობა, რამდენად სწორად არის შესრულებული დაგეგმარება, არის თუ არა გათვალისწინებული სეისმურად აქტიური ზონები (საქართველო, კერძოდ თბილისი 8-ბაღიან სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარეობს) და ა.შ.

დეველოპერული კომპანია ამოწმების, დეკლარირებული და შესრულებული სამუშაოს ადეკვატურობას, ამოწმებს შესრულებული სამუშაოს და გამოყენებული მასალის ხარისხს, ასევე უსაფრთხოების პირობებს და გარემოზე ზემოქმედების

-

«

»

მასხასიათებლებს. რამდენად სანდოა შემოწმების ხარისხი, მაშინ როდესაც მშენებლის სულ მცირე უზუსტობას შეიძლება ათასობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლოს.

შენობა-ნაგებობების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დაგეგმვა და მშენებლობა, პირველ რიგში ნიშნავს ადამიანთა უსაფრთხოებას, ასევე ის იძლევა კონკურენტულ უპირატესობას, რომელიც უნდა გახდეს დღეს ბაზარზე არსებული დეველოპერებისთვის მნიშვნელოვანი - მოგების ზრდა ხარისხის ზრდასთან ერთად:

W. Edwards Deming - "ხარჯები მცირდება და პროდუქტიულობა მატულობს, თუ ხარისხი უმჯობესდება დიზაინისა და წარმოების უკეთესი მართვის შედეგად. უკეთესი ხარისხი უფრო დაბალ ფასად მოიპოვებს ბაზარს. ხარჯების შემცირება ხარისხის გაუმჯობესების გარეშე შეცდომაა."

ხარისხს თავისთავად აქვს ორი განზომილება - "ხარისხი, რომელიც უნდა არსებობდეს" და "ხარისხი, რომელიც მიმზიდველია". პირველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილება, ხოლო მეორე შემთხვევაში - მომხმარებელთა სავარაუდო, ჯერ კიდევ მათ მიერ გაუცნობიერებელი სურვილებისა და საჭიროებების გათვალისწინება. ამ შემთხვევაში ასეთი განმარტებაც შეიძლება გამოვიყენოთ: პროდუქტი და/ან სერვისი, რომელიც შეესაბამება და აჭარბებს მომხმარებლის მოლოდინს.

### 3. დასკვნა

ნაშრომის მიზანია, მშენებლობის ბიზნესში მოქმედი კომპანიებისთვის მოძიებულ იქნას ინფორმაცია, ხარისხის ინფრასტრუქტურის ელემენტების მათი საქმიანობისთვის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას და მოთხოვნილი ნორმების მიხედვით მუშაობის შესაძლებლობას: კომპანიები მიიღებენ ინფორმაციას, რა ტიპის და დონის მომსახურება შეუძლიათ შესთავაზონ საქართველოში ხარისხის ინფრასტრუქტურის ორგანოებმა.

ხარისხის ინფრასტრუქტურის ორგანოები მიიღებენ, რეკონდაციის სახით, თუ რა ტიპის მომსახურება სჭირდება მოცემულ ბიზნესში მოქმედ კომპანიებს და ხარისხის ინფრასტრუქტურის რომელი ელემენტების განვითარებაა საჭირო.

სამშენებლო კომპანიების მომხმარებელი მიიღებს ინფორმაციას, როგორ უნდა აშენდეს საცხოვრებელი სახლი, და დასვამს კითხვას: „როგორ შენდება?“ და არა „აშენდება თუ არა?“. ნაშრომის მიზანია მომხმარებელში გაცნობიერების დონის ამაღლება, რაც გაამარტივებს პროდუქციის შერჩევის პროცესს და ასევე შექმნის წარმოდგენას შემოწმებული ხარისხის სანდოობზე.

### ლიტერატურა

1. საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის კვლევა, თბილისი, 2014წ. გვ. 70
2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური მექანიზმები გზამკვლევი თბილისი, 2009წ. გვ. 60
3. გ. თოფაძე, ჯ. ბიჭიაშვილი, დ. დანელია., საბაზრო სისტემის საფუძვლები., თბილისი 2001 წ. გვ. 70
4. Building Regulations, Explanatory Booklet. Office of the Deputy Prime Minister (ODPM) Publications PO Box 236.Wetherby, West Yorkshire 2005.

წყალმომარაგების მოქმედი სისტემის ელემენტ-ნაგებობების  
საექსპლუატაციო მდგომარეობის ექსპერტული შეფასების შესახებ

**ზ. ცინელაშვილი, დ. ბურბენიძე, ხ. სოსელია, ს. ბურბენიძე**  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი,  
კოსტავას 77)

**რეზიუმე:** შემოთავაზებულია ხანგრძლივი ექსპლუატაციის პროცესში მყოფი წყალმომარაგების მოქმედი სისტემების ელემენტ-ნაგებობების (წყალმიმღებები, რეზერვუარები და სხვ.) საექსპლუატაციო მდგომარეობის მდგრადობა-ვარგისიანობის მახასიათებელი პარამეტრების ექსპერტული შეფასების შესაძლო მიდგომა როდელიც სტოქასტიკური განუსაზღვრელობის პირობებში „არამკაფიო ლოგიკური რეგულატორის“ პრინციპის გამოყენებით, საანალიზო სუბიექტურ-ექსპერიმენტულ განაზომთა „არამკაფიო“ სახის მონაცემთა მათემატიკური დამუშავებისა და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას იძლევა.

**საკვანძო სიტყვები:** წყალმომარაგების მოქმედი სისტემის ელემენტ-ნაგებობები, საექსპლუატაციო მდგომარეობა, ექსპერტული შეფასების მიდგომა, „არამკაფიო ლოგიკური რეგულატორი“, დესკრიფციული მოდელირება, გურვიცის კრიტერიუმი, სტოქასტიკური განუსაზღვრელობა, ეფექტური გადაწყვეტილების მიღება.

## 1. შესავალი

ხანგრძლივ ექსპლუატაციაში მყოფი წყალმომარაგების სისტემები და მათი შემდგენი ელემენტ-ნაგებობები განიცდიან სხვადასხვა სახის ბუნებრივი და კატასტროფული მოვლენების (მიწისძვრები, მეწყერი და სხვა) არასასურველ ზემოქმედებას, რაც შედეგად, მათ მდგრადობა-ვარგისიანობის დაგეგმილი ნორმატიული მახასიათებელი პარამეტრების იძულებით ცვლილებას იწვევს და ავარიული მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებად გვევლინება.


მოცემულ კონტექსტში აქტუალური და პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ხანგრძლივ ექსპლუატაციაში მყოფი წყალმომარაგების სისტემების და მათი ცალკეული შემდგენი ელემენტების მდგრადობა-ვარგისუნარიანობის მახასიათებელი პარამეტრების შეფასების მიდგომის შემუშავება. საკვლევი პრობლემა მათემატიკური გადაწყვეტის თვალსაზრისით რთულ საინჟინრო ამოცანათა რიგს მიეკუთვნება და მის გადასაწყვეტად ქვემოთ შემოთავაზებულია სტოქასტიკური განუსაზღვრელობის პირობებში „არამკაფიო ლოგიკური რეგულატორის“ პრინციპის გამოყენება.

## 2. ძირითადი ნაწილი

როგორც ცნობილია წყალმომარაგების სისტემების და მათი შემდგენი ელემენტ-ნაგებობების (წყალმიმღებები, რეზერვუარები და სხვა) დაპროექტებისას ითვალისწინებენ მათი მდგრადობა-ვარგისუნარიანობის მახასიათებელ მაჩვენებლებს, რომლებსაც გეგმავენ და ძირითადად იღებენ სამშენებლო წესებისა

და ნორმების შესაბამისად. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ხანგრძლივი ექსპლუატაციის პროცესში შესაძლებელია ამ ფაქტორებიდან, რომელიმე მახასიათებელი პარამეტრის ექსტრემალური მნიშვნელობა არ დაკმაყოფილდეს, ან კიდევ დაერთოს კატასტროფული მოვლენის (მიწისძვრა, მეწყერი და სხვა) ზემოქმედება-განვითარების ისეთი მდგომარეობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ავარიული შემთხვევები. აქედან გამომდინარე ხანგრძლივ ექსპლუატაციაში მყოფი წყალმომარაგების სისტემების და მათი შემდგენი ელემენტ-ნაგებობების მდგრადობა-ვარგისუნარიანობის მახასიათებელი პარამეტრების შეფასება, როგორც აღვნიშნეთ, რთული საინჟინრო და მათემატიკური თვალსაზრისით ძნელად ფორმალიზებადი ამოცანაა.

ამოცანის გადასაწყვეტად, ზოგადად, შემოთავაზებულია ე.წ. „არამკაფიო ლოგიკური რეგულატორის“ პრინციპის გამოყენება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა სტოქასტიკური განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილ იქნას რთული საინჟინრო და ძნელად ფორმალიზებადი საკვლევი ამოცანა, რაც, რიგ შემთხვევებში, ცნობილი ანალიტიკური სახის მათემატიკური მეთოდების გამოყენებით ვერ ხერხდება [1]. ამ შემთხვევაში, სტოქასტიკური განუსაზღვრელობის პირობებში [2], გარდა „არამკაფიო ლოგიკური რეგულატორის“ პრინციპის გამოყენებისა, ფორმალური მათემატიკური აღწერის მისაღწევად, კომპლექსურად, აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნას დესკრიფციული მოდელირების მეთოდის გამოყენებაც [1]. შედეგად, სრულდება სუბიექტური და ექსპერიმენტული სახის განაზომთა “არამკაფიო” (არამკვეთრი) სახის მონაცემების დამუშავება, რაც ექსპერტის (ან ექსპერტთა ჯგუფის) მიერ გენერირებული სუბიექტურ-ხარისხობრივი შეფასებების მიხედვით ეფექტური გადაწყვეტილების მიღების საფუძველს იძლევა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ჩვენს მიერ განაზომთა მონაცემების დასამუშავებლად, და შესაბამისად, გადაწყვეტილებების მისაღებად შემოთავაზებულია ე.წ. „არამკაფიო ლოგიკური რეგულირების“ პრინციპის გამოყენება (როგორც მრავალკრიტერიული ამოცანის), რომელიც სტრუქტურულად წარმოდგენილია ნახაზზე:



„არამკაფიო ლოგიკური რეგულატორის“ თანახმად 1-ლი ბლოკი მოიცავს საკვლევი ობიექტის შესახებ მახასიათებელი პარამეტრების გადახრების შესახებ შესახებ ინფორმაციას; მე-2 ბლოკით სუბიექტურ-ხარისხობრივი სკალების შესაბამისად განისაზღვრება საანალიზო „არამკაფიო“ ხასიათის პარამეტრების დიფერენციალური შეფასებები: „ცუდი მდგომარეობა“ - 0.00 - 0.37; „დამაკმაყოფილებელი ამუ შუალედური მდგომარეობა“ - 0.37-0.67; „კარგი მდგომარეობა“ - 0.67-1.00. აქ: 0 – შესაბამება აბსოლუტურად ცუდ მდგომარეობას,

ხოლო 1 – აბსოლიტურად კარგ მდგომარეობას. მე-3 ბლოკით განისაზღვრება საკვლევი ელემენტ-ნაგებობების მდგრადობა-ვარგისუნარიანობის ინდექსის (ინტეგრალური მაჩვენებლის) მახასიათებელი პარამეტრების სუბიექტურ-ხარისხობრივი ინტეგრალური შეფასება იგივე ხარისხობრივ-კრიტერიულური სკალების მოყვანილი გრადაციების შესაბამისად: „ცუდი“, „დამაკმაყოფილებელი“, „კარგი“.

გარდა ამისა სტოქასტიკური განუსაზღვრელობის პირობებში ექსპერტული გადაწყვეტილებების სიმრავლის ფორმირებაში, კომპლექსურად შეიძლება გამოყენებულ იქნას გურვიცის პესიმიზმ-ოპტიმიზმის კრიტერიუმი. ამ შემთხვევაში ექსპერტები ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობენ, არც უკიდურესი პესიმიზმის (ყოველთვის გაითვალისწინე უარესი!) და არც უკიდურესი უაზრო ოპტიმიზმის პრინციპით (ყველაფერი მოხდება საუკეთესოდ!). გურვიცის კრიტერიუმი რეკომენდაციას იძლევა ექსპერტული შეფასების ვარაუდი დაემყაროს მათ შორის აღებულ რაიმე შუალედურ სიდიდეს 0-სა და 1-ს შორის. ამ კრიტერიუმს გააჩნია შემდეგი სახე [2]:

$$H = \max_{1 < i < m} [a \min_{1 < j < n} B_{ij} + (1-a) \max_{1 < i < m} B_{ij}],$$

სადაც, a-რაიმე კოეფიციენტია, რომელიც შეიძლება 0-და 1-ს შორის. როდესაც 0 < a < 1, გადაწყვეტილება იღებს რაიმე შუალედურ მნიშვნელობას - უკიდურეს პესიმიზმსა და კიდურეს ოპტიმიზმს შორის. ზოგადად, a კოეფიციენტის შერჩევა ატარებს სუბიექტურ ხასიათს და მისი აღება დამოკიდებულია ექსპერტ-სპეციალისტის მიერ განვითარებული შეფასების ხასიათზე. ამავე დროს, ექსპერტები, თავის დაზღვევის მიზნით, ცდილობენ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში a - კოეფიციენტის მნიშვნელობა აიღონ 1-თან მიახლოებით.

### 3. დასკვნა

შემოთავაზებულია ხანგრძლივი ექსპლუატაციის პროცესში მყოფი წყალმომარაგების მოქმედი სისტემების ელემენტ-ნაგებობების (წყალმიმღებები, რეზერვუარები და სხვ.) საექსპლუატაციო მდგომარეობის მდგრადობა-ვარგისიანობის მახასიათებელი პარამეტრების ექსპერტული შეფასების შესაძლო მიდგომა, რომელიც სტოქასტიკური განუსაზღვრელობის პირობებში „არამკაფიო ლოგიკური რეგულატორის“ პრინციპის გამოყენებით საანალიზო სუბიექტურ - ექსპერიმენტულ განაზომთა “არამკაფიო” სახის მონაცემთა მათემატიკური დამუშავებისა და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას იძლევა.

### ლიტერატურა

1. . . . . e . . . . .  
 . . . . .  
 . . . . . „, 1997, . 264
2. ზ.ციხელაშვილი, თ.გველესიანი, პ.გიორგაძე, ნ.მურდულია, ლ.ზამბახიძე. სტოქასტიკური განუსაზღვრელობის პირობებში წყალდიდობის საანგარიშო ხარჯის მოდელირების შესახებ. სტუ, ჟურნალი „მშენებლობა“, №3(10), 2008, გვ. 18-22

ახალი ტიპის ორ ღა სამ სამაბრიანი საყალიბე ფარის  
 კონსტრუქციული გაანგარიშება

შ. ბაქანიძე, დ. ტაბატაძე, კ. იაშვილი, ლ. ქრისტესიაშვილი  
 (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი,  
 კოსტავას 77)

**რეზიუმე:** ცნობილია, რომ შენობა-ნაგებობათა შემომფარგლავ კედლებს აგებენ მრავალშრიანს. მონოლითური მშენებლობის შემთხვევაში სასურველია კონსტრუქციული შრე შესრულდეს მძიმე ბეტონით (ან რკინაბეტონით), ხოლო თბოსაიზოლაციო შრე-მსუბუქი ბეტონით. შრეების ერთობლივი მუშაობისათვის სხვა ღონისძიებების გარდა, მიზანშეწონილია მათი ურთიერთშეხების ზედაპირის ფართობის გაზრდა, რასაც ახორციელებენ შრეების ურთიერთმიერთებით რთულპროფილური ზედაპირით. ნაშრომში მოცემულია შემომფარგლავი კედლების დასაბეტონებელი საყალიბე ფარების კონსტრუქციული გადაწყვეტის მაერთებელი 2 და 3 სამაგრიანი საყალიბე ფარები.

**საკვანძო სიტყვები:** მონოლითური მშენებლობა, მძიმე ბეტონი, მსუბუქი ბეტონი, საყალიბე ფარი, ტალღოვანი ზედაპირი, წინაღობის მომენტი, ბრტყელი ყალიბი.


1. ძირითადი ნაწილი

1. საწყისი მონაცემები.


დღეს საქართველოში, მონოლითურ მშენებლობაში, ძირითადად იყენებენ უცხოური ფირმების ("პერი", "ოზლერი", "პასალი", "კრამოს" და სხვა) ბრტყელ ყალიბებს. რაც შეეხება რთულპროფილურ ზედაპირებიან ყალიბებს, მათი გამოყენება ჩვენს მშენებლობებზე ჯერ-ჯერობით არ ხდება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის თანამშრომელთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებულია მრავალშრიანი შემომფარგლავი კედლების მოწყობის ხერხი ახალი ტიპის რთულ პროფილურ ზედაპირიანი საყალიბე ფარის გამოყენებით [1], რომელიც შედგება ერთმანეთთან მიერთებული ბრტყელი და რთულ პროფილური ელემენტებისაგან [2].

ნაშრომში განხილულია აღნიშნული საყალიბე ფარის კონსტრუქციული გაანგარიშება. მისი გეომეტრიული ზომები მიღებულია უცხოური ყალიბების ზომების მიხედვით. ნახ.1.



ნახ.1. ტიპური უცხოური საკედლე ყალიბი




ნახ.2 საყალიბე ფარების განთავსების და ურთიერთმიმაგრების ვარიანტები:

- ა) განთავსება ვერტიკალური, ურთიერთმიმაგრება 2-იარუსიანი;
  - ბ) განთავსება ვერტიკალური, ურთიერთმიმაგრება 3-იარუსიანი;
- 1- საყალიბე ფარი; 2-ფარის სამაგრი რიგელი;

3. ფარების ურთიერთმისამაგრებელი ღერო

**2. სამ სამაგრიანი საყალიბე ფარის გაანგარიშება.**


გაანგარიშებას ვაწარმოებთ ელემენტის 1 მ სიგანის ზოლისათვის. მისი საანგარიშო სქემა 2-მალიანი კონსოლებიანი უჭრი კოჭია, სამკუთხა დატვირთვით. მაქსიმალური წნევა საყალიბე ფარის ძირის დონეზე (ფარის სიმაღლეა 3.3 მეტრი) ტოლი იქნება  $q_{მაქს} = \sigma_{მაქს} = 7.92$  ტ (ნახ. 3).



ნახ. 3. კოჭის საანგარიშო სქემა

მოცემული უჭრი კოჭი სტატიკურად ერთხელ ურკვევი სისტემაა. მის გაანგარიშებას ვაწარმოებთ ძალთა მეთოდით [3]. კოჭზე კონსოლების ზემოქმედება შევცვალოთ მღუნავი მომენტებით და განვივი ძალებით (ნახ. 4).

კოჭის ძირითადი სისტემა მოცემულია ნახ-4-ზე.




$$Q_1=3.32\text{ტ}; \quad Q_2=0.24\text{ტ};$$


$$M_1=-0.76\text{ტ.მ}; \quad M_2=0.04\text{ტ.მ.}$$

ნახ. 4. კოჭის ძირითადი სისტემა

მღუნავი მომენტის ეპიურა  $X_1=1$  ძალისაგან მოცემულია მე-5 ნახაზზე.



ნახ.5. მღუნავი მომენტების ეპიურა  $X_1=1$  ძალისაგან ძირითად სისტემაზე ვამოქმედლოთ მხოლოდ გარე დატვირთვა (ნახ.6)



ნახ. 6.ძირითადი სისტემის დატვირთვები

საყრდენი რეაქციები

$$R_c=3.54\text{ტ}; \quad R_A=9.52\text{ტ.} \quad \text{შემოწმება: } \Sigma Y=3.54+9.52-3.32-0.24-3.96-2.4=13.06-13.06=0.$$


მოცემული დატვირთვებისაგან მღუნავი მომენტები გამოითვლება ფორმულით

$$M_x = -0.04 + 3.30x - 0.54x^2 - \frac{2.4 \cdot x \cdot x^2}{6} = -0.4x^3 - 0.54 \cdot x^2 + 3.30 \cdot x - 0.04. \quad (1)$$

$0 \leq x \leq 2.4$ ):

მიღებული მონაცემების საფუძველზე ვაგებთ ეპიურას  $M_p$  (ნახ.7)






ნახ.7. ეპიურა  $M_p$

მოცემული უჭრი კოჭის შუა B წერტილში აღძრული საყრდენი რეაქციის გასაგებად ვადგენთ კანონიკურ განტოლებას:  $u_{11} X_1 + \Delta_{1p} = 0$ , საიდანაც

$$X_1 = -\frac{\Delta_{1p}}{u_{11}},$$

$$\text{სადაც } \delta_{11} = \frac{Z}{EJ} \left( 1.2 \cdot \frac{0.6}{2} \cdot 0.4 \right) = \frac{0.288}{EJ}.$$




ნახ. 8.  $M_1$  ეპიურის შესაბამისი ორდინატები

$$\Delta_{1p} = \frac{1}{EJ} (0,023 \cdot 0,01 - 1,66 \cdot 0,375 - 2,11 \cdot 0,4 + 0) = -\frac{1,467}{EJ};$$


$x_1 = 5.1$  ტ, ანუ  $R_B = 5.1$  ტ.

ახლა ძირითად სისტემაში (ნახ. 4) ყველა დატვირთვა ცნობილია. (ნახ. 9)



ნახ. 9. კოჭის გაანგარიშებისათვის

საყრდენი რეაქციების გაანგარიშება:  $R_C = 0,99$  ტ,  $R_A = 6,97$  ტ.  
 განივი ძალების ეპიურა მოცემულია ნახაზზე 10.



ნახ. 10. ეპიურა Q

მდუნავი მომენტების სიდიდე კოჭის BC უბნის ნებისმიერ კვეთში:

$$\begin{aligned} M_x &= -M_2 - Q_2 \cdot x + R_C \cdot x - 1.08 \cdot x \cdot \frac{x}{2} - \frac{q_x \cdot x \cdot x}{2} \cdot \frac{x}{3} \\ &= -0,04 - 0,24 \cdot x + 0,99 \cdot x - 0,54 \cdot x^2 - \frac{2,4 \cdot x \cdot x^2}{6} \\ &= -0,4x^3 - 0,54 \cdot x^2 + 0,75 \cdot x - 0,04; \end{aligned}$$


( $0 \leq x \leq 1,2$ ):

მდუნავი მომენტების სიდიდე კოჭის AC უბნის ნებისმიერ კვეთში:

$$M_{x_1} = -0,76 - 3,32 \cdot x_1 + 6,97 \cdot x_1 - [(5,75 - 2,7x_1) + 1,08] \frac{x_1^2}{2} - [5,75 - (5,75 - 2,4x_1)] \frac{x_1}{2}$$

$$\cdot \frac{2}{3} x_1 = -0,76 + 3,65 \frac{6,83 - 2,4x_1}{2} \cdot x_1^2 - 0,8x_1^3 = 0,4x_1^3 - 3,145x_1^2 + 3,65x_1 - 0,76. (0 \leq x_1 \leq 1,2):$$

მღუნავი მომენტების ეპიურა M მოცემულია ნახაზზე 11.



ნახ. 11. ეპიურა M

ყალბის რთულპროფილიანი ზედაპირის მქონე ელემენტის პროფილის შერჩევა.

ყალბში ახალჩალაგებული ბეტონის ნარევის დაწნევისაგან ფარის კვანძებში აღძრული მაქსიმალური მღუნავი მომენტი ტოლია  $M_{მაქს}=0,76$  ტ.მ.

ფარის სიგანის 1 მეტრზე განივკვეთის საჭირო წინაღობის მომენტი


$$W_{საჭ} = \frac{76000}{2350} = 32,34 \approx 32,3 \text{ სმ}^3.$$

ფარისათვის ვირჩევთ ფოლადის პროფილის 2 ვარიანტს: ტალღოვანს და გოფირებულს.

ა) ტალღოვანი პროფილი (ნახ.12)

ტალღის სიმაღლე მივიღოთ  $r=5$  სმ და ფურცლის სისქე - 1 მმ. როგორც ცნობილია, თხელკედლიანი რგოლის წინაღობის მომენტი

$$W_x = W_y = \pi r^2 S = 3,14 \cdot 5^2 \cdot 0,1 = 7,85 \text{ სმ}^3;$$



რგოლის ნახევრისათვის  $W = \frac{7,85}{2} = 3,93 \text{ სმ}^3.$

ფარის სიგანის 1 მეტრზე განთავსდება  $100:10=10$  ნახევარტალღა, რომელთა ჯამური  $W = 3,93 \cdot 10 = 39,3 \text{ სმ}^3 > W_{საჭ} = 32,3 \text{ სმ}^3.$

ნახ. 12. ფარის პროფილი: ა) პროფილის ქემა;

ბ) თხელკედლიანი რგოლი  $S \leq D/10$

ბ) გოფირებული პროფილი  $W_{საჭ} = 32,3 \text{ სმ}^3$  - 1 გრძივმეტრზე მე-13 ნახაზზე მოცემულია გოფირებული პროფილის მოხაზულობა.



ნახ.13. გოფირებული პროფილი: ა) პროფილის სქემა; ბ) მართკუთხა მილი


კედლის სისქე მივიღოთ 1,0 მმ, გაანგარიშებისათვის მივიღოთ თხელკედლიანი მართკუთხა მილი ( $S < \frac{H}{15} = \frac{10}{15} = 0,67 \text{ სმ}$ )

ცნობილია, რომ  $W_x = \frac{SH^2}{3} (3 \cdot \frac{B}{H} + 1) = \frac{0,10 \cdot 6^2}{3} (3 \cdot \frac{10}{6} + 1) = 7,2 \text{ სმ}^3.$

მართკუთხედის ნახევრისათვის:  $W = 7,2 : 2 = 3,6 \text{ სმ}^3.$  1 გრძივ მეტრზე განთავსდება  $100:10=10$  გოფირი და მათი ჯამური  $W = 3,6 \cdot 10 = 36,0 \text{ სმ}^3 > W_{საჭ} = 32,3 \text{ სმ}^3.$  ნახაზზე 13 მოცემულია

გოფირებული პროფილის მოსაზულობა.


განყალიბების გაადვილების მიზნით შესაძლებელია მე-13 ნახაზზე მოცემული გოფირებული პროფილის ნაცვლად მე-14 ნახაზზე გამოსახული პროფილის გამოყენება.



ნახ. 14. გოფირებული პროფილის ვარიანტი

**3. ორ სამაგრიანი საყალიბე ფარის გაანგარიშება.**

მისი საანგარიშო სქემა წარმოადგენს ერთმანიან 2-კონსოლიან კოჭს, სამკუთხა დატვირთვით.  $q_{მაქს} = q_{მინუს} = 7.92 \text{ ტ/მ}$




ნახ. 15

$R_B=3.11\text{ტ}$ ;  $R_A=9.96\text{ტ}$ . მღუნავი მომენტი:

$$M_{x_1} = -\frac{2.4(0.6 + x_1)(0.6 + x_1)^2}{6} + R_B \cdot x_1 = -0.4(0.6 + x_1)^3 + 3.11 \cdot x_1; \quad (0 \leq x_1 \leq 2.1)$$

მღუნავი მომენტების ეპიურას აქვს მე-16 ნახ-ზე მოცემული სახე.




ნახ. 16

რადგან მაქსიმალური საყრდენი მომენტი და მაქსიმალური მალის მომენტის მნიშვნელობები ახლოსაა ერთმანეთთან, ვტოვებთ კონსოლების მიღებულ ზომებს.

$$W_{საჭ} = \frac{147200}{2350} = 62.6 \text{ სმ}^3.$$

შევარჩიოთ რთულპროფილიანი ელემენტის პროფილი: ა) ტალღოვანი პროფილი


ტალღის სიმაღლე მივიღოთ 4.5 სმ და ფურცლის სისქე 2 მმ; გაანგარიშება შევასრულოთ თხელკედლიანი რგოლისათვის (ნახ. 17):



ნახ. 17


$$W_x=W_y=\Pi r^2 S=3.14 \cdot 4.5^2 \cdot 0.2=15.7 \text{ სმ}^3; \text{ რგოლის ნახევრისათვის: } W = \frac{15.7}{2} = 7.85 \text{ სმ}^2.$$

საყალიბე ფარის სიგანის 1 მეტრზე განთავსდება  $100:10=10$  ნახევარტალღა, რომელთა ჯამური  $W=10 \cdot 7.85=78.5 \text{ სმ}^3 > W_{საჭ}=62.6 \text{ სმ}^3$ . რთულპროფილიან ელემენტს ექნება 18 ნახაზზე მოცემული სახე.



ნახ. 18. ელემენტის მიღებული პროფილი


ბ) გოფირებული პროფილი. გოფირის სიგანე მივიღოთ 10სმ, სიმაღლე – 3.5სმ და კედლის სისქე - 1.5მმ. გაანგარიშება შევასრულოთ თხელკედლიანი მართკუთხა მილისათვის (ნახ. 19). ცნობილია, რომ  $W_x = \frac{SH^2}{3} (3 \cdot \frac{B}{H} + 1) = \frac{0.15 \cdot 7^2}{3} (3 \cdot \frac{10}{7} + 1) \approx 12.96 \text{ სმ}^3$ , ხოლო 1 გოფრისათვის (მილის ნახევარი)  $W = \frac{12.96}{2} = 6.48 \text{ სმ}^3$ .



ნახ. 19. თხელკედლიანი მართკუთხა მილი

ფარის სიგანის 1მ-ზე განთავსდება 100:10=10 გოფრი, რომელთა ჯამური  $W=6.48 \cdot 10=64.8 \text{ სმ}^3 > W_{საჭ} = 62.6 \text{ სმ}^3$ .

რთულპროფილიან ელემენტს ექნება მე-20 ნახაზზე მოცემული სახე.




ნახ. 20. ელემენტის მიღებული პროფილი

#### 4. საყალიბე ფარების ბრტყელი ელემენტის სისქის გაანგარიშება.

საყალიბე ფარების ბრტყელი ელემენტი, რომელიც მიმაგრებულია გოფირებული ან ტალღოვანი (მზიდი) ელემენტის ტალღების ქიმებზე და მანძილი მიმაგრებებს შორის, გავიანგარიშოთ, როგორც ორ საყრდენზე მდებარე კოჭი (ნახ. 21).

გაანგარიშება შევასრულოთ ახალჩალაგებული ბეტონის ნარევის მაქსიმალური დაწნევისათვის (ყალიბის ფსკერის დონეზე):  $\sigma_{ბეტ} = 7,92 \text{ ტ/მ}^2$

საანგარიშოდ ავიღოთ ბრტყელი ელემენტი სიმაღლით 1 მ;  $q = 79,2 \text{ კგ/სმ}$ .



ნახ.21. ყალიბის ბრტყელი ელემენტის საანგარიშო სქემა

$$M = \frac{ql^2}{11} = \frac{79.2 \cdot 10^2}{11} = 720 \text{ კგსმ}; \quad W_{საჭ} = \frac{720}{2350} = 0,306 \approx 0,31 \text{ სმ}^3.$$

20%-იანი მარაგით:  $W_{საჭ} = 0.31 \cdot 1.2 = 0.37 \text{ სმ}^3$ ;

მართკუთხედისათვის:  $W = \frac{bh^2}{6}$ ;  $b=100 \text{ სმ}$ ;  $h = \sqrt{\frac{6W}{b}} = \sqrt{\frac{6 \cdot 0.37}{100}} = 0.149 \text{ სმ}$ ;  $S=1.5 \text{ მმ}$ .


4. საყალიბე ფარების სამაგრი რიგელების განგარიშება.

რიგელების ორ იარუსად განთავსებისას:


ახალჩალაგებული ბეტონის ნარევისაგან საყალიბე ფარებზე აღძრული წნევების ეპიურას აქვს 22-ე ნახაზზე მოცემული სახე. განგარიშობთ ქვედა იარუსის რიგელს, როგორც უფრო მეტად დატვირთულს.

$$\dagger_{\text{საშ.}} = \frac{7.92 + 3.96}{2} = 5.94 \text{ ტ/მ}^2$$


სამაგრ რიგელს განვიხილავთ, როგორც ერთმალიან 2-კონსოლიან კოჭს. მისი საანგარიშო სქემა მოცემულია ნახ. 23-ზე.



ნახ.22 წნევების ეპიურა



ნახ. 23 იგელის საანგარიშო სქემა



ნახ. 24 ეპიურა M

$$R_A = R_B = \frac{9,8 \cdot 2,4}{2} = 11,76 \text{ ტ}$$

კონსოლური მომენტები:

$$M_{\text{კ}} = -\frac{9,8 \cdot 0,5^2}{2} = -1,225 \text{ ტ.მ.} \quad M_x = -\frac{9,8}{2}(0,5 + x)^2 + 11,76 \cdot x \quad 0 \leq x \leq 1,3$$

$$x_1 = 0; M_{\text{კ}} = -2,225$$

$$x = 0,7; M_x = -\frac{9,8}{2}(0,5 + 0,7)^2 + 11,76 \cdot 0,7 = -7,056 + 8,232 = 1,176 \text{ ტ.მ.}$$

მღუნავი მომენტის ეპიურა იახილე 24-ე ნახაზზე.

განვსაზღვროთ კვეთის საჭირო წინაღობის მომენტი:

$$W_{\text{საჭ.}} = \frac{122500}{2350} = 52 \text{ სმ}^3$$

20%-იანი მარაგის გათვალისწინებით:  $W_{\text{საჭ.}} = 52 \cdot 1,2 = 62,4 \text{ სმ}^3$


შეგვიძლია მივიღოთ: 1. კვადრტული მილი 110X5 ( $W=64,5$ ;  $g=15,6$  კგ/მ);

2. მართკუთხა მილი 140X70X5 ( $W=64,3$ ;  $g=14,9$  კგ/მ);

**რიგელების 3 იარუსად განთავსებისას.**

3-იარუსად განთავსებულ ჰორიზონტალურ სამაგრ რიგელებს შორის ყველაზე მეტად დატვირთულის გამოსავლენად მოგვაქვს ახლადჩალაგებული ბეტონის

ნარევისაგან საყალიბე ფარებზე აღძრული წნევის ეპიურა, რომელიც შეთავსებულია რიგელების სიმაღლეში განთავსების სქემასთან (ნახ. 25).




ნახ. 25 წნევის ეპიურა

შუა რიგელისათვის დატვირთვა მის 1 გრძ. მეტრზე  $q=3,96 \cdot 1,2=4,75$  ტ/მ. ქვედა რიგელისათვის:  $\dagger_{საშ.} = \frac{7,92 + 5,4}{2} = 6,66$  ტ/მ;

$$q=6,66 \cdot 1,05=6,99 \approx 7,0 \text{ ტ/მ.}$$

რიგელის საანგარიშო სქემა იხილე 26-ე ნახაზზე.



ნახ.26 რიგელის საანგარიშო სქემა და ეპიურა M

საყრდენი რეაქციები:  $R_A = R_B = \frac{7 \cdot 2,4}{2} = 8,4$  ტ.

კონსოლური მომენტები:  $M^k_A = M^k_B = \frac{q l^2}{2} = \frac{7 \cdot 0,5^2}{2} = 0,875$  ტ.მ.

მღუნავი მომენტები:

$$M_{x_1} = -\frac{7(0,5 + x_1)^2}{2} + 8,4x_1 = -3,5(0,5 + x_1)^2 + 8,4x_1 \quad 0 \leq x \leq 1,4$$

$$x_1 = 0; M_{x_1} = -0,875 \text{ ტ.მ}$$

$$x_1 = 0,7; M_{x_1} = -5,04 + 5,88 = 0,84 \text{ ტ.მ.}$$

$$W_{საჭ.} = \frac{87500}{2350} = 37,2 \text{ სმ}^3$$

20%-იანი მარაგის გათვალისწინებით:  $W_{საჭ.} = 37,2 \cdot 1,2 = 44,6 \text{ სმ}^3$

შეგვიძლია მივიღოთ: 1. კვადრატული მილი 110X100X4 ( $W=43,9$ ;  $g=11,5$  კგ/მ);  
 2. მართკუთხა მილი 125X90X4 ( $W_y=64,2$ ;  $g=12,5$  კგ/მ);

**ფოლადის სპეციფიკაცია ერთ კონსტრუქციულ ელემენტზე**

კონსტრუქციული ელემენტის დასახელება	პოზიციის	პროფილი	პოზიციის სიგრძე მმ	პოზიციის რაოდენობა	მასა,კგ		შენიშვნა
					ერთი პოზიცია	სულ	
ორსამაგრიანი საყალიბე ფარი	1	ტალღოვანი პროფილი: $r=4.5$ მმ $t=2$ მმ	3300	1	195.22	195.22	გაიზურღოს 4 ხვრელი ფარების ურთიერთ მისამაგრებელი ღეროების გასატარებლად
	2	ბრტყელი ელემენტი:ფურცელი $t=1.5$ მმ	3300	1	93.26	93.26	
	3	სამაგრი რიგელი: 110X 5	2400	2	37.44	74.88	
	4	ჭანჭიკი M16	180	6	0.32	1.92	
	ჯამი ფოლადის ხარჯი 1 მეტრკვადრატზე					<b>365.28</b>	
სამსამაგრიანი საყალიბე ფარი	1	ტალღოვანი პროფილი: $r=5.0$ მმ $t=1$ მმ	3300	1	97.61	97.61	გაიზურღოს 6 ხვრელი ფარების ურთიერთ მისამაგრებელი ღეროების გასატარებლად
	2	ბრტყელი ელემენტი:ფურცელი $t=1.5$ მმ	3300	1	93.26	93.26	
	3	სამაგრი რიგელი:100X 4	2400	3	27.6	82.8	
	4	ჭანჭიკი M16	180	9	0.32	2.88	
	ჯამი ფოლადის ხარჯი 1 მეტრკვადრატზე					<b>276.55</b>	

**3. დასკვნა.**

შემოთავაზებული საყალიბე ფარის ელემენტებში შინაგანი ძალოვანი ფაქტორების მნიშვნელობები დამოკიდებულია კედლის სივრცით კარკასში მათი ურთიერთმიმაგრების რაოდენობაზე (2 ან 3 იარუსიანი, ე.ი. 2 ან 3 სამაგრიანი საყალიბე ფარები). როგორც გაანგარიშებამ გვიჩვენა, 3-სამაგრიანი საყალიბე ფარის ელემენტებში აღიძვრება ნაკლები შინაგანი ძალოვანი ფაქტორები და შესაბამისად, ფოლადის ხარჯიც არის ნაკლები (ფოლადის ხარჯის სხვაობამ შეადგინა 24.3 პროცენტი).

**ლიტერატურა**

1. შ. ბაქანიძე, ვ. ლოლაძე, ლ. სამხარაძე, ვ. პირმისაშვილი. მრავალშრიანი კედლების დაბეტონების ხერხი. პატენტი პ 6074. გამოგონება. 28.05.2014.
2. შ. ბაქანიძე, ვ. ლოლაძე, ლ. სამხარაძე, ვ. პირმისაშვილი. საყალიბე ფარი მრავალშრიანი შემომფარგლავი კედლების დასაბეტონებლად. თბილისი: სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, №2(25), 2012.
3. რ. ცხვედაძე, დ. ტაბატაძე, ი. კაკუტაშვილი. სამშენებლო მექანიკა, თბილისი, 2005. 280გვ.

.B, . .

( , . . 77, 0175, , )

: , ( . 1). ( ) [1].

( . 2).

[2;6].

[3].

[4;5].

1.

2.

AO, BO


AOB ( AB ( . 1). ),

( ) [1].

ბ.


( . 2).

( . 3).




. 1





.2  
 AO, BO

AB,



.3

3

$$\begin{cases} \sum_{i=1}^N (P_i W_{ki} + M_{vi} W_{vki} + M_{ti} W_{tki} + W_{qk} + W_{pk} + W_{mk}) = 0; \\ \sum_{i=1}^N (P_i \varphi_{ki} + M_{vi} \varphi_{vki} + M_{ti} \varphi_{tki} + \varphi_{qk} + \varphi_{pk} + \varphi_{mk}) = 0; \\ \sum_{i=1}^N (P_i \psi_{ki} + M_{vi} \psi_{vki} + M_{ti} \psi_{tki} + \psi_{qk} + \psi_{pk} + \psi_{mk}) = 0 \end{cases} \quad (1)$$

$$\begin{cases} P_i - i(\xi, \eta); \\ M_{ti} - t_i; \\ W_{ki}, W_{vki}, W_{tki} - k, P_i = 1, M_{vi} = 1, M_{ti} = 1; \\ N - ; \\ \varphi_{ki}, \varphi_{vki}, \varphi_{tki} - i, v_k, k, P_i = 1, M_{vi} = 1, M_{ti} = 1; \\ \varphi_{qk}, \varphi_{pk}, \varphi_{mk} - v_k; \\ \psi_{qk}, \psi_{pk}, \psi_{mk} - t_k, k; \\ ; \\ \psi_{ki}, \psi_{vki}, \psi_{tki} - t_k, k, P_i = 1, M_{vi} = 1, M_{ti} = 1; \\ W_{qk}, W_{pk}, W_{mk} - , \end{cases} \quad (2)$$

2 3

1 2.  
 (1)

AX=B (3)

$$\begin{pmatrix} \omega_{p1} \\ \omega_{p2} \\ \varphi_{p1} \\ \varphi_{p2} \\ \psi_{p1} \\ \psi_{p2} \end{pmatrix}; \quad (4)$$

$$X = \begin{pmatrix} P_1 \\ P_2 \\ M_{v1} \\ M_{v2} \\ M_{t1} \\ M_{t2} \end{pmatrix}; \quad (5)$$

